

6069 ცისპარიშვილი

გადატყვეტილებათა მიღების პომაიუტერული  
მხარდაჭირა  
სალექციო კურსი



თბილისი  
2013

## ნ. ცისკარიშვილი

გადაწყვეტილებათა მიღების კომპიუტერული მხარდაჭერა–სალექციო კურსი.

— 2013. — 130გვ.

სალექციო კურსი ეძღვნება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას მართვის გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ამოცანებში. ნაშრომი შეიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. თეორიულ ნაწილში ძირითადი ყურადღება ეთმობა ინდივიდუალური და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს, აგრეთვე იმ კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებს, რომლებიც ამ მეთოდების რეალიზებისათვის გამოიყენება. პრაქტიკულ ნაწილში განხილულია საწარმოო და ფინანსური მენეჯმენტის ამოცანები, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანია მართვის გადაწყვეტილებების მოდების მხარდასაჭერად. აღნიშნული ამოცანების გადაჭრისას გამოიყენება ცნობილი ეკონომიკა–მათემატიკური მეთოდები და მოდელები. ამოცანების ამოსახსნელად გამოიყენება ცხრილური რედაქტორი ჟ ხცელ.

სალექციო კურსი განკუთვნილია ტექნიკური და ეკონომიკური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა)არანაირი ფირმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი თანხმობის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## სარჩევი

<b>თავი 1. ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიზანი . . . . .</b>	<b>4</b>
1.1 გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის ზოგადი ამოცანები. . . . .	4
1.2 პრობლემის აღწერა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების დამუშავება. . . . .	6
1.3 ინდივიდუალური შეფასებისა და ალტერნატივების ამორჩევის მეთოდები. . . . .	10
1.4 ამოხსნის პროცედურების შერჩევა. . . . .	16
<b>თავი 2. პოლემიზმი გადაწყვეტილებების მიზანი . . . . .</b>	<b>24</b>
2.1 გადაწყვეტილებების მიღება ჯგუფის მიერ . . . . .	24
2.2 გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ჯგუფური კომპიუტერული სისტემები. . . . .	25
<b>თავი 3. ინფორმაციული სისტემები და მათი გამოყენება</b>	
<b>გადაწყვეტილების მიზანისას. . . . .</b>	<b>31</b>
3.1 ინფორმაციული სისტემების კლასიფიცირება .. . . . .	31
3.2 ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებებით პრობლემის გადაჭრისადმი სისტემური მიღვოძა. . . . .	35
<b>თავი 4 ინფორმაციული ტექნოლოგიების მიზანისას სახელი . . . . .</b>	<b>40</b>
4.1 მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემები . . . . .	40
4.2 მართვის ინფორმაციული სისტემები. . . . .	41
4.3 გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები. . . . .	43
4.4 ოფისის ავტომატიზების სისტემები . . . . .	44
4.5 ექსპერტული სისტემები . . . . .	46
<b>თავი 5. ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის ფუნქციური სტრუქტურა . . . . .</b>	<b>56</b>
5.1 ხელმძღვანელის ინფორმაციული სისტემა. . . . .	56
5.2 მარკეტინგის ინფორმაციული სისტემა . . . . .	58
5.3 წარმოების ინფორმაციული სისტემა . . . . .	63
5.4 ფინანსების ინფორმაციული სისტემა . . . . .	67
5.5 პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემა . . . . .	72
<b>თავი 6. მოდელირება ინფორმაციულ სისტემები . . . . .</b>	<b>76</b>
6.1 კომპიუტერული მოდელირების საფუძვლები. . . . .	76
6.2 მოდელის აგება . . . . .	78
6.3 მოდელების სახეები . . . . .	81
6.4 მოდელირების ტიპური შესაძლებლობები . . . . .	85
<b>თავი 7. მოდელირების ამოცანების ამოხსნა ელექტრონული ცხრილის მეშვეობით . . . . .</b>	<b>87</b>
7.1 მოდელირების საფუძვლები ელექტრონულ ცხრილში . . . . .	87
7.2 მოდელირების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა ელექტრონული ცხრილის EXCEL-ის საშუალებით. . . . .	89
7.3 ოპტიმიზების ამოცანის ამოხსნა ელექტრონული ცხრილის EXCEL-ის საშუალებით. . . . .	95
7.4 ოპტიმიზების მთელრიცხვა ამოცანა ორგბითი ცვლადით . . . . .	109
7.5 ოპტიმიზების არაწრფივი ამოცანა . . . . .	117
<b>თავი 8. ელექტრონული ცხრილის მეშვეობით რეალიზებადი ფინანსური ანალიზი . . . . .</b>	<b>122</b>
8.1 ინვესტირების ეფექტურობის ანალიზი . . . . .	122
8.2 საინვესტიციო პერიოდის შეფასება. არასტაბილური ფულადი ნაკადის გავლენა NPV-ზე. . . . .	127
ლიტერატურა . . . . .	131

## თავი 1

### 0640304000 გადაწყვეტილების მიღების ზოგადი ამოცანები

#### 1.1 გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის ზოგადი ამოცანები

გადაწყვეტილების მიღება ძირითადად გულისხმობს რაიმე არჩევანს, რომელიც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ. ამასთან განასხვავებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ინდივიდის მიერ, ჯგუფის მიერ ან ორგანიზაციის მიერ მიღება. არა მხოლოდ პრობლემის გადაჭრის, არამედ აგრეთვე მისი მოძიებისა და ჩამოყალიბების პროცესი,

გადაწყვეტილებათა მიღებისა და შერჩევის ამოცანების დამუშავებაში ჩართულია მეცნიერების სხვადასხვა დარგები. ასეთებია:

გადაწყვეტილების მიღები	აღწერითი დისციპლინები	ანალიტიკური დისციპლინები
ინდივიდი	ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, ლიტერატურა.	ოპერაციათა კვლევა, ეკონომიკა, ლოგიკა.
ჯგუფი	სოციალური ფსიქოლოგია, ორგანიზაციული ქცევა, ანტროპოლოგია.	თამაშთა თეორია, ფინანსები, კლინიკური თერაპია.
ორგანიზაცია	ფირმის თეორია, სოციალური ფსიქოლოგია.	სტრატეგიული დაგეგმვა, საწარმოო მენეჯმენტი, ორგანიზაციული დაპროექტება.
სახელმწიფო	სოციოლოგია, ანტროპოლოგია. მაკროეკონომიკა.	სამართლის ფილოსოფია, პოლიტოლოგია.

ჩამოთვლილი დისციპლინები პირობითად შეიძლება თრ ჯგუფად დავყოთ. აღწერითი დისციპლინები და ანალიტიკური დისციპლინები. აღწერითი დისციპლინები გვაძლევენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ სინამდვილეში ადამიანები როგორ იდებენ გადაწყვეტილებას. ანალიტიკური დისციპლინები გვასწავლიან, თუ როგორ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, თუკი გარკვეული კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ.

ამოცანის ანალიზი თეორიულ აქსიომებს ემყარება და ნაკლებად ფორმალიზებულ, გამოსაყენებლად ადვილ რეკომენდაციებამდე დაიყვანება. ეს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს გადაწყვეტილების მიღებისას პრაქტიკულ დახმარებას უწევენ.


მიღებული გადაწყვეტილების გაუმჯობესების მიზნით ჩვენს მიერ შერჩეული ნებისმიერი ანალიზური მიღვომა პრობლემის არსის ცოდნას მოითხოვს. ეს კი შესაბამისი აღწერითი დისციპლინების საშუალებებით ხორციელდება.

**აღწერითი ასპექტი.** აღწერის დონეზე, ორგანიზაციული ქცევის თეორიის კვლევების საფუძველზე დგინდება, თუ რა გავლენას ახდენს ორგანიზაცია და მისი სტრუქტურა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მაგალითად, კომპანიაში კონფლიქტების დროს შესაძლებელია კომპანიის ინტერესები არ დაემთხვეს გადაწყვეტილების მიმღები მენეჯერების ინტერესს. პოლიტოლოგია ასეთ კვლევებს სახელმწიფო დონეზე ატარებს. ფსიქოლოგია მეცნიერულად ასაბუთებს იმას, თუ რა შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია ადამიანს

გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის დამუშავებისას. აგრეთვე იმას, თუ რა წინაპირობები და მისწრაფებები შეიძლება არსებობდეს ადამიანის პიროვნებაში გადაწყვეტილების პროცესის გასამარტივებლად. სოციოლოგია განიხილავს სოციალური ნორმების გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

**ანალიზური ასპექტი.** ანალიტიკურ დონეზე ეკონომიკა კარგად დამუშავებულ რეკომენდაციებს გვთავაზობს ინდივიდისა და ფირმის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. საკმაოდ განვითარებულია მეცნიერება მართვისა და ოპერაციათა კვლევის შესახებ. იგი ეკონომიკასა და სამხედრო საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. დამუშავდა მრავალი ოპტიმიზაციური მოდელი. ეს მოდელები მოცემულ საწყის პირობებში, მოცემულ დროში, არსებული შეზღუდვებისას საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება. უკანასკნელ წლებში ამ მოდელებმა გამოყენება პოვეს ისეთ დარგებში, როგორიც არის ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მედიცინა და სხვა. აქ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების განვითარებამ. შეიქმნა ინტერაქტიული კომპიუტერული მოდელები და გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემები. ეს სისტემები ზრდიან მენეჯერის შესაძლებლობებს რთულ სიტუაციაში სწრაფად მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების მიღების **სტრუქტურა.** განვიხილოთ გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის სტრუქტურა. (ნახ.1.1).



ნახ. 1.1 გადაწყვეტილებათა მიღების სტრუქტურა.

ნახ.1.1-ზე მოცემულია ორი მართვული ხედი. ამ მართვული ხედებში მოცემულია გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ინტერესთა ორი ძირითადი

სფერო. ზედა მართკუთხედი შეიცავს ანალიტიკურ მეთოდებს და იმ გამოყენებით კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებს, რომლებიც გადაწყვეტილებათა მიღების მხარდასაჭერადაა შექმნილი. მეორე, ქვედა მართკუთხედში არის სამი ბლოკი. ეს ბლოკები შეიცავენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებს. განვიხილოთ ეს ეტაპები.

ბლოკი “სიტუაციები” შეიცავს პრობლემის იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ ვის უნდა შეეხოს მიღებული გადაწყვეტილება, რა უფლებები გააჩნიათ ამ სუბიექტებს და რა ინფორმაციას ფლობენ გადაწყვეტილების მიმღებები პირები.

ბლოკი “პრობლემის განსაზღვრა” სამ სტადიას შეიცავს. პირველ სტადიაზე, რომელსაც “პრობლემის იდენტიფიცირება” ეწოდება, გადაწყვეტილების მიმღები პირი აღიარებს, რომ ასეთი პრობლემა ნამდვილად არსებობს და მას, გადაწყვეტილების მიმღებს, ძალუმს პრობლემის გადასაჭრელად გადაწყვეტილება მიიღოს. ამ ეტაპის შემდეგ არის “პრობლემის მიღების” ეტაპი, როდესაც უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება აღწერილი პრობლემა გადაწყვეტილების მიმღები პირის შესაძლებლობებსა და დაკისრებული პასუხისმგებლობის დონეს. ასევე განისაზღვრება იერარქიის ის დონე, რომელზეც უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება პრობლემის გადასაჭრელად. ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა ამ პრობლემის განხილვა, თუ უფრო მიზანშეწონილია მისი იგნორირება.

ბოლოს ეტაპზე ხდება პრობლემის საწყისი პირობებისა და სტრუქტურის აღწერა. ასევე იმ კრიტერიუმების დაღვენა, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს პრობლემის გადაჭრა. ამავდროულად იგულისხმება, რომ გარკვეული მიზნის მისაღწევად შესაძლოა რამდენიმე ალტერნატიული გზა არსებობდეს.

ბლოკი “პრობლემის გადაჭრა” დაკავშირებულია პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მოქმედებების შერჩევასთან. ეს პროცედურა, თავის მხრივ, მოითხოვს პრობლემის გადასაჭრელად შემოტანილი სიდიდეებისა და ცნებების დაზუსტებას, შესაძლო ალტერნატივების დამუშავებას და შეფასებას, შემდეგ კი ერთერთი მათგანის შერჩევას.

არსებობს მოსაზრება, რომ ამ უკანასკნელ ბლოკში უნდა განისაზღვროს, თუ რა გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილება აქციების მფლობელთა ინტერესებზე. მიღებული გადაწყვეტილების აქციების მფლობელებზე გავლენის განსაზღვრას და ამის მიხედვით მისაღები გადაწყვეტილების კორექტირებას შერჩეული გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია ეწოდა.

## 1.2 პრობლემის აღწერა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების დამუშავება

გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებული სიტუაცის განხილვისას საჭირო ხდება შემდეგ კითხვებს გაეცეს პასუხი:

- როგორია პრობლემის ბუნება?— პრობლემის უმნიშვნელოვანების თავისებურებები დასახული მიზნების მიხედვით განისაზღვრებიან.
- რა ინფორმაციის შეგროვებაა საჭირო პრობლემის სტრუქტურის განსაზღვრისათვის?— ამ შეკითხვაზე პასუხი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადგილი და სწრაფად მოსაპოვებელია ინფორმაცია. აგრეთვე ინფორმაციის საიმედობაზეა დამოკიდებული.
- შერჩევის რომელი პროცედურები უნდა გამოვიყენოთ და იარსებებს თუ არა შერჩეული გადაწყვეტილების გაუმჯობესების გზები? გადაწყვეტილების შერჩევისას რთულ გამოთვლებს შესაძლებელია ინფორმაციის დიდი მოცულობა და გამოთვლების ჩასატარებლად იმდენად დიდი დრო დასჭირდეს. რომ მოსალოდნელი სარგებელი გადაფაროს.

- გადაწყვეტილების რომელი ალტერნატიული ვარიანტები განიხილება? – ამ შეკითხვაზე პასუხი ალტერნატივების დამუშავებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით მიიღება.
  - ვინ არიან აქციების ძირითადი მფლობელები? – ჯგუფები განისაზღვრება დასმული მიზნებითა და პრობლემის ტიპის მიხედვით.
  - როგორ დაიცავს გადაწყვეტილების მიმღები პირი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქციების მფლობელების წინაშე?
- განვიხილოთ რამდენიმე ტიპური მაგალითი სხვადასხვა სოციალური გარემოსთვის. (ცხრ.1.1)

სოციალური დონე	სიტუაცია	პრობლემის დადგენა
ინდივიდი	ბინით უკმაყოფილება	პრობლემის სწორედ დანახვა
ორი ინდივიდი	ექიმი–პაციენტი	ინფორმაციის გაცვლა და დიაგნოსტიკა
ჯგუფი	ოჯახი	შეხვედრის ადგილის დადგენა
ორგანიზაცია	პროდუქციის ხარისხის გაზრდა	დიაგნოსტიკა, ნამდვილი მიზეზის დადგენა
სახელმწიფო	გაზსადენის ადგილმდებარეობის დადგენა	მხარეებს შორის კონფლიქტის მოგვარება


### ცხრ.1.1 პრობლემის დადგენის ტიპური მაგალითები.

განვიხილოთ მაგალითი ინდივიდის დონეზე. ვთქვათ არის ისეთი სიტუაცია, როდესაც პიროვნებას ჯერ არ გააჩნია საკუთარი ოჯახი და ცხოვრობს მშობლებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ბინა მოსახერხებელია და ახლოს არის მის სამუშაო ადგილთან, პიროვნებას უთანხმოება აქვს მშობლებთან საკუთარი ცხოვრების წესის გამო. ამასთან ხედავს, რომ ზოგიერთი მისი ნაცნობი მარტო ცხოვრობს და უფრო ბედნიერად გამოიყერება. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩანს, რომ სიტუაცია მოითხოვს პრობლემის განსაზღვრას და ალტერნატივების მონახვას. სიტუაციის გაუმჯობესება შეუძლებელია, სანამ კარგად არ გაერკვევა, თუ რაში მდგომარეობს მისი პრობლემა. პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოსანახად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სიტუაციის რაც შეიძლება სრულად აღწერას, ასევე შესაძლო შედეგების განხილვას.

ჩვენ ეს პრობლემა განვიხილეთ როგორც ინდივიდუალური. თუმცა, თუ ოჯახის დანარჩენ წევრებსაც ავუხსნის, რომ ამ პრობლემის მოგვარება მათ ინტერესებშიც შედის, მაშინ ამაცანა იოლად გადავა ინდივიდუალურიდან ჯგუფურ (ოჯახის) დონეზე.

პრობლემის დადგენისადმი ევოლუციური მიღობა. პრობლემის დადგენისას მიზნები, ფასეულობები და მოთხოვნილებები გარკვეულ სასურველ შედეგს


ასახავენ. მიზანი განსაზღვრავს იმ სასურველ საბოლოო მდგომარეობას, რომელსაც სუბიექტმა საქმიანობის შედეგად უნდა მიაღწიოს. მოთხოვნილებები წარმოადგენენ სუბიექტის იმ ძირითად მიდრეკილებასა და მისწრაფებას, რომელიც დაგროვილი სოციალური, კულტურული და ბიოლოგიური გამოცდილებითაა განპირობებული. ფასეულობების ქვეშ იგულისხმება ის პერსონალური ან სოციალური უპირატესობები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს შედეგის მიღწევისას (მშვიდობა, თავისუფლება, სიმდიდრე და სხვა). ასევე იგულისხმება, რომ მიზნის მისაღწევად დასახული გზები მისაღები უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტისათვის (წესიერება, კეთილგანწყობა, და სხვა) (ნახ.1.2).



ნახ. 1.2 პრობლემის დადგენის პროცესისადმი ევოლუციური მიდგომა.

უნდა გვახსოვდეს, რომ პირველადია მოთხოვნილება. ფასეულობები მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობენ. რაც შეეხება მიზანს, იგი მიზნობრივი დაგეგმვის შედეგად ყალიბდება და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული. ამასთან ერთად, დაცული უნდა იყოს გარკვეული ფასეულობები. თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესს დინამიკაში განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, სუბიექტის მიზნები, ფასეულობები და მოთხოვნილებები იშვიათად არიან წონასწორობაში როგორც სუბიექტის შინაგან მდგომარეობასთან, ასევე გარემოში არსებულ სიტუაციასთან. აქედან გამომდინარე, სუბიექტის მიერ დასახული მიზანი არის რთული, ურთიერთ შეთანხმებების შედეგი, მისი ინსტიქტურ მოთხოვნილებებსა და როგორც პირადულ, ასევე სოციალურ ფასეულობებს შორის. ეს ემსახურება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმიური პერსპექტივების რეალიზებას.

**პრობლემის აღიარება (მიღება) და აღწერა.** გადაწყვეტილების მიმღები პირი საკუთარი ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ქმნის სასურველი სიტუაციის კონცეპტუალურ მოდელს. ამ მოდელს იგი იყენებს რეალური სიტუაციის შეფასებისას. თუკი რეალური სიტუაცია არ შეესაბამება იმ მოდელის პარამეტრებს, რომელიც გვინდა მივიღოთ, მაშინ ხდება პრობლემის არსებობის აღიარება. (ნახ.1.3).



### ნახ.1.3 პრობლემის მონახვის პროცესი.

როგორც ვხედავთ, სამი ძირითადი პროცესია: სკანირების პროცესი, შეწყვეტის პროცესი და საკუთრივ პრობლემის აღიარების პროცესი.

**სკანირების პროცესის** დროს ხდება მონაცემების აკრება და შემოსული მონაცემების დამუშავება. ამ მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიმღებს შეუძლია იმაზე იმსჯელოს, თუ რამდენად შეესაბამება რეალური პროცესი ნორმატიულ მოდელს. როდესაც რეალურ პროცესსა და ნორმატიულ მოდელს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, მაშინ საჭიროა პროცესის შეწყვეტა, რადგან აუცილებელი ხდება წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება. თუ გადაწყვეტილების მიმღები პირი ხედავს სიტუაციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შესაძლებლობას და პრობლემის გადაჭრაზე გასაწევი ხარჯის დაფარვის შესაძლებლობას, მაშინ ხდება პრობლემის აღიარება.

**ალტერნატივების შემუშავება.** არსებული მიღგომის შესაბამისად უნდა განვასხვავოთ ალტერნატივების შემუშავების აღწერითი და ანალიტიკური ასპექტები.

**აღწერითი ასპექტი.** აღწერითი ასპექტი განიხილავს ალტერნატივების შემუშავების არსებულ მეთოდებს. ალტერნატიული გზების განხილვის ყველაზე მარტივი საშუალება არის მხედველობა არსებულთან ახლო მდგომი ალტერნატიული გზების განხილვა. ალტერნატივების შერჩევის ასეთი სტრატეგია დამყარებულია არსებულ გამოცდილებაზე. მეორეს მხრივ, არსებობს აზრი, რომ ალტერნატივების განხილვისას ექსპერტები ხშირად საკუთარი გამოცდილების ტყვეობაში იმუოფებიან და მათ არ ძალუმთ პრობლემის ახალი

კუთხით დანახვა. ამიტომ ალტერნატივების გენერირების პროცესის რეალიზებისათვის ხშირად განსახილველი პრობლემის არასპეციალისტებს იწვევენ.

ანალიტიკური ასაკები ალტერნატივების შემუშავების ანალიტიკური ასპექტი განიხილავს არსებულის გაუმჯობესების საკითხს. გავაანალიზოთ ალტერნატივების შემუშავების პროცესი. წარმოვიდგინოთ, რომ იგი შედგება რამდენიმე თანმიმდევრული ეტაპისაგან. პირველ, მოსამზადებელ ეტაპზე ხდება მონაცემთა შეგროვება. მეორე ეტაპი იდეების შემუშავებასთან არის დაკავშირებული. ეს ეტაპი შეიცავს როგორც გაცნობიერებულ, ასევე ქვეცნობიერ პროცესებსაც და ამიტომ მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება გონების კონტროლს. იდეების გენერირების სტიმულირებისათვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. მაგალითად, ასეთებია გონებრივი შტურმის მეთოდი და ანალოგიების მეთოდი. მესამე ეტაპზე ხდება შემოთავაზებული იდეების შეფასება. ეს ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც წესი იმათ, ვისაც წარმატებით შეუძლია იდეების გენერირება, იშვიათად ძალუდო მათი სწორედ შეფასება და პირიქით.

### 1.3 ინდივიდუალური შეფასებისა და ალტერნატივების ამორჩევის მეთოდები.

(აღწერითი ასპექტი)

დავუშვათ, რომ ყოველი პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია რამდენიმე ალტერნატიული გზით და ყოველ მათგანს საკუთარი შედეგი აქვს. განიხილავენ გადაწყვეტილების მიღების პრობლემათა სამ კლასს. ესენია: გადაწყვეტილების მიღება განსაზღვრულ პირობებში, რისკის პირობებში და გაურკვეველ პერობებში. განსაზღვრულ პირობებში ყოველ ალტერნატივას ერთი შედეგი შეესაბამება. რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღებისას იგულისხმება, რომ არსებობს რამდენიმე შედეგი და თითოეულის დაგრომას საკუთარი ალბათობა გააჩნია. ამ შემთხვევაში ალბათობების დათვლა შესაძლებელია. გაურკვეველ პირობებში გადაწყვეტილების მიღებისას გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა (ბმპ) იცის რამოდენიმე შედეგის არსებობის შესახებ, მაგრამ არ შეუძლია მათი დადგომის ალბათობის განსაზღვრა.

#### გადაწყვეტილების მიღება გაურკვეველ პირობებში

გაურკვეველ პირობებში გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე წესი არსებობს. განვიხილოთ ამათგან ყველაზე პოპულარული შემდეგ მაგალითზე.

რესტორნის მეპატრონეს უნდა, რომ რესტორნის გადაგეოგების სამი შესაძლო ალტერნატივიდან ერთ-ერთი აირჩიოს:

1. დატოვოს ყველაფერი როგორც არის;
2. ოდნავ განაახლოს რესტორნი;
3. სრულად გადააკეთოს რესტორნი.

არსებობს სამი დამოუკიდებელი გარემოება, რომელზეც დამოკიდებულია ამა თუ იმ ალტერნატივის შერჩევა:

- ა) კონკურენტი შორიახლოს თავის რესტორნის გახსნის;
- ბ) შეიცვლება ავტოსტრადის მიმართულება, რაც შეამცირებს კლიენტების ნაკადს;

გ) პირობები არ შეიცვლება.

დავუშვათ, რომ შედეგების მატრიცას, რომელშიც რესტორნის მფლობელის შესაძლო მოგება აისახება ყოველი ალტერნატივისათვის, შემდეგი სახე აქვს (ცხრ.1.2):

ალტერნატივები	შესაძლო მდგომარეობები		
	ცვლილების გარეშე	ახალი კონკურენტი	ტრასის ცვლილება
არაფერი არ შეიცვალოს	2	0	-1
მინიმალური შეკეთება	4	3	-3
კაპიტალური გადაკეთება	7	2	-10

### ცხრ.12. რესტორნის მფლობელის შედეგების მატრიცა

ყოველი მონაცემი გვიჩვენებს მოგების (დანაკარგის) სიდიდეს გარემოს პირობების გათვალისწინებით სხვადასხვა ალტერნატივის შერჩევისას. როგორც ვხედავთ, მინიმალური შეკეთების შერჩევა უცვლელი მდგომარეობის პირობებში მფლობელს მისცემს 4 ერთეულ მოგებას. ამ ალტერნატივის შერჩევისას, თუ კონკურენტი გაჩნდა, მოგება იქნება 3 ერთეული, ხოლო ტრასის ცვლილებისას დანაკარგი 3 ერთეულს შეადგენს. თუ დავუშვებთ, რომ გარემოს პირობები არ შეიცვლება, მაშინ ამ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება კაპიტალური გადაკეთება.

გაურკვეველ პირობებში გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე მეთოდი არსებობს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

**მინიმალური დანანების წესი** გამოიყენება ისეთი სტრატეგიის შერჩევისას, როდესაც ჯამური სინანული (მოსალოდნელი დანაკარგი) არის მინიმალური (ცხრ.13).

ალტერნატივები	დანანების დათვლილი სიდიდეები			
	ცვლილების გარეშე	ახალი კონკურენტი	ტრასის ცვლილება	ჯამი
არაფერი არ შეიცვალოს	5	3	0	8
მინიმალური შეკეთება	3	0	2	5
კაპიტალური გადაკეთება	0	1	9	10

### ცხრ.13. დანანების მატრიცა

ცხრილის (ცხრ.13) ყოველი უჯრის მონაცემი არის სვეტში მოცემულ მაქსიმალურ მნიშვნელობასა და ამ უჯრის მონაცემს შორის სხვაობა. სტრიქონის მონაცემების ჯამი კი არის საგარაუდო სინანული მოცემული სტრიქონის შესაბამისი სტრატეგიის შემთხვევაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, სავარაუდო მინიმალური დანანება მინიმალურ შეკეთებას შეესაბამება.

**მაქსიმინის შედეგის წესი.** ამ წესის მიხედვით შეირჩევა ყველაზე ცუდ შედეგებს შორის საუკეთესო ალტერნატივა. თავიდან შეირჩევა მინიმალური შეფასება ყველა ალტერნატივისათვის, ხოლო შემდეგ აირჩევა მათგან ყველაზე მაქსიმალური. საუკეთესოდ მიჩნეული იქნება მაქსიმალური შეფასების მქონე ალტერნატივე (თუმცა ასეთი შერჩევა მეტად პესიმისტურია). ჩვენს მაგალითში ასეთი ალტერნატივა იქნება “არაფერი არ შეიცვალოს”.

**მაქსიმაქსის შედეგის** წესი გვთავაზობს ყველაზე ოპტიმისტური ალტერნატივის შერჩევას, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე საუკეთესო შედეგს გარემოს ყველაზე სასურველი პირობების შემთხვევაში. ჩვენ ამოცანაში ეს შეესაბამება ალტერნატივას ”კაპიტალური გადაკეთება” შეფასებით 7.

ყოველ შემოთავაზებულ მეთოდს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. მათი გამოყენება კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ზემოთ აღნიშნული წესების განხილვისას ვგულისხმობდით, რომ ყველა მდგომარეობის დადგომის ალბათობა თანაბარია და ყოველი ალტერნატივის შერჩევისას შედეგი მხოლოდ ერთი პარამეტრით განისაზღვრება.

### გადაწყვეტილების მიღება განსაზღვრული პირობებისას

გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები განსაზღვრული პირობებისას გამოიყენება ჩაკეტილ მოდელებში, როდესაც ყველა ალტერნატივა და მისი შედეგი ცნობილია.

განვიხილოთ შემდეგი ამოცანა. დავუშვათ სტუდენტი ჩავიდა სასწავლებლად სხვა ქალაქში და უნდა შეარჩიოს საცხოვრებელი ბინა. ძებნის დასრულების შემდეგ მან აღმოაჩინა ცხრა შესაფერისი ვარიანტი. ამასთან სტუდენტმა საუკეთესო ვარიანტის შერჩევისას გადაწყვიტა გაეთვალისწინებინა ბინის შემდეგი პარამეტრები: ფასი, მანძილი უნივერსიტეტამდე, ხმაური, ოთახების რაოდენობა და სამზარეულოს კომფორტი.

ალტერნატივა (ბინა)	1 თვის გადასახადი ლარებში	დრო უნივერსი- ტებამდე წთ.	ხმაური	ოთახების რაოდენობა	სამზარეულოს კომფორტი
	X1	X2	X3	X4	X5
1	40	5	დაბალი	2	ძველი
2	32	30	საშუალო	1	საშუალო
3	60	20	დაბალი	3	ახალი
4	45	15	საშუალო	3	ძველი
5	38	20	მაღალი	1	საშუალო
6	50	10	საშუალო	3	ახალი
7	46	20	მაღალი	2	ძველი
8	47	35	საშუალო	2	ახალი
9	46	40	დაბალი	2	ახალი

### ცხრ.1.4 ალტერნატივების ამსახველი პარამეტრების ცხრილი

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ ბინის რომელი პარამეტრია უფრო მნიშვნელოვანი სტუდენტისათვის და როგორია ამ პარემეტრების თანმიმდევრობა მათი მნიშვნელობის მიხედვით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე უნდა განისაზღვროს წესი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა. განვიხილოთ ალტერნატივების ამსახველი პარამეტრების ცხრილი (ცხრ.1.4).

საუკეთესო ვარიანტის შერჩევის ოთხი სხვადასხვა წესი არსებობს.

**წესი 1.** აირჩეთ ბინა მინიმალური გადასახადით.

ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა მხოლოდ ერთი პარამეტრი უნდა გაითვალისწინოს. ერთმანეთს უნდა შეადაროს ბინების ფასები და აირჩიოს უმცირესი. ამ შემთხვევაში გამოდგება ბინა 2.

**წესი 2.** აირჩიეთ ბინა, რომელიც ყველაზე ახლოა უნივერსიტეტთან და ამავე დროს გადასახადი არ აღემატება 50 ფულად ერთეულს თვეში. აქ უკვე ორი პარამეტრი განიხილება და გავაქვს მხოლოდ ორი შეფასება: განვიხილავთ( $\leq 50$ ) ან არ განვიხილავთ( $>=50$ ). ამ შემთხვევისათვის საუკეთესოა ბინა 1.

**წესი 3.** გადასახადისა და დროის ბალანსირების მეშვეობით შეირჩეს მისთვის უფრო მისადები ბინა. თუ ბინის ფასს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მანძილს უნივერსიტეტის მდგრადი, შეირჩევა ბინა 2. თუ მანძილი უფრო მნიშვნელოვანია, აირჩევა ბინა 1. ასეთი შეფასება ხშირად დაკავშირებულია სარგებლიანობის ფუნქციის აგებასთან. ეს ფუნქცია უნდა ასახავდეს ბმას მიერ პარამეტრებისათვის მინიჭებულ უპირატესობებს.

**წესი 4.** დადგინდეს გადასახადის ზღვრული სიდიდე (40) და დასაშვები დროის მაქსიმუმი (20 წთ.) ამის შემდეგ დარჩენილი ალტერნატივებიდან (ეს არის ბინა 1 და ბინა 5), ყველა დანარჩენი პარამეტრების გათვალისწინებით, შეირჩეს უკეთესი.

როგორც ვხედავთ ოთხივე წესი პარამეტრების ნაკრებით აღწერილი ალტერნატივების შეფასებისა და შერჩევის პროცესს ასახავს. პირველი წესი მხოლოდ ერთ პარამეტრს განიხილავს, ხოლო მეოთხე ხუთივე პარამეტრს განიხილავს. მხოლოდ ინფორმაციული სინელეგების გამო შემოდის შეზღუდვა ორ პარამეტრზე. ამით მარტივდება გამოთვლის პროცესი.

განვიხილოთ ამონასსნის ალტერნატივების შერჩევის უფრო ზოგადი წესები.

**დომინორება.** როდესაც არსებობს მრავალი ალტერნატივა, მათი რიცხვი შეიძლება შემცირდეს. ეს ხდება ჩამონათვალიდან იმ ალტერნატივების ამოდებით, რომლებიც ყველა პარამეტრებით აშკარად უარესია რომელიმე სხვა ალტერნატივაზე. ჩვენს შემთხვევაში ბინა 4 ყველა პარამეტრით დომინირებს (ჯობის) ბინა7-ს. ამიტომ ბინა 7 შეიძლება არ განვიხილოთ.

**კონიუნქცია და დიზუნქცია.** ამ მეთოდების მეშვეობითაც არის შესაძლებელი ზოგიერთი ალტერნატივის განხილვიდან ამოდება. კონიუნქციის წესის მიხედვით ყოველ პარამეტრს გარკვეული შეზღუდვა ედება. მაგალითად, ბინის შერჩევისას, შეიძლება იყოს ასეთი შეზღუდვები: ფასი უნდა იყოს არაუმტეს 50-სა, დრო 40-ზე ნაკლები, ხმაური არ იყოს საშუალოზე მეტი, ოთახების რაოდენობა არანაკლებ ორისა და სამზარეულოს კომფორტი არა ნაკლები საშუალოზე. კონიუნქციის ასეთ პირობებს აკმაყოფილებს მხოლოდ ბინა 8. შესაძლებელია პირობებს რამოდენიმე ალტერნატივა აკმაყოფილებდეს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ალტერნატივების შემცირებასთან. საბოლოო ვარიანტის მისადებად გამოიყენება რომელიმე 4 წესიდან.


დიზუნქციური წესის გამოყენებისას შეზღუდვა ედება ერთ რომელიმე პარამეტრს და ამის შემდეგ იწყება ალტერნატივების განხილვა. (მაგალითად ბინის ფასისათვის ზედა ზღვარის დადგენა).

დიზუნქციური წესი ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში. მაგალითად, რესტორანში მენიუს არჩევისას შეზღუდვა შეიძლება იყოს ან ფასზე ან საკვებში კალორიების რაოდენობაზე.

**პარამეტრის მიხედვით** ალტერნატივების შემცირება სხვადასხვა პარამეტრზე დადებული შეზღუდვის პირობის თანმიმდევრულ შემოწმებას ემყარება. ყოველი შემოწმების შემდეგ მცირდება შესაძლო ალტერნატივების რაოდენობა. ბოლოს ვირჩევთ ერთადერთ ალტერნატივას.

ნახ.1-ზე ნაჩვენებია ალტერნატივების რაოდენობის შემცირების პროცესი ბინების შერჩევის მაგალითზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის გადაჭრისას პარამეტრები “ოთახების რაოდენობა” და “სამზარეულოს კომფორტი” არჩევაში

არ მონაწილეობდნენ, რადგან პირველი სამი პარამეტრის გამოყენებამ კონკრეტული ალტერნატივის შერჩევამდე მიგვიყვანა.



#### ნახ.1.4 ალტერნატივების შერჩევა ეტაპობრივად, ასპექტების მიხედვით

ამ მეთოდის გამოყენებისას პარამეტრების შემოწმების თანმიმდევრობას აქვს მნიშვნელობა. ამ თანმიმდევრობის დადგენისას, როგორც წესი, პარამეტრებს წონები ან პრიორიტეტები ენიჭებათ.

გადაწყვეტილების მიღების **პროცედურული მიდგრძა** ისეთი კომპიუტერული პროგრამების სახით ხორციელდება, როდესაც მომხმარებლის აზროვნების პროცესის მოდელირება ხდება. განვიხილოთ ამორჩევის ამოცანა საპნის ყიდვის მაგალითზე. ვთქვათ, ყიდვის დაწყებამდე მყიდველმა თავისთვის ჩამოაყალიბა კონკრეტული მოთხოვნები პროდუქციის მიმართ. ესენია ფასი  $P_0$  და ხარისხი  $Q_0$ . ასევე ცნობილია ყიდვისათვის გამოყოფილი დრო. ძებნის პროცესი მაშინ დასრულდება, როდესაც მოიხახება პირველივე საპნის ნაჭერი, რომელიც ამ პირობებს აკმაყოფილებს. თუკი სასურველი საპონი არ აღმოჩნდება, ამას მოყვება მყიდველის მიერ მოთხოვნის შეცვლა (ფასის გაზრდა ან ხარისხის გაუარესება). ძებნა გაგრძელდება ახალი მოთხოვნის შესაბამუსად. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ მოიძებნება საჭირო პროდუქტი, ან არ ამოიწურება ყიდვისათვის გამოყოფილი დრო. აღნიშნულ მოდელს ხშირად პროგრამულ მოდელს უწოდებენ, რადგან მისი მეშვეობით გადაწყვეტილების მიღება ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება.

მოდელი “თუკი → მაშინ” ტიპის ლოგიკურ კონსტრუქციას წარმოადგენს (ცხრ.1.5). თუ ცხრილის მარცხენა მხარეს პირობა(თუკი) სამართლიანია, მაშინ სრულდება ცხრილის მარჯვენა მხარეს (მაშინ) მდგომი მოქმედება. ხოლო თუ ცხრილის მარცხნივ პირობა მცდარია, მაშინ პროგრამის შემდეგი სტრიქონი სრულდება.

თუკი	მაშინ
S1 ყიდვისათვის გამოყოფილი დრო >0	გამოვიკვლიოთ პირველი პროდუქტი
S2 გაყიდვაშია სხვა პროდუქტებიც	გამოვიკვლიოთ შემდეგი პროდუქტი
S3 სხვა პროდუქტები არ არის	შევასრულოთ S6
S4 დადგენილი პირობები არ სრულდება (P>PQ, Q<Q0)	შევასრულოთ S2
S5 დადგენილი პირობები სრულდება (P<=PQ, Q>=Q0)	გიყიდოთ რაც შევარჩიეთ და წავიდეთ
S6 ყიდვისათვის გამოყოფილი დრო >0	შევამციროთ მოთხოვნა და შევასრულოთ S1
S7 ყიდვისათვის გამოყოფილი დრო <=0	გავიდეთ მაღაზიიდან

ცხრ. 1.5 გადაწყვეტილების მიღებისადმი პროგრამული მიღგომა

მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი გადაწყვეტილებათა მიღების აღწერით ასპექტს მიეკუთვნება, იგი ხელოვნური ინტელექტის ულემენტებს შეიცავს, რაც გადაწყვეტილების მიღების ანალიტიკური ასპექტის ამოცანას წარმოადგენს.

### გადაწყვეტილების მიღება რისკის პირობებში

სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით დიდი ყურადღება ექვემდებარება გადაწყვეტილების მიღებას რისკის პირობებში.

დავუბრუნდეთ რესტორნის მფლობელის ამოცანას. (ცხრ.1.1). ეს ამოცანა ჩვენ განვიხილეთ გაურკვეველი პირობებისას.


ალტერნატივები	მოსალოდნელი მოგება(წაგება)
არაფერი არ შეიცვალოს	$0.5*2+0.2*0+0.3*(-1)=0,7$
მინიმალური შეკეთება	$0.5*0.2+0.2*3+0.3(-3)=1,7$
კაპიტალური გადაკეთება	$0.5*7+0.2*2+0.3*(-10)=0,9$

ცხრ. 1.6

დავუშვათ, რომ ჩვენთვის ცნობილია დამოუკიდებელი გარემოებების მოხდენის ალბათობები და შესაბამისად ეს ალბათობებია  $p1=0.5$ ,  $p2=0.2$ ,  $p3=0.3$ . ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს მოსალოდნელი მოგება (წაგება) ყოველი ალტერნატივისათვის, როგორც შეფასებებისა და შესაბამისი ალბათობების ნამრავლების ჯამი (ცხრ.1.6).

საუკეთესო ალტერნატივას უნდა შეესაბამებოდეს მაქსიმალური მოსალოდნელი მოგება. (ჩვენ შემთხვევაში ეს არის მინიმალური შეკეთება, რომლის მოსალოდნელი მოგებაა 1,7 ერთეული).

საუკეთესო სტრატეგიის შერჩევის განხილული მეთოდი, როდესაც მოსალოდნელი მოგების გამოთვლები ძირითადად დირექტულების შეფასებაზეა ორიენტირებული, გარკვეულ სახლვრებში კარგ შედეგებს იძლევა. თუმცა დიდი ფულადი სახსრების შემთხვევაში მას სერიოზული ნაკლი გააჩნია. ამასთან ერთად, ზოგჯერ, სასურველია ზოგიერთი გადაწყვეტილების შედეგების მიმართ არაფულადი შეფასებების გამოყენება. ამიტომ გადაწყვეტილების შესაძლო ალტერნატივის შესაფასებლად ხშირად გამოიყენება სარგებლიანობის ცნება.



ნახ. 1.5 ფულის სარგებლიანობის ფუნქცია


ნახ. 1.5-ზე მოყვანილია სარგებლიანობის დამოკიდებულება ფულის რაოდენობაზე. ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ წრფივ დამოკიდებულებას ადგილი აქვს მცირე ფულადი სახსრების შემთხვევაში. შემდეგ, ფულის რაოდენობის მატებისას, მრუდი უფრო ნელა იზრდება (ანუ მიუხედავად იმისა, რომ 1 ლარი=1 ერთ. სარგებლიანობას,  $100 \text{ მლნ. ლარი} > 100 \text{ მლნ. ერთ. სარგებლიანობა}$ ).

#### 1.4 ამოხსნის პროცედურების შერჩევა.

როგორც ავღნიშნეთ, პრობლემის გადაწყვეტა რამდენიმე ფაზად იყოფა. ეს ფაზებია: პრობლემის აღმოჩენა და ჩამოყალიბება; ალტერნატივების შემუშავება; ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. განვიხილოთ გადაწყვეტილების შერჩევის რამდენიმე მიღგომა ისეთი პრიბლემებისადმი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არსებული ინფორმაციის რაოდენობით და სხვა რესურსებით (მაგალითად, დროის რესურსით, ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობით და ა.შ.) ნახ. 1.6-ზე მოცემული სქემა ასახავს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო განსახილველ საკითხებს.

პრობლემის კონტექსტი და არსებული რესურსი. იმის მიხედვით თუ რომელ კონტექსტში ხდება პრობლემის გადაჭრა (ინდივიდუალურ, ჯგუფურ თუ ორგანიზაციულ), ჩნდება სხვადასხვა მიღგომის გამოყენების აუცილებლობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრობლემა სრულიად ცხადია ბმპ-სათვის, მას

მაინც უწევს ამ პრობლემის დამატებით გაანალიზება, რათა იგი გასაგები გახადოს დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის და დამტკიცოს მისი გადაჭრის აუცილებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოახდინოს პრობლემის ლეგიტიმაცია.



ნახ. 1.6. ამოხსნის პროცედურის შერჩევა

**პრობლემის ტიპი.** პრობლემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი სტრუქტურის ხარისხით, სირთულით, საწყისი ინფორმაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნებით, გადაწყვეტისათვის საჭირო დანახარჯებით და დროის რესურსით. ეს განსხვავება გავლენას ახდენს პრობლემის გადაწყვეტის პროცედურის შერჩევაზე.

**ბმპ-ს დახასიათება.** ამოხსნის პროცედურის შერჩევაზე ასევე გავლენას ახდენს ბმპ-ს კვალიფიკაცია და გამოცდილება. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღება მათემატიკური პროგრამირების საფუძველზე ბმპ-საგან პროგრამირების ჩვევებისა და გამოცდილების ქონას მოითხოვს.

**ლეგიტიმაციის კრიტერიუმები.** როგორც ავღნიშნეთ, ლეგიტიმაციის პროცესი აქციის მფლობელების ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამიტომ ბმპ-ზ აქციის მფლიბელებს უნდა დაუმტკიცოს, რომ პრობლემის გადაჭრის შერჩევლი მეთოდი მათთვის საუკეთესოა.

არსებობს გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის შემდეგი კრიტერიუმები:

- ოპტიმალობა (მიღებული გადაწყვეტილების შედეგების ოპტიმალურ მნიშვნელობებთან სიახლოვე);
- დაცულობა (რამდენად არის დასაბუთებული გადაწყვეტილება);
- გასაგებად ჩამოყალიბება (შეძლებენ თუ არა აქციის მფლობელები წარმოდგენილი დასაბუთების გაგებას);

- გამოყენების სიმარტივე (რამდენად ადვილი იქნება წარმოდგენილი შედეგების დანერგვა).

### გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

**გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის სისტემები.** განვიხილოთ ბანკში შექმნილი კომპიუტერული საინფორმაციო სისტემა, რომელიც თავის კლიენტებს ფასიანი ქაღალდების პორტფელების მართვაში ეხმარება. ბანკის კლიენტი შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, ასევე კომპანია. კლიენტების დავალებით ბანკმა უნდა გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფული და შექმნას ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელი. ბანკი ამ დავალების შესრულებაში გარკვეულ ანაზღაურებას იღებს. პორტფელების ასეთი ფორმირება ფასიანი ქაღალდების ყიდვა—გაყიდვაში გამოიხატება და მიზანად მოგების მიღებას ისახავს. ამასთან ბანკის სხვადასხვა კლიენტს სხვადასხვა მიზანი და მისწრაფება გააჩნია. ის, ვინც ხანგრძლივ პერსპექტივაზე ფიქრობს, ცდილობს გაზარდოს საკუთარი აქციების ღირებულება. იმას კი, ვისაც მხოლოდ მიმდინარე პერიოდი აინტერესებს, მხოლოდ დივიდენდების გაზრდა სურს. ასევე კლიენტები სხვადასხვანაირად რეაგირებენ შესაძლო რისკებზე.

პორტფელის ფორმირების თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია რეტროსპექტული მონაცემების ანალიზი ფასიანი ქაღალდების ფინანსური დინამიკის წინასწარმეტყველებისათვის. ამიტომ კლიენტის შეკითხვაზე, დირს თუ არა ინვესტირება ამათუ იმ აქციებში, ბანკის მრჩეველი აჩვენებს კლიენტს მოცემული სახის აქციების მოგებებისა და რისკების რეტროსპექტულ ცვლილებებს. ამას ემატება ახალი ინფორმაცია წარმოების სფეროსა და ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ. ყოველივე ეს მოითხოვს ბაზარზე არსებული ყველა სახის ფასიანი ქაღალდის მაჩვენებლების მრავალწლიან, სისტემატურ აღრიცხვას. თუკი რომელიმე კომპანიის აქციების ფასი სწრაფად ვარდება, მაშინ ბანკის მუშაქმა სასწრაფოდ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ პორტფელებშია განთავსებული ეს აქციები. ასეთი საქმიანობის წარმართვისათვის ბანკში იქმნა კომპიუტერული საინფორმაციო სისტემა, რომელსაც გადაწყვეტილების მხარდაჭერის სიტემა ეწოდა (ბმმს).

ასეთი სისტემა შემდეგ ინფორმაციას მოიცავს:

- პასუხებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ კითხვებზე (მათ შორის პროგნოზირებად პარამეტრებთან დაკავშირებით);
- შეკითხვებს წარმოების დარგთან მიმართებაში;
- შეკითხვებს მოცემული ანგარიშის შესახებ (ასევე ყველა იმ ფასიანი ქაღალდის შესახებ, რომელიც ამ ანგარიშიდან იყო შეძენილი);
- ცვლილებებს პორტფელში (ყველა შესყიდული და გაყიდული ფასიანი ქაღალდისა და ამ პორტფელში დარჩენილი სახსრების ნაშთის ამონაბეჭდს);
- კლიენტისათვის განკუთვნილ პერიოდულ ანგარიშს, რომელიც მისი ანგარიშისა და მაშინ მოსალიდელი ცვლილებების კომპიუტერულ ანალიზს შეიცავს;
- ბანკის მმართველისათვის განკუთვნილ პერიოდულ ანგარიშს, რომელშიც ასახულია ბანკის კონკრეტული მრჩეველის საქმიანობის ანალიზი.

ბმმს-ის გამოყენება ბანკში დიდ დახმარებას უწევს ბანკის მრჩეველს კლიენტის მომსახურებაში, აადვილებს მოპოვებული ინფორმაციის კლიენტამდე მიტანას. მეორეს მხრივ, ბმმს-ის გამოყენება ბანკის

თანამშრომლებისაგან დამატებითი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ცოდნის შეძენას, ხოლო სამუშაოს არსებულ წესებში გარკვეული ცვლილებების შეტანას მოითხოვს.

მათემატიკური დაპროგრამების ამოცანის მაგალითი. განვიხილოთ ასეთი ამოცანა(ცხრ.1.7): დიდი ფირმა აწარმოებს და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყიდის საკუთარ პროდუქციას. ფირმას აქვს ქარხნები ბათუმში, თელავში, ახალციხესა და დუშეთში. ეს ქარხნები ოთხ საბაზრო ზონას ემსახურებიან: აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ფირმის პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა საჭიროებს მისი პროდუქციის მოცულობის გაზრდას. ამისათვის ყველაზე იაფი და მარტივია მეორე ცვლის შემოდება თელავში, ან დუშეთში. (იგულისხმება, რომ დანარჩენ ორ ქარხანაში უკვე შემოდებულია მეორე ცვლა).

დანახარჯი პროდუქციის ერთეულის ტრანსპორტირებაზე ათას.ლარ.				წლიური წარმოება		ქარხანა	დანახარჯი ერთეულ პროდუქციაზე ათას. ლარ.
ჩრდილო ეთი	სამხრეთი	აღმო სავლეთი	დასა ვლეთი	1 ალტერ ნატივა	2 ალტერ ნატივა		
3	6	2	10	500	1000	თელავი	13
5	5	3	9	1000	500	დუშეთი	10
8	2	6	5	300	300	ახალციხე	9
5	8	11	2	1000	1000	ბათუმი	12
600	400	700	1000			◀ წლიური მოთხოვნა	

ცხრ. 1.7 შემოთავაზებული ალტერნატივების საწყისი მონაცემები

ევრისტიკული გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი ალტერნატივების ღირებულების მინიმიზებას, შემდეგში მდგომარეობს. ყოველი ბაზრის მომარაგებისათვის უნდა ავირჩიოთ ქარხანა, რომელსაც წარმოებასა და ტრანსპორტირებაზე მინიმალური ჯამური დანახარჯი აქვთ.  
ცხრ.1.8-ში მოცემულია ასეთი დანახარჯები პირველი ალტერნატივისათვის. მაგალითად, ჯამური ხარჯი თელავიდან ჩრდილოეთის ბაზრის მოსამარაგებლად შეადგენს  $13+3=16$  ერთეულს.

პროდუქციის ერთეულის წარმოებასა და გადაზიდვაზე გაწეული ხარჯი				წლიური წარმადობა	ქარხნები
ჩრდილო- ეთი	სამხრეთი	აღმო- სავლეთი	დასა- ვლეთი	◀ წლიური მოთხოვნა	ბაზრები
16	19	15	23	500	თელავი
15	15	13	19	1000	დუშეთი
17	11	15	14	300	ახალციხე
17	20	23	14	1000	ბათუმი
600	400	700	1000	◀ წლიური მოთხოვნა	
				◀ ბაზრები	

ცხრ.1.8 I ალტერნატივის შესაბამისი ჯამური ხარჯი

ასეთი სტრატეგიის შემთხვევაში უნდა დავადგინოთ, რომ ჩრდილოეთის ბაზარი უნდა მომარაგდეს დუშეთიდან, სამხრეთის ბაზარი – ახალციხიდან; აღმოსავლეთის ბაზარი – დუშეთიდან, ხოლო დასავლეთის ბაზარი – ბათუმიდან ან ახალციხიდან. მაგრამ შერჩეული სტრატეგია არ არის დასაშვები, რადგან იგი არ ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნის მოცულობას. მაგალითად სამხრეთის ბაზრის მოთხოვნა არის 400, ხოლო ახალციხის ფაბრიკის წარმადობა არის 300 ერთეული.

თუკი ჩვენ ოდნავ გადავუხვევთ ჯამური დანახარჯის მინიმუმის სტრატეგიას და გამოვიყენებთ მომხმარებელთა შორის განაწილების შესაძლებლობას ქარხნების სიმძლავრეების გათვალისწინებით, მივიღებთ ამოცანის ამოხსნის კიდევ ერთ ვარიანტს პირველი ალტერნატივისათვის (ცხრ.1.9).

საიდან–სად	ჩრდილოეთი	სამხრეთი	აღმოსავლეთი	დასავლეთი	ჯამი
თელავი	0	0	500	0	500
დუშეთი	600	100	200	0	900
ახალციხე	0	300	0	0	300
ბათუმი	0	0	0	1000	1000
<b>დანახარჯი ათას.ლარ.</b>	<b>9000</b>	<b>4800</b>	<b>9100</b>	<b>1400</b>	<b>37900</b>

#### ცხრ.1.9 პირველი ალტერნატივის რეალიზების შესაძლო ვარიანტი

ამ ვარიანტის რეალიზებისას გასაჩევი დანახარჯის გამოთვლა ადვილია 1.9 ცხრილის მონაცემების მიხედვით და 37900 ათას ლარს შეადგენს.

ამგვარად ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: წარმოების საუკეთესო ვარიანტებისათვის უნდა გამოვთვალოთ დანახარჯები და გავანაწილოთ პროდუქცია როგორც პირველი, ასევე მეორე ალტერნატივისათვის. ამის შემდეგ შევარჩიოთ საუკეთესო ალტერნატივა, ანუ ის, რომელიც მინიმალურ ხარჯს უზრუნველყოფს.

როდესაც ანალოგიური ამოცანა მრავალ საწარმოსა და მრავალ ბაზარს მოიცავს, ასეთი ამოცანა მეტ ფორმალიზებას მოითხოვს.

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$C_i$  - არის პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული ხარჯი.

$T_{ij}$ -არის პროდუქციის ერთეულის ტრანსპორტირების ხარჯი  $i$ -ური საწარმოდან  $j$ -ურ მოხმარების პუნქტში ,

$X_{ij}$ - არის  $i$  პუნქტიდან  $j$  პუნქტში გადაზიდული ერთეულების რაოდენობა.

ჩვენს მიერ განხილული ამოცანა დაიყვანება მათემატიკური (წრფივი) დაპროგრამების ამოცანამდე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

საჭიროა მიზნის ფუნქციის

$$\sum_{i=1}^4 \sum_{j=1}^4 (C_i + T_{ij}) X_{ij}$$

მინიმუმის პოვნა შემდეგი შეზღუდვებისას:

$$\sum_{i=1}^4 X_{ij} = D_j$$

$$\sum_{j=1}^4 X_{ij} = < S_i$$

სადაც  $D_j$  არის პროდუქციაზე წლიური მოთხოვნა მოხმარების  $j$ -ურ პუნქტში.  
 $S_i$  – არის წარმოების  $i$ -ურ პუნქტში მდებარე საწარმოს სიმძლავრე  
 $(i=1, \dots, 4)$

ეს ამოცანა ფართოდაა ცნობილი მათემატიკურ (წრფივ) დაპროგრამებაში, როგორც განთავსების ამოცანა. ამ ამოცანის ამოსახსნელად დამუშავებულია ეფექტური ალგორითმი და ამჟამად იგი რეალიზებულია ცხრილურ რედაქტორ EXCEL –ში. ამ ალგორითმის მეშვეობით ადგილად განისაზღვრება ოპტიმალური თანაფარდობები ჩვენს მიერ განხილული ორი ალტერნატივის მიხედვით. შედეგი თითოეული ალტერნატივის მიხედვით მოცემულია 1.10 ცხრილში.

საიდან სად ცალობით	ჩრდილოე თი	სამხრეთი	აღმოსავლეთი	დასავლეთი	ჯამური შედეგი
<b>ალტერნატივა 1</b>					
თელავი	500	0	0	0	500
დუშეთი	100	100	700	0	900
ახალციხე	0	300	0	0	300
ბათუმი	0	0	0	1000	1000
ხარჯი ლარებში	9500	4800	9100	14000	<b>37400</b>
<b>ალტერნატივა 2</b>			400		
თელავი	600	0	300	0	1000
დუშეთი	0	100	0	0	400
ახალციხე	0	300	0	0	300
ბათუმი	0	0	9900	1000	1000
ხარჯი ლარებში	9600	4800		14000	<b>38300</b>


ცხრ. 1.10. 1 და 2 ალტერნატივებისათვის ოპტიმალური ხარჯი და მოცულობა.

მიღებული მონაცემების მიხედვით უპირატესობა ენიჭება პირველი ალტერნატივის შერჩევას. მისი ჯამური ხარჯი შეადგენს 37400 ათას ლარს და ნაკლებია მეორე ალტერნატივის ჯამურ ხარჯზე.

ანალოგიური ამოცანების გადასაჭრელად შეიძლება შეიქმნას გადაწყვეტილების მხარდაჭერი კომპიუტერული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება მათემატიკური დაპროგრამების ოპტიმიზების მეთოდების გამოყენებაზე. ამ მეთოდებს მოგვიანებით გავეცნობით.

განთავსების ამოცანებისათვის გადაწყვეტილების მხარდაჭერი სისტემის ბლოკ-სქემა მოცემულია ნახ.1.7-ზე. საწარმო სიმძლავრეების დაგეგმვის ბლოკი უზრუნველყოფს საწარმოთა განთავსებისა და მათი სიმძლავრეების დადგენის ალტერნატიული ვარიანტების გენერირებას. წარმოებისა და პროდუქციის განაწილების დაგეგმვის ბლოკი უზრუნველყოფს ტრანსპორტის ამოცანის ალგორითმის რეალიზებას საწარმოო რესურსებზე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით. და ბოლოს, ალტერნატივების შეფასების ბლოკი განკუთვნილია მიღებული ალტერნატივების შედარებისათვის,

აქ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მათემატიკური დაპროგრამების ოპტიმიზების მეთოდებმა შესაძლოა ცენტრალური აღგილი დაიკავონ ასეთი ამოცანების პროგრამულ უზრუნველყოფაში.



ნახ.1.7 გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა განთავსების ამოცანისათვის.

**ფორმალიზებაზე დაფუძნებული ამოცანა.** განვიხილოთ უნივერსიტეტში ჩაბარების სიტუაცია, როდესაც აბითურიენტები ოთხ გამოცდას აბარებენ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება აბითურიენტის ჩარიცხვის თაობაზე შესაძლოა მიღებული იქნას წრფივი რეგრესიის განტოლების საფუძველზე.

$$Y_i = b_i X_{ij} + b_i X_{ij} + b_i X_{ij} + b_i X_{ij}, \quad i=1,\dots,n, \quad j=1,\dots,m;$$

$b_i$  –  $i$ - ური კომპონენტის ფარდობითი ფასი;

$Y_i$  – სიდიდე, რომლის მიხედვითაც მიღება გადაწყვეტილება აბითურიენტის ჩარიცხვის შესახებ;

$X_{ij}$  –  $j$ - ური აბითურიენტის მიერ  $i$ -ურ საგანში მიღებული შეფასება;

$i$  – საგნის განმსაზღვრელი ინდექსი;


$j$  – აბითურიენტის განმსაზღვრელი ინდექსი;

საგნის შესაბამისი წონისა და ჩარიცხვის მაჩვენებლისათვის მიღების პირობების განმსაზღვრელი გრადაციის დადგენის შემდეგ, ყოველი სტუდენტისათვის შეირჩევა ალტერნატივა – მიიღონ, ან არ მიიღონ.

### Decision- ანალიზი

**Decision-ანალიზი,** როგორც წესი, გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად როგორც გაურკვეველ, ასევე რისკის პირობებში, როდესაც ალტერნატივებს შორის საუკეთესოს შერჩევა შესაძლო შედეგის დადგომის ალბათობის განსაზღვრით ხორციელდება.

განვიხილოთ **Decision-ანალიზის** ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი – გადაწყვეტილებათა ხის აგება. განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც გეოლოგიურ კომპანიას სურს გადაწყვეტილების მიღება ნავთობის ჭაბურღილის გაბურღვის თაობაზე. იმისათვის, რომ წარმატების შანსი გაიზარდოს, კომპანიას შეუძლია ძალიან ძვირად ღირებული სეისმური გამოკვლევები ჩაატაროს და მხოლოს ამის შემდეგ, მიღებული შედეგების მიხედვით, მიიღოს გადაწყვეტილება გაბურღვის თაობაზე. ნახ.1.8-ზე მოცემულია ბურღვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ამსახველი ხე. (შესაბამისი აღნიშვნებია: **დადგებითი შედეგი**, უ – უარყოფითი შედეგი).



ნახ.1.8 ბურღის პროცესის ამსახველი გადაწყვეტილებათა ხე

გადაწყვეტილებათა ხის აგების შემდეგ უნდა შეირჩეს საუკეთესო ალტერნატივა. ამისათვის უნდა განვიხილოთ ნახატზე რგოლებით გამოსახული თითოეული ხდომილების შედეგის ალბათობა. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი ხდომილება – გამოცდა და გაბურღვა. ალბათობები  $P(\dot{\varrho})=0.31$  და  $P(\dot{\varphi})=0.69$  გამოხატავენ წარმატებულ ან წარუმატებელ შედეგს წინასწარი გამოცდის გარეშე.  $P(\dot{\varrho}/\dot{\varrho}1)=0.8$  და  $P(\dot{\varphi}/\dot{\varrho}1)$  გვიჩვენებენ ბურღის დადებითი ან უარყოფითი შანსის ალბათობას, როდესაც წინასწარი გამოცდის შედეგი დადგებითია ( $\dot{\varrho}1$ ).

გადაწყვეტილებათა ხის მეთოდის, ისე როგორც ანალიზის სხვა მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილია იმ სფეროში, სადაც დაგროვილია დიდი გამოცდილება და არსებობს რეტროსპექტული ინფორმაცია. ეს აიოლებს ალბათობების და მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო შედეგის განსაზღვრას.


## თავი 2 პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება

### 2.1 გადაწყვეტილების მიღება ჯგუფის მიერ

გადაწყვეტილების მიღების თეორიასა და პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე ინდივიდის მიერ მიღებულ, ეგრეთ წოდებულ ჯგუფურ, გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებული ინტერესი ჯგუფური გადაწყვეტილებების მიმართ იმით განპირობებულია, რომ საზოგადოებაში არსებობს მაღალი პრიფერაციალური სპეციალიზაცია და ამასთან, ცალკეული ინდივიდის ფიზიკური და ინფორმაციული შესაძლებლიბები საკმაოდ შეზღუდულია. მაგალითად, ფირმის განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, რომელიც ისეთ ასპექტებს მოიცავს, როგორიცაა მარკეტინგი, ფინანსები, წარმოებისა და პერსონალის მართვა, საჭირო ხდება ხოლმე აღნიშნულ დარგებში სპეციალიზებული ცოდნისა და ჩვევების მქონე ექსპერტთა ჯგუფის შექმნა.

დავუშვათ არის ექსპერტთა ჯგუფი (5 დან 20 კაცამდე), რომელმაც ამოცანა უნდა ჩამოაყალიბოს, დაამუშაოს შესაძლო ალტერნატივები და შეარჩიოს მათ შორის საუკეთესო. ასეთი შეიძლება იყოს დირექტორთა საბჭოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება ახალ ტექნოლოგიაში ინვესტიციის შესახებ, ან რომელიმე პროდუქციის გაყიდვების პროგნოზი რამდენიმე წლისათვის. ჯგუფური გადაწყვეტილებების ეტაპები პრაქტიკულად არ განსხვავდებიან ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების შესაბამისი ეტაპებისაგან. ასე რომ, ჯგუფურ მიღეომას ბევრი საერთო აქცეს ინდივიდუალურ მიღეომასთან, რადგან ორივე შემთხვევაში ამოსავალი წერტილებია: ფასეულობები, შეხედულებები და ცალკეული შეზღუდვები. თუმცა ჯგუფს გააჩნია საკუთარი, განსხვავებული მახასიათებლები, როგორიცაა, მაგალითად, ნდობა და ერთსულოვნება. აქედან გამომდინარე, ჯგუფი არ არის მხოლოდ ინდივიდების უბრალოდ ნაკრები, არამედ მას დამატებითი თვისებები გააჩნია.

განვიხილოთ ჯგუფში მიმდინარე პროცესების დამოკიდებულება იმ ფაქტორებთან, რომლებიც ჯგუფის გარემოცვას ქმნიან (ნახ.2.1).



ნახ. 2.1 ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება და მისი გარემოცვა

ასეთ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- განსახილვები ამოცანის არსი და ის შეზღუდვები, რომლებიც ამ ამოცანის ბუნებიდან გამომდინარეობენ;
- გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის დახასიათებლები მასში შემავალი წევრების პერსინალური მახასიათებლების შედარების საფუძველზე;
- პროტოკოლი (პროცედურების ერთობლიობა), რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ჯგუფის საქმიანობას;
- ჯგუფის წევრების ურთიერთდამოკიდებულება;
- ჯგუფის ყოველი წევრის უფლებამოსილების (ძალაუფლების) დონე;
- ჯგუფის ლიდერის ქცევა;
- ჯგუფის საქმიანობისათვის განსაზღვრული დროის რეგლამენტი და მოტივირების საფუძველი;
- ჯგუფისათვის ამოცანის შესრულებაზე გამოყოფილი რესურსი.

ჯგუფის საქმიანობის შედეგიანობა დამოკიდებულია, როგორც გამოყოფილ რესურსზე, ასევე ამ რესურსების გამოყენების სტრატეგიაზე. სტრატეგიის არასწორად შერჩევა ზედმეტი გათვლებისა და მოლაპარაკებების საჭიროებას იწვევს, რაც დამატებით რესურსს მოითხოვს.

არსებობს მრავალი მაგალითი, როდესაც ღირსეული ექსპერტების მიერ მიღებული იქნა არასწორი გადაწყვეტილება. ასეთი სიტუაციების განხილვისას მკვლევარებმა დაადგინეს ეგრეთ წოდებული “კოლექტიური აზროვნების” რამდენიმე ნაკლი. ხშირად ჯგუფი არის მეტისმეტად შეკრული იმის გამო, რომ კარგად იცნობენ ერთმანეთს და ერთმანეთის მიმართ სიმპატიები გააჩნიათ. ასევე ზოგად ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ლიდერის გადაჭარბებული დიქტატორული ქცევა, როდესაც ის დიად თუ დაფარულად უმხელს ჯგუფის სხვა წევრებს საკუთარ აზრს. ამის შემდეგ ჯგუფის წევრები ცდილობენ ლიდერის პოზიციის დაცვას. ჯგუფური აზროვნების ეს და სხვა ნაკლოვანებები, როგორც წესი, იწვევენ განსახილველი ალტერნატივების სიმცირეს, ან ისეთი გარემოების უგულვებელყოფას, რომელთა განხილვა გადაწყვეტილებას შეცვლის.

ჯგუფური აზროვნების ერთერთი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა კონფორმიზმი. ჯგუფი გარკვეულ გავლენას ახდენს საკუთარ წევრებზე და ხშირად ამ გავლენის ქვეშ მოქცეული წევრები ცდილობენ არ გამოთქვან განსხვავებული აზრი. მიზეზი შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ერთ შემთხვევაში ჯგუფის წევრს არ სურს საერთო ბალანსის დარღვევა. მეორე შემთხვევაში ფიქრობს, რომ მისი იდეა შეიძლება აბსურდულად მოეწვენოთ.

ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებისას ერთერთი დილემაა, რომ თუმცა ორმა ადამიანმა იცის მეტი, კიდრე ერთმა, მათი ურთიერთობა ყოველთვის არ იძლევა ამ უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ ხშირად მიმართავენ ისეთ მეთოდს, როდესაც ექსპერტებს შორის ურთიერთობა შეზღუდულია და კონსენსუსი კენჭის ყრის შედეგად მიიღწვევა. ეს მიღგომა საფუძვლად უდევს დელფის მეთოდს, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

## 2.2 გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ჯგუფური კომპიუტერული სისტემები

ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებისას ექსპერტებს დიდ დახმარებას უწევს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ჯგუფური კომპიუტერული სისტემა. ეს სისტემა აუმჯობესებს ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციის ხარისხს და ეხმარება მათ ჯგუფური აზროვნების ნებატიური შედეგების დაძლევაში.

გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ჯგუფურ კომპიუტერულ სისტემა, როგორც წესი, განალაგებულია დარბაზში, ლოკალურ ქსელში გაერთიანებული 10-15 კომპიუტერული ტერმინალით. ამ სიტემის მუშაობის თანმიმდევრობა ასეთია:

ყველა მონაცემი გამოდის ყველასათვის თვალსაჩინოდ განლაგებულ ეკრანზე.

**ნაბიჯი 1. ამოცანის დახმა** ამოცანის დასმის პროცესში ჯგუფი განიხილავს მის შინაარსს და იდებს ამოცანის მოკლე ვერბალურ ფორმულირებას. მაგალითად, “გამოვავლინოთ ჩავარდნების მიზეზი, რათა გავზარდოთ ფირმის კლიენტების დაკვეთების შესრულების სიჩქარე და სიზუსტე”.

**ნაბიჯი 2. კლეიტონული კონკრიტული შტურმი** ეს ეტაპი არის იდეების გენერირების ეტაპი. ჯგუფის ყოველ წევრს ტერმინალში შეჰყავს გადასაჭრელ საკითხთან დაკავშირებული რაც შეიძლება მეტი იდეა. კლიენტების დაკვეთების ამოცანის შემთხვევაში ეს იქნება ჩავარდნების შესაძლო მიზეზები და წინადადებები მათი აღმოფხვრის თაობაზე. ჯგუფის წევრების მიერ შემოთავაზებული ყველა იდეა ეკრანზე გამოდის და ხელმისაწვდომი ხდება ჯგუფის ყველა წევრისათვის. ეს იძლევა ამ წინადადებების კლასიფიცირებისა და განხილვის შესაძლებლობას.

**ნაბიჯი 3. მდებარეობის კლასიფიცირება** ამ ეტაპზე ხდება იდეების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშანთვისებების მიხედვით. ასევე ხდება სიიდან ისეთი იდეის ამოღება, რომელიც მეორდება, ან საწყისშივე მიუღებელია.

**ნაბიჯი 4. პრიორიზებულების დადგენა** ამ ეტაპზე კენჭის ყრით დგინდება, თუ პრობლემის გადაჭრის რომელი მიღომა უნდა იქნას განხილული პირველ რიგში.

**ნაბიჯი 5. პასუხისმგებელი პირების დანიშნვა** ამ ეტაპზე ჯგუფის წევრებიდან ინიშნებიან პასუხისმგებელი პირები, რომლებიც აკონტროლებენ ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.


მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სისტემის მუშაობა შესაძლოა ძალიან მარტივი მოგვეჩენოს, იგი მაინც დიდ დახმარებას უწევს ჯგუფს და მისი გამოყენება კარგ შედეგებს იძლევა. ამ სისტემის გამოყენებით იზოგება დრო და რესურსი, უმჯობესდება ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის. იდეების ანონიმური შეგროვება, ასევე 4 და 5 ნაბიჯზე კენჭისყრა, მნიშვნელოვნად ამცირებს კონფორმიზმისა და ჯგუფური აზროვნების უარყოფით შედეგებს.

## დელფის მეთოდი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხშირად გადაწყვეტილების მიმღები პირი, პირადი განწყობის გამო, შეცდომას უშვებს. როგორც თეორიული კვლევების, ასევე პრაქტიკული შედეგების მიხედვით ითვლება, რომ ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება უფრო ხელსაყრელია და ნაკლებად ხდება შეცდომის დაშვება. მეორეს მხრივ, ჯგუფური აზროვნების ხარვეზების ანალიზიდან გამომდინარე, საჭიროა ჯგუფური გადაწყვეტილების გაკონტროლება, რათა არ მოხდეს უმცირესობის აზრის დათრგუნვა. ერთერთ წარმატებულ მეთოდად, რომელიც ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებას აკონტროლებს, **დელფის მეთოდს** მიიჩნევენ. ეს მეთოდი შემდეგში მდგომარეობს (ნახ.2.2):

წარმოვიდგინოთ, რომ 15–20 კაცისაგან შემდგარმა ექსპერტთა ჯგუფმა უნდა გააკეთოს პროგნოზი, თუ როგორი იქნება ფირმის მიერ წარმოებული საქონლის გასაღების მოცულობა უახლოესი ხუთი წლის მანძილზე. დელფის მეთოდის რეალიზება ხდება ნახ.2.2-ზე მოყვანილი სქემის მიხედვით. მას შემდეგ, როდესაც ყველა მონაწილე ანონიმურად გასცემს პასუხს პირველი რაუნდის შეკითხვებს, ხდება შედეგების სტატისტიკური დამუშავება. შედეგები

დაურიგდებათ ჯგუფის წევრებს მეორე რაუნდის შეკითხვებთან და მონაცემებთან ერთად. მესამე და მომდევნო რაუნდებისათვის მონაცემების



### ნახ.2.2 დელფის მეთოდი

დამუშავება ხდება პირველი რაუნდის ანალოგიურად და ეს გრძელდება მანამ, სანამ არ მიიღწევა ჯგუფის წევრების პასუხების განაწილების წონასწორობა. ამას, როგორც წესი, სამი ან ოთხი რაუნდი სჭირდება.

ქვემოთ მოცემული მონაცემები გამოხატავენ გაყიდვების მოცულობას ბოლო ხელის მანძილზე. შეაფასეთ მთელი დარგისა და თქვენი ფირმის გაყიდვების მოცულობა მომდევნო 5 წელიწადში			
წელი	დარგის გაყიდვების მოცულობის ზრდის პროცენტი	დარგის გაყიდვების მოცულობა	ფირმის გაყიდვების მოცულობა
2009	8,2	1100	340
2010	9,1	1200	370
2011	12,5	1350	410
2012	3,7	1400	505
2013	1,8	1425	515
2014	—	—	—
2015	—	—	—
2016	—	—	—
2017	—	—	—
2018	—	—	—

ცხრ.2.1

დელფის მეთოდის გამოყენება, პასუხების ანონიმურობის გამო, კონფორმიზმის, ასევე ჯგუფური აზროვნების სხვა უარყოფით თვისებების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა და ხელს უწყობს გულწრფელი პასუხების გაცემას. პირველ რაუნდში დარიგებული შეკითხვებისა და მონაცემების ჩამონათვალი მოცემული ცხრ.2.1 –ზე.

ამგვარად, ჯგუფური გადაწყვეტილებების თავისებურებების განხილვამ დაგვანახა, რომ პრობლემის გადაჭრის ჯგუფური მეთოდი დამატებით შესაძლებლობებსა და რესურსს შეიცავს, რაც მიღებული გადაწყვეტილებების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

### **2.3 გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციის მიერ**

განვიხილოთ გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციის მიერ. არსებობს ორგანიზაციის რამდენიმე მოდელი ანუ რამდენიმე მიღგომა გასაწყვეტილების მიღებისას. ეს მოდელებია: უნიტარული, ორგანიზაციული, პოლიტიკური და კონტექსტური.

**უნიტარული მოდელი** ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ორგანიზაციის წინაშე მდგომი მიზნების მისაღწევად რაციონალურ სტრატეგიას ერთი პიროვნება ირჩევს ორგანიზაციის სახელით. ეს მიღგომა ძალიან პოპულარულია. ჩვენ ხშირად ვაიგივებთ საწარმოს, მთავრობებს და სახელმწიფოებსაც კი ერთ პიროვნებასთან, რომელიც გადაწყვეტილებას თავის სასარგებლოდ იღებს.

**ორგანიზაციული მოდელი** იქმნება იმ დაშვებებით, რომ ფირმაში არსებობს რამდენიმე ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს. ეს ფუნქცია მათ ფირმის დებულებით აქვთ მინიჭებული. ამ ადამიანების მოქმედება ერთმანეთთან შეთანხმებული უნდა იყოს. მაგალითად, თუ ფირმაში არის რამდენიმე ქვედანაყოფი, რომელთა ამოცანები და შეზღუდვები ერთმანეთისაგან განსხვავდება, საჭიროა მათი თანამშრომლობა, რათა გაინაწილონ პასუხისმგებლობა ფირმის მიზნების მისაღწევად.

**პოლიტიკური მოდელი** ისე არის აგებული, რომ ორგანიზაციის მიზნები შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას ცალკეული მუშაკის ან ქვედანაყოფის მიზნებით.

**კონტაქტური მოდელი** ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელიც ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებას ახლავს. ყოველ ორგანიზაციაში არსებობს მრავალი გადაუეჭრელი კონფლიქტი. ქვედანაყოფები და ცალკეული მუშაკები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფასეულობებით, სურვილებით და რისკისადმი დამოკიდებულებით. ყველაფერი ეს ქმნის დაწესებულებაში გარკვეულ კონტექსტს, ფონს, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე და ხშირად ბევრად უფრო მეტს, კიდრე ორგანიზაციის წინაშე არსებული მიზნები.

მოდელის შერჩევა ამა თუ იმ ორგანიზაციისათვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი საკითხის გადაწყვეტა საჭირო, როგორი სახის ინფორმაციას ფლობს ორგანიზაცია და როგორია მისაღები გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგები.

უნიტარული მოდელი გვაგონებს სიტუაციას, როდესაც ერთი პიროვნება ცდილობს მიიღოს გადაწყვეტილება და მის ხელთ არის რამდენიმე ალტერნატივა. სხვა მოდელები კი პირიქით, მეტ ყურადღებას აქცევენ ადამიანებს შორის ურთიერთობას.

## ორგანიზაციის მართვის ოთხი მიდგომა

### უნიტარული მოდელი

- როგორია ძირითადი პროცესები?
- როგორი აღტერნატივები არსებობს?
- როგორია დანახარჯები და აღტერნატივების რეალიზების

### ორგანიზაციული მოდელი

- რომელია საწარმოს საქმიანობის სფერო და როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა თანამდებობებს შორის?
- როგორ ხდება ინფორმაციის დამუშავება?
- როგორია დამუშავების სტანდარტული პროცედურები?
- როგორ ხდება აღტერნატივების დამუშავება?
- როგორ ხდება მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება?

### პოლიტიკური მოდელი

- ვინ არიან ძირითადი მოქმედი პირები?
- ვინ დგას მათ უკან?
- როგორია ზეწოლის განხორციელების მეთოდები?
- როგორია არსებული კოალიციები და ვინ შედის მასში?
- რომელ საკითხებში განსხვავდება ორგანიზაციის მიზანი შემავალი ქვედანაყოფების მიზნებისაგან?

### კონტექსტური მოდელი

- რისი გაკონტროლება არ ხდება?
- როგორია მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების გაბნევა?
- რომელი ძირითადი სადაცო საკითხები იწვევენ დაპირისპირებას?
- როგორია გარე ძალები, რომლებიც ახდენენ ზეწოლას გადაწყვეტილების მიღებაზე?
- რამდენად შესწევს უნარი ორგანიზაციას გავლენა მოახდინოს ზემდგომ დონეებზე გადაწყვეტილებების მიიღებაზე?

ზემოთ აღწერილი მოდელების გარდა, ხშირად სასარგებლოა მიღებული გადაწყვეტილებების დაყოფა მართვის დონეების მიხედვით. განვიხილოთ სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილებები.

**სტრატეგიული გადაწყვეტილებები**, როგორც წესი, გავლენას ახდენენ ფირმის კეთილდღეობასა და მის საქმიანობაზე. ეს გადაწყვეტილებები ახალი საქონლის და ახალი ბაზრების შერჩევას ეხება, ასევე ფირმის სტრუქტურის ცვლილებას და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას. ასეთი გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, ორიგინალურია და მათი მიღება უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე ხდება.

**ტაქტიკური გადაწყვეტილებების** მიღება, როგორც წესი, საშუალო დონის მენეჯერების საქმიანობაში შედის. ეს გადაწყვეტილებები ეხება ფასტარმოქმნას, პერსონალის მოძრაობას, მარკეტინგს, წარმოებას, ნედლეულით და მასალებით მომარაგებას და სხვა. რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილებები შესაძლოა სტრატეგიულ ელემენტებსაც შეიცავდნენ, მაგრამ მთლიანობაში ისინი არ

ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ფირმის საქმიანობის ჯამურ მახასიათებლებზე, ან ფირმის სტრატეგიაზე. ამრიგად, ტაქტიკური გადაწყვეტილებების გავლენა ფირმის საქმიანობაზე სტრატეგიულ გადაწყვეტილებებთან შედარებით შეიძლება მეორეხარისხოვნად მოგვეჩვენოს, თუმცა ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პერსონალზე, მათ ჯგუფებზე და მთლიანად ქვედანაყოფებზე. ვინაიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტაქტიკური გადაწყვეტილებები ბევრად მეტია ვიდრე სტრატეგიული, მათი ერთობლივი გავლენა შესაძლოა სტრატეგიული გადაწყვეტილებების თანაზომადიც კი იყოს.

**ოპერატორი გადაწყვეტილებები.** როგორც წესი, მიიღება ყველაზე დაბალ დონეზე. ასეთი გადაწყვეტილებები არის რუტინული და ხშირად ერთი და იგივე მეორდება. ამ გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებას ხშირად იწვევს დაწესებულებაში არსებული წესები, სტანდარტები და მითითებები. ოპერატიული გადაწყვეტილებები შესაძლოა ეხებოდეს მოწყობილობების შენახვასა და შეკეთებას, საბუღალტრო აღრიცხვას, შენობის დაცვას, პერსონალის სამუშაო გრაფიკს და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უნიტარული მოდელი უმეტესად სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიყენება. უნიტარული მიდგომისათვის ყველაზე რთულია ორგანიზაციული მოდელი, როდესაც განიხილება არა მხოლოდ დაწესებულების შინაგანი სტრუქტურა, არამედ მისი გარემოცვაც: მომწოდებლები, მომხმარებლები, კონკურენტები და სხვა. ეს დაკავშირებულია იმასთან რომ, რომ ორგანიზაციული მოდელის ფარგლებში ტაქტიკური გადაწყვეტილებები მისაღებად საჭიროა იმ ურთიერთდამოკიდებულების განხილვა, რომელიც საშუალო რგოლის მენეჯერებს შორის არსებობს. ეს მენეჯერები შეიძლება მუშაობდნენ როგორც ფირმაში, ასევე ფირმის გარეთ.

**თავი 3**  
**ინფორმაციული სისტემები და მათი გამოყენება გადაწყვეტილების  
მიზანისას**

**3.1 ინფორმაციული სისტემების კლასიფიცირება**

სანამ გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად კომპიუტერული სისტემების განხილვაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილია განვიხილოთ ზოგიერთი ცნებების ურთიერთკავშირი. ესენია:

- მართვა,
- მართვის გადაწყვეტილების მიღება,
- ინფორმაციული სისტემების გამოყენება მართვის მიზნებისათვის.

მართვა წარმოადგენს რესურსების (მასალების, ადამიანების, ფულის, ენერგიის) გამოყენების პროცესს, გარკვეული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, პროდუქციის ან მომსახურების შესაქმნელად. ამიტომ მენეჯერის მუშაობის ეფექტურობის შეფასება ხდება მართვის შედეგის შეფარდებით ამ შედეგის მიღწევაზე დახარჯულ რესურსთან. მართვის ეფექტურობის დონე დამოკიდებულია მართვის ისეთი ფუნქციების შესრულებაზე, როგორიცაა დაგეგმვა, ორგანიზება, კონტროლი, რეგულირება და სხვა. ამ ფუნქციების შესრულება მმართველისაგან მუდმივად მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას. ეს გადაწყვეტილებები დაკავშირებულია რემდენიმე ალტერნატივიდან საუკეთესოს შერჩევასთან.

კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების გამოყენების შესაძლებლობა მართვის გადაწყვეტილების მიღებისას იმით განისაზღვრება, თუ:

1. რამდენად არის სტრუქტურირებადი მისაღები გადაწყვეტილებები,
2. ფირმის იერარქიის რომელ დონეზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.
3. ბიზნესის რომელ ფუნქციონალურ სფეროს ეხება მისაღები გადაწყვეტილება,
4. რომელი ინფორმაციული ტექნოლოგია გამოიყენება.

**ინფორმაციული სისტემების კლასიფიცირება ამოცანის  
სტრუქტურირებულობის მიხედვით.**

ამოცანა ითვლება სტრუქტურირებულად, თუ გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის ცნობილია ამოცანის ყველა ელემენტი და კავშირები ამ ელემენტებს შორის. როდესაც ამოცანის გადაწყვეტა მაღალ სიზუსტეს მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ამოცანის მათემატიკური მოდელის შექმნა და ამოცანის გადაწყვეტის ზუსტი ალგორითმის დადგენა. სტრუქტურირებადი ამოცანების გადაჭრისას ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენების მიზანია მათი ამოხსნის სრული ავტომატიზება, ანუ ადამიანის როლის ნულამდე დაყვანა.

როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ პირს არ შეუძლია ცალკეული ელემენტების გამოყოფა და მათ შორის კავშირების დადგენა, ასეთ ამოცანებს არასტრუქტურირებული ეწოდებათ და მათი გადაწყვეტა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. არასტრუქტურირებული ამოცანის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფირმის რომელიმე ქვედანაყოფის არაეფექტური საქმიანობა, როდესაც განსხვავებულია თანამშრომელთა ქცევა, კულტურა, მორალური ფასეულობი და მიზნები. ამის გამო ისინი ვერ მუშაობენ როგორც ერთი გუნდი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც სტრუქტურირებული, ასევე არასტრუქტურირებული ამოცანების რაოდენობა ფირმაში მცირება. ხშირად გვხვდება ისეთი ამოცანები, როდესაც ამოცანის შესახებ ინფორმაცია

ნაწილობრივ არის ცნობილი. ასეთ ამოცანებს ცუდად სტრუქტურირებული ეწოდებათ. მაგალითად, ახალი ქარხნის ასაშენებლად ადგილის შერჩევის ამოცანა შეიძლება განვიხილოთ როგორც ცუდად სტრუქტურირებული. ამ დროს გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის ცნობილია პირობების მხოლოდ ერთი ნაწილი: მიწის დირექტულება, გადასახადები, საფრანსპორტი ხარჯი. ისეთი მონაცემების გაზომვა კი, როგორიც არის სტიქიური უბედურების რისკი, რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულება ქარხნის მშენებლობასთან და ა.შ. პრაქტიკულად შეუძლებელია.

კარგად სტრუქტურირებული ამოცანების ამოხსნა ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი ალგორითმით კომპიუტერის მეშვეობით ხდება და მენეჯერის ჩარევას არ მოითხოვს. არასტრუქტურირებული ამოცანის ამოსახსნისას კი ძირითად სამუშაოს მენეჯერი ასრულებს. ცუდად სტრუქტურირებული ამოცანის ამოხსნა მოითხოვს კომპიუტერის გამოყენებას, ხოლო გადაწყვეტილებას მენეჯერი იღებს.

ინფორმაციული სისტემები, რომლებიც ცუდად სტრუქტურირებული ამოცანების ამოსახსნელად გამოიყენება, ორი სახისაა. პირველი მათგანი მონაცემთა დამუშავებისათვის არის განკუთვნილი (ძებნა, სორტირება, გაფილტრა და ა.შ.) და სპეციალური მართვის ანგარიშებს ქმნის. მენეჯერი გადაწყვეტილებებს იღებს ამ ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. მეორე სახის ინფორმაციული სისტემა მენეჯერს უფრო ფუნდამენტურ დახმარებას უწევს. ის ქმნის გადაწყვეტილების შესაძლო ალტერნატივებს და ითვლის მათ შესაძლო შედეგებს. გადაწყვეტილების მიღება კი ამ დროს დაიყვანება ერთერთი ალტერნატივის შერჩევამდე.

ამრიგად, გადაწყვეტილების მიმღები პირი ინფორმაციული სისტემისაგან სამი ტიპის დახმარებას იღებს: ინფორმაციულს, მოდელურს და ექსპერტულს.

**ინფორმაციული მხარდაჭერის სისტემა** მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებას და მის ნაწილობრივ დამუშავებას უზრუნველყოფს. პირველადი მონაცემებით მანიპულირების პროცედურა შემდეგი შესაძლებლობების განხორციელებას უზრუნველყოფს:

- სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების კომბინაციის შექმნას,
- მონაცემთა მომწოდებელი წყაროს დამატებას ან გამოკლებას მონაცემთა ძებნისას.
- მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის მიერ წარმოდგენილი ფუნქციების მეშვეობით მონაცემთა მართვას.
- მონაცემთა ბაზის შესავსებად განკუთვნილი ინფორმაციის ნაკადის ავტომატურ კონტროლს.

**მოდელური მხარდაჭერის სისტემის საფუძველზე** აიგება პრობლემური სიტუაციის მოდელი. დიალოგის რეჟიმში, ამ მოდელის კვლევის საფუძველზე, მომხმარებელმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ინფორმაცია. მოდელირების მხარდაჭერის სისტემა მომხმარებელს აწვდის მათემატიკურ, სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა მოდელებს, რომელთა გამოყენებაც აიოღებს გადაწყვეტილებათა ალტერნატივების გამომუშავებასა და შეფასებას. მომხმარებლის მოდელური მხარდაჭერის ძირითადი ფუნქციებია:

- ტიპურ ეკონომიკა-მათემატიკურ მოდელების გარემოში მუშაობის შესაძლებლობა;
- მოდელირების შედეგების საკმარის სტრაფი და ადეკვატური ინტერპრეტირება;
- მოდელის შეზღუდვებისა და საწყისი პირობების ოპერატორის მომზადება და კორექტირება;
- მოდელის დინამიკის გრაფიკულად ასახვის შესაძლებლობა;

- მომხმარებლისათვის იმისი ახსნის შესაძლებლობა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მოდელის შესაქმნელად და მისი მუშაობისათვის.

**ექსპერტული მხარდაჭერის სისტემა** ასევე აღტერნატივების შემუშავებასა და შეფასებია შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში ეს ხორციელდება არა მოდელის შექმნით, არამედ ექსპერტული სისტემის შექმნით, რაც ცოდნის დამუშავებასთან არის დაკავშირებული. ექსპერტული მხარდაჭერა ორ დონეზე ხდება. ექსპერტული მხარდაჭერის პირველი დონის კონცეფცია არის “მართვის ტიპური გადაწყვეტილებები”. ითვლება, რომ მართვის ის პრობლემური სიტუაციები, რომლებიც ხშირად წარმოიქმნებიან, შეიძლება განხილული იქნან როგორც გადაწყვეტილებათა მიღების რაიმე ერთგვაროვანი კლასი, ანუ აღტერნატივების ტიპური ნაკრები. პირველ დონეზე ექსპერტული მხარდაჭერის რეალიზებისათვის იქმნება ტიპური აღტერნატივების შენახვისა და ანალიზის ფონდი. როდესაც სიტუაცია არ ემთხვევა ტიპური აღტერნატივების არც ერთ კლასს, მაშინ უნდა ჩამოროს ექსპერტული მხარდაჭერის მეორე დონე ხდება ახალი აღტერნატივების შექმნა ინფორმაციული ფონდის მონაცემებისა და გარდაქმნის წესების საფუძველზე.

### ინფორმაციული სისტემების კლასიფიცირება ფუნქციის მიხედვით.

გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი ინფორმაციული სისტემების კლასიფიცირება შეიძლება იმის მიხედვითაც, თუ ბიზნესის რომელ სფეროს მიეკუთვნებიან ისინი: მარკეტინგს, ფინანსებს, კადრებს თუ წარმოებას.

ფუნქციურ ინფორმაციულ სისტემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმ ინფორმაციულ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის მონიტორინგს ხელმძღვანელობის სასარგებლოდ, ადრეულ სტადიაზე პრობლემების გამოსავლენად.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ სისტემების კლასიფიცირებას ფირმის მართვის იერარქიული დონეების მიხედვით:

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- მმართველის კონტროლი;
- ოპერატიული კონტროლი.

ასე რომ ყოველი ფუნქციური ქვესისტემა (მარკეტინგი, ფინანსები, კადრები) მართვის ამ სამი დონით ხასიათდება.

ოპერატიული კონტროლი, როგორც წესი, წარმოადგენს განმეორებად, ერთგვაროვან ოპერაციებს. ამ ოპერაციებს იერარქიის დაბალ დონეზე მდგომი მუშაობები ანხორციელებენ. ამისათვის უნდა არსებობდეს წინასწარ დადგენილი წესები და პროცედურები. ოპერატიული კონტროლი ხელმძღვანელობას აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად სრულდება საეციფიური ამოცანები და პრიცედურები.

ოპერატიული კონტროლის დონეზე სრულდება შემდეგი ამოცანები:

- ფირმის მიერ შესრულებული ოპერაციების შესახებ მიღებული ინფორმაციის დამუშავება;
- საქმის მიმდინარეობის შესახებ პერიოდული ანგარიშების შექმნა
- ყველა შესაძლო შეკითხვაზე პასუხების მომზადება.

ცხრ. 3.1-ში მოყვანილია მთელი რიგი ინფორმაციული სისტემების (0ს) და მათ მიერ შესრულებული ამოცანების ჩამონათვალი თითოეული ფუნქციური სფეროსათვის.

ფირმის მიერ საქონლის გაყიდვების ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების სისტემა ასრულებს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა მყიდველისათვის გასავალი დოკუმენტის შექმნა. ეს შეიძლება იყოს ქვითარი ან ჩეკი. ასევე ამოწმებს საწყობში თვითეული საქონლის მარაგის

დონეს. მისი შემცირების შემთხვევაში მომწოდებლისათვის ადგენს შეკვეთებს საქონლის საჭირო რაოდენობისა და მიწოდების დროის ჩვენებით.

06ვორმაციული სისტემები (0ს)				
მარკეტინგის 0ს	ფინანსების 0ს	კადრების 0ს	წარმოების 0ს	ხელმძღვანელობის 0ს
-დაკვეთების აღრიცხვა	-დაკვეთების პორტფელის	-ხელფასი;	-წარმოების მოცულობის	-ფირმის საქმიანობის
-მარკეტინგის გეგმა;	მართვა;	-შრომის მოთხოვნის	დაგეგმვა;	კონტროლი;
-გაყიდვების პროგნოზი;	-საკრედიტო პოლიტიკის	ანალიზი;	-წარმოების კალენდარული	-ოპერატიული პრობლემების გამოვლენა;
-გაყიდვების მართვა;	მართვა;	შესახებ	გეგმები;	-მართვის და
-რეკლამის ანალიზი;	-ბიუჯეტის კონტროლი;	ჩანაწერების არქივი;	კონტროლი;	სტრატეგიული სიტუაციების ანალიზი.
-ფასების ანალიზი;	-ფინანსური პროგნოზი	-კადრების მომზადების	-მოწყობილობების	
-ბაზრის გამოკვლევა;	ზირება;	ანალიზი;	მუშაობის	
-განაწილების სისტემების ანალიზი.	-მიმდინარე ფინანსური	-შრომის მოთხოვ	ანალიზი;	
	ანალიზი.	ნების	-მარაგების მართვა;	
		პროგნოზი.	-ტრანსპორტის მართვა.	

### ცხრ.3.1 0ს-ს მიერ გადასაჭრელი ამოცანები ფუნქციური სფეროების მიხედვით

საკონტროლო ანგარიშის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ყოველდღიური ანგარიში ნაღდი ფულის შემოსვლისა და ბანკის მიერ გაცემული თანხების შესახებ. ეს ანგარიში ნაღდი ფულის ბალანსს აკონტროლებს.


მართველის კონტროლი ხორციელდება ფირმის ქვედანაყოფების ხელმძღვანელების დონეზე. ამ დონეზე გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაცია ისე უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ ჩანდეს მონაცემთა ცვალებადობის ტენდენცია, გადახრების წარმოქმნის მიზეზები და შესაძლო გადაწყვეტილებები. მონაცემთა დამუშავების ამ ეტაპზე შემდეგი ამოცანები სრულდება:

- მართვის ობიექტის გეგმით გათვალისწინებული მდგომარეობის შეფასება;
  - დაგეგმილი მდგომარეობიდან გადახრის შეფასება;
  - გადახრების მიზეზების გამოვლენა;
  - შესაძლო გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ანალიზი
- ამ ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული მონაცემთა ბაზა ორი ნაწილისაგან შედგება (ნახ 3.1):

1. ფირმის მიერ წარმოებული ოპერაციების შეფასებებისას დაგროვილი მონაცემები,
2. ნორმატიული დოკუმენტები – მართვის ობიექტის (ფირმის ქვედანაყოფის) გეგმის მიხედვით მდგომარეობის განმსაზღვრელი დოკუმენტები, სტანდარტები, ბიუჯეტი და სხვა.

**სტრატეგიული დაგეგმვა** ემსახურება კომპანიის მიზნების, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებისა და იმ პოლიტიკის, ანუ სტრატეგიის განსაზღვრას, რაც კომპანიის მიერ დასახული მიზნის მიღწევას

უზრუნველყოფს. სტრატეგიული დაგეგმვის პორიზონტი ფართოა უველა სხვა დაგეგმვასთან შედარებით. სტრატეგიული დაგეგმვის მათცანების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომპანიის მიერ ახალი საწარმოს მშენებლობა, ან კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის სახეობის გაზრდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება (დივერსიფიცირება). სტრატეგიული დადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, ფირმის საქმიანობის საზღვრებს



### ნახ.3.1

გარეთ არსებული ინფორმაციის მოპოვებას საჭიროებს. ამ შემთხვევაში უნდა დამუშავდეს ინფორმაცია, რათა შესაძლებელი გახდეს შემდეგი კვლევების ჩატარება:

- კონკურენტების შესაძლებლობების გამოკვლევა მათი ბაზრის წილის გაფართოების შესახებ;
- ფირმისათვის საინტერესო ქვეყნების მიმდინარე და პერსპექტიული პოლიტიკური განვითარების გამოკვლევა;
- ფირმის განვითარების ალტერნატიული სტრატეგიებისა და ამ სტრატეგიების რესურსით უზრუნველყოფის საკითხების დამუშავება.

ინფორმაციული სისტემების მიერ გაწეული დახმარება სტრატეგიული დაგეგმვის სტადიაზე ბევრად უფრო ნაკლებია ვიდრე უფრო დაბალ სტადიებზე. რადგან სტრატეგიული დაგეგმვის ამოცანები ნაკლებად სტრუქტურირებულია.

### 3.2 პრობლემის გადაჭრისადმი სისტემური მიდგომა ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებებით

პრობლემის გადაჭრისადმი სიტემური მიდგომა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სამ სტადიად დაჯგუფებული ათი ნაბიჯი. ეს სტადიებია: საკითხის მომზადება, პრობლემის აღმოჩენა და მისი გადაჭრა. თითოეული სტადია რამდენიმე ნაბიჯისაგან შედგება (ნახ.3.2).

**I მოსამზადებელი სტადია.** ეს სტადია ნაბიჯების შემდეგ ნაბიჯებისაგან შედგება:

**ნაბიჯი 1: ფირმის, როგორც სისტემის განხილვა.** ამ ეტაპზე უნდა განვიხილოთ ფირმა, როგორც სისტემა და ავაგოთ მისი სტრუქტურული მოდელი.

**ნაბიჯი 2: ფირმის გარემოცვის განსაზღვრა.** ფირმის მოდელს უნდა დაემატოს მისი გარემოცვის ელემენტები. ასეთები არიან მომწოდებლები, მომსმარებლები, კონკურენტები და ა.შ.

### I სტადია— მომზადება

- ნაბიჯი 1: ფირმის, როგორც სისტემის განხილვა;
- ნაბიჯი 2: ფირმის გარემოცვის განსაზღვრა;
- ნაბიჯი 3: ფირმის ქვესისტემების (ქვედანაყოფების) გამოყოფა.

### II სტადია— პროცესის ბანსაზღვრა

- ნაბიჯი 4: სისტემის დონიდან ქვესისტემის დონეზე გადასვლა;
- ნაბიჯი 5: სისტემის ელემენტების მუშაობის ანალიზი.

### III სტადია— პროცესის ბაზაზებეჭა

- ნაბიჯი 6: გადაწყვეტილების შესაძლო ალტერნატივების გამოვლენა;
- ნაბიჯი 7: გამოვლენილი ალტერნატივების შეფასება;
- ნაბიჯი 8: საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა;
- ნაბიჯი 9: შერჩეული ალტერნატივის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულება

ნახ.3.2 პრობლემის გადაწყვეტისადმი სისტემური მიდგომის შინაარსი

**ნაბიჯი 3:** ფირმის ქვესისტემების გამოყოფა: ფირმის ქვესისტემებად დაყოფის უმარტივესი მეთოდი ემყარება მათ დაყოფას საქმიანობის ფუნქციური სფეროების მიხედვით (წარმოება, მარკეტინგი, ფინანსები, კადრები და სხვა).

ამასთან მენეჯერს შეუძლია თითეული ქვესისტემა განიხილოს, როგორც ფირმის მართვის უფრო დაბალი დონე.

მას შემდეგ, რაც მენეჯერი შეძლებს დაინახოს ფირმა, ერთის მხრივ, როგორც ქვესისტემებისაგან შემდგარი სისტემა, ხოლო მეორეს მხრივ— როგორც სხვა დიდი სისტემის ელემენტი, რომელიც შეიცავს ფირმის გარემოცვას, სისტემური მიდგომის პირველი სტადიის ამოცანა მიღწეულად ჩაითვლება.

**II პროცესის ბანსაზღვრა** შემდეგი ნაბიჯებისაგან შედგება:

**ნაბიჯი 4.** სისტემის დონიდან ქვესისტემის დონეზე გადასვლა. უპირველეს ყოვლისა მენეჯერი ერთიანად აანალიზებს ფირმის საქმიანობას, მისი გარემოცვასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ დროს პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვებს: არის თუ არა ფირმა წონასწორობაში თავის გარემოცვასთან?

რამდენად არის ეფექტური რესურსების მოძრაობა ფირმასა და მის გარემოცვას შორის? აკმაყოფილებს თუ არა ფირმის წინაშე მდგარ მიზნებს ფირმის გარემოცვისათვის პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება?

ამასთან ერთად, მენეჯერი აანალიზებს ფირმის საქმიანობას მართვის დონეების მიხედვით ზევიდან ქვევით. ამ დროს ძირითად ყურადღებას უთმობს ქვესისტემების დონეს, რადგან პასუხი უნდა გაცეს შემდეგ შეკითხვებს: არის თუ არა მოცემული ქვესისტემა სისტემის საერთო მექანიზმი ინტეგრირებული? მუშაობს თუ არა ყველა ქვესისტემა სისტემის მიზნების შესაბამისად? ასეთი ანალიზის ამოცანაა იმ ქვესისტემის გამოვლენა, რომელშიც შეიძლება იყოს პრობლემის მიზეზი.

**ნაბიჯი 5.** სისტემის ელემენტების მუშაობის ანალიზი. სისტემის მუშაობის შესწავლისას, მართვის ყოველ დონეზე, მისი ცალკეული ელემენტი გარკვეული თანმიმდევრობით უნდა იქნეს შესწავლილი. ამ ელემენტების შესწავლის თანმიმდევრობა ასეთია:

ა) დადგენილი სტანდარტების შემოწმება. სტანდარტებს, რომლებიც სისტემის სასურველ მდგომარეობას ასახავენ, ჩვეულებრივ გეგმების, ბიუჯეტისა და

კვოტების სახე აქვთ. სტანდარტები ადვილად გასაგები, რეალისტური და გაზომვადი არიან. მაგალითად, მაქსიმალური მოგების მოითხოვნა არ არის გაზომვადი, უფრო სწორი იქნებოდა, რომ სტანდარტის მოთხოვნა განისაზღვროს, როგორც, მოგების უზრუნველყოფა გაყიდვების საერთო მოცულობის 10%-ის ოდენობით.

**ბ) სისტემის გამომავალი პარამეტრების შედარება მოცულულ სტანდარტებთან.** თუკი ასეთი შემოწმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ სისტემის მდგომარეობა სტანდარტებს შეესაბამება, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისტემაში პრობლემები არ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი სტანდარტების მოთხოვნების გაზრდის თაობაზე. თუ სისტემის მდგომარეობა სტანდარტის მოთხოვნაზე დაბალია, მაშინ მენეჯერმა პრობლემის არსებობა უნდა აღიაროს.

**გ) მართვის შეფასება.** პრობლემის წარმოქმნის ერთერთი მიზეზი შესაძლოა იყოს არაეფექტური მართვა ან მისი ორგანიზაციული სტრუქტურის არარაციონალური აგება. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ცუდი მართვით გამოწვეული მიზეზები, უნდა მოხდეს მართვის შემოწმება, რომელიც პასუხს გასცემს შეკითხვას "საკმარისია თუ არა ფირმაში იმ ხალხის რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ მართვაში?", "აქვთ თუ არა ფირმის მენეჯერებს საკმარისი კომპეტენცია და გამოცდილება?". ამ სფეროში პრობლემების არსებობა, როგორც წესი, გამოწვეულია იმით, რომ მენეჯერი ან ზედმეტად არის დატვირთული, ან არ იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. ზოგ შემთხვევაში პრობლემის მიზეზი შესაძლოა იყოს არარაციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა. თუ მართვის შეფასების შემდეგ დადგინდა, რომ გამოვლენილი პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია მართვის არსებული სისტემისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში, ეს ნიშნავს, რომ პრობლემის მიზეზის გამოსავლენად უნდა განვიხილოთ სხვა ელემენტები.

**დ) ინფორმაციით უზრუნველყოფის შემოწმება.** შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ფირმის განკარგულებაში საკმაოდ იყვნენ მენეჯერები, მაგრამ ისინი ვერ იღებდნენ სათანადო ინფორმაციას. ასეთი პრობლემის გადაჭრა უფრო ადვილია, კიდრე მართვის დონის ამაღლება. ამისათვის, ხშირად, საჭირო ხდება დამატებითი ინფორმაციული სისტემების შეძენა.

**ე) სისტემაში შემავალი რესურსების შეფასება.** აქ ხდება იმ რესურსების შეფასება, რომლებიც არის სისტემის შესავლელში(ფირმის შიგნი) და იმ რესურსების, რომელიც სისტემას მიეწოდება მისი გარემოცვისგან.

**ვ) ტრანსფორმირების პროცესის შეფასება.** ფირმის მუშაობის პრობლემის მიზეზი შეიძლება იყოს მისი შემავალი რესურსების გამოსავალ რესურსებად ტრანსფორმირების (გადამუშავების) არაეფექტურობა. საწარმოო რესურსების გადამუშავების გასაუმჯობესებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოქნილი საწარმოო სისტემები, რობოტები და სხვა საშუალებები.

**ზ) გამომავალი რესურსების შეფასება.** აქ განიხილება ფირმაში არსებული ფიზიკური რესურსი, რომელმაც გაიარა დამუშავების სტადია და სისტემის გამოსავალზე იმყოფება.

ამგვარად პრობლემის ძებნა იწყება ზედა დონიდან და ყველა დონეზე კეთდება 7 ელემენტის ანალიზი ზემოთ მოვანილი თანმიმდევრობით. როდესაც სისტემის ელემენტებს მათი პრიორიტეტულობის მიხედვით განვიხილავთ, აუცილებელი არ არის ყველა დონეზე 7 ელემენტის განხილვა. მას შემდეგ, რაც პრობლემა გამოიკვეთება რომელიმე ელემენტში, მისი ანალიზი უფრო დაბალ დონეზე გრძელდება.

ვთქვათ ფირმის პრეზიდენტმა გადაწყვიტა გაარკვიოს, თუ რატომ არ შესრულდა ერთი თვის გაყიდვების გეგმა. ფირმის დონეზე "სტანდარტებისა" და "გამოსავალის" თანაფარდობის ანალიზმა აჩვენა, რომ გაყიდვების დადგენილი სტანდარტები არ სრულდება. დაგუშვათ, რომ შემდეგი ელემენტის,

“მენეჯმენტის”, ანალიზმა აჩვენა მართვის ხარვეზი, რაც მარკეტინგის ქვესისტებაში მენეჯერების დიდ დენადობასთან არის დაკავშირებული. რადგან ფირმის დონეზე სხვა ელემენტების განხილვა აღარ არის აუცილებელი, შემდეგი ანალიზი გადადის უფრო დაბალ დონეზე მარკეტინგის ქვესისტებაში. ამ ქვესისტების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მენეჯერების მიერ სამსახურის ხშირი მიტოვება გაყიდვების მოცულობის გაზრდილი წლიური დავალებებით არის გამოწვეული, ანუ მიზეზი არის ელემენტში –“სტანდარტი”.

ამის შემდეგ ფირმის პრეზიდენტის ყურადღება გადადის მარკეტინგული კვლევების განყოფილებაზე. განყოფილების დონეზე ანალიზი აჩვენებს, რომ თანამშრომლები არასწორად განსაზღვრავენ ბაზრის იმ წილს, რომელიც ფირმის პროდუქციაში უნდა დაიკავოს. ამ დონეზე ელემენტების თანმიმდევრული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ნაკლი არის ინფორმაციულ ელემენტშია. მიუხედავად იმისა, რომ ფირმა კომპიუტერულ ტექნიკას იყენებს, საჭიროა მარკეტინგული კვლევის ჩატარებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფა. ეს ანალიზი ფირმის პრეზიდენტს აიძულებს მონახოს და შეიძინოს ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფა.

ამგვარად აღმოჩნდა, რომ გაყიდვების ყოველთვიური გეგმის შეუსრულებლობა, მენეჯმენტის ხარვეზი, მენეჯერების დენადობა, წამატებული წლიური დავალებები პრობლემის მხოლოდ სიმპტომებია. რეალურ პრობლემას კი წარმოადგენს მარკეტინგული კვლევების განყოფილების არასათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფა.

**III პრობლემის გადაწყვეტა.** ნაბიჯები პრობლემის გადაჭრის სტადიაზე შემდეგი თანმიმდევრობით სრულდება:

**ნაბიჯი 6. გადაწყვეტილებების შესაძლო ალტერნატივების გამოვლენა.** ალტერნატიული გადაწყვეტილებების გამოვლენისას დიდ როლს თამაშობს მენეჯერის გამოცდილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას კარგი ინტუიცია და ლოგიკა ედება საფუძვლად.

მენეჯერი იშვიათად ამჟავებს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად. ხშირად ასეთ დროს იყენებენ ინფორმაციულ პროცედურას სახელწოდებით “გონებრივი შტურმი”, რომლის დროსაც ექსპერტები დისკუსიის პროცესში, სთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარ ვარიანტებს.

**ნაბიჯი 7. გამოვლენილი ალტერნატივების შეფასება.** ყველა გამოვლენილი ალტერნატივა უნდა შეფასდეს ერთი და იგივე კრიტერიუმის მეშვეობით. ამ კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს, თუ თითოეული ალტერნატივის განხორციელებისას რამდენად ზუსტად აღწევს ფირმა დასახულ მიზანს. ამასთან განხილული და შეფასებული უნდა იყოს ყოველი ალტერნატივის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

**ნაბიჯი 8. საუკუთესო ალტერნატივის შერჩევა.** შესაძლო ალტერნატივებიდან საუკუთესოს შერჩევისას მენეჯერი სამ პროცედურას ასრულებს. ეს პროცედურებია:

- **ანალიზი,** რომელიც არის ყოველი ალტერნატივის დირსებებისა და უარყოფითი მხარეების სისტემაში მოყვანილი, აწონილი შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ის ფირმის მიზნებს.
- **განსჯა,** რომელიც არის ერთი მენეჯერის გონებრივი საქმიანობა, როდესაც მაგალითად ის ცდილობს განსაზღვროს ქარხნის გამომავალი პარამეტრები მისი მათემატიკური მოდელის მიხედვით.
- **კომპრომისის მიღწევა,** პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც რამდენიმე მენეჯერს შორის მოლაპარაკებისას მიიღწევა.

**ნაბიჯი 9. შერჩეული ალტერნატივის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულება.** საჭიროა შერჩეული გადაწყვეტილების პრაქტიკაში დანერგვა. ზემო

განხილული ამოცანის შემთხვევაში ეს შეესაბამება შერჩეული ალტერნატივით დადგენილი კომპიუტერული მიწყობილობის შეძენასა და დაყენებას.

**ნაბიჯი 10. შესრულებული გადაწყვეტილების ეფექტურობის შეფასება.** შერჩეული ალტერნატივის პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ მენეჯერი უნდა დარწმუნდეს, რომ გაკეთებული არჩევანი უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგის მიღწევას. ოუკი შედეგი დაგეგმილზე ნაკლებია, მენეჯერმა ხელახლა უნდა გაიაროს ნაბიჯების მთელი ჯაჭვი, რათა მონახოს შეცდომა. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ შედეგი არ დააკმაყოფილებს მენეჯერს. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესში მენეჯერს მრავალი გადაწყვეტილების მიღება უწევს. ამ პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილები არიან: მენეჯერი, ინფორმაცია და სტანდარტები. მენეჯერის ვალია ისწავლოს პრობლემისა და სიმპტომების ერთმანეთისგან გარჩევა. სისტემური მიღგომა არის პრობლემის გადაჭრის პროცესი, რომელიც თანმიმდევრული ნაბიჯებისაგან შედგება. ყოველა ასეთ ნაბიჯზე საჭიროა ერთი ან რამდენიმე გადაწყვეტილების მიღება. ყოველ მათგანს გარკვეული ინფორმაციული უზრუნველყოფა ესაჭიროება. კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებს შეუძლიათ დაეხმარონ მენეჯერს თპრიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

## თავი 4

### 06ფორმაციული ტექნოლოგიების ძირითადი სახეები

ინფორმაციულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნებიან:

- 1.მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემები; უზრუნველყოფის შეძენას
- 2.მართვის ელექტრონული სისტემები;
- 3.გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები;
- 4.ოფისის ავტომატიზების სისტემები;
- 5.ექსპერტული სისტემები.

#### 4.1 მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემები

მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემები ისეთი ამოცანების ამონებისას გამოიყენება, როდესაც ინფორმაციის დამუშავების პროცესი ოპერაციების დიდ რაოდენობას შეიცავს. ასეთ ამოცანებს მიეკუთვნებიან: მონაცემთა შეგროვება, მანიპულირება, შენახვა და დოკუმენტების მომზადება. სისტემის ძირითადი დანიშნულებაა ფირმის საქმიანობის ამსახველი მონაცემების შეგროვება. შემდეგ ამ ინფორმაციის ბაზაზე ისეთი ინფორმაციის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი და სასარგებლო იქნება როგორც ორგანიზაციისათვის, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი სისტემის კლასიკური მაგალითია საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა.

მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს მისი ფუნქციური ქვესისტემების ერთობლიობის სახით, მაგალითად, ფირმისათვის რომელიც საბითუმო ვაჭრობას ეწევა, ასეთი ქვესისტემები იქნება:

1. კლიენტებისაგან შემოსული დაკვეთების გაფორმების ქვესისტემა;
2. მარაგების მართვის ქვესისტემა;
3. დებიტორული ანგარიშების ქვესისტემა;
4. მომწოდებლებისათვის შეკვეთების გაფორმების ქვესისტემა;
5. მომწოდებლებისაგან საქონლის მიღების ქვესისტემა;
6. მომწოდებლებთან ფინანსური ურთიერთობის ქვესისტემა.
7. მთავარი წიგნის წარმოების ქვესისტემა;
8. სტანდარტული ანგარიშების შექმნის ქვესისტემა.

პირველი ოთხი ქვესისტემა ემსახურება საცალოდ მოვაჭრე კლიენტებისგან შემოსული შეკვეთების ნაკადს. 5–7 ქვესისტემები აკონტროლებენ ურთიერთობებს საქონლის მომწოდებელ–მწარმოებლებთან, რათა მუდმივად ხდებოდეს მარაგების შეკვება საბითუმო ფირმის საწყობებში.

არსებობს რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ სისტემას ყველა სხვა კომპიუტერული საინფორმაციო სისტემისაგან განასხვავებენ. ამ მახასიათებლებს მიეკუთვნებიან:

- ფირმისათვის აუცილებელ მონაცემთა დამუშავებისათვის საჭირო ამოცანების შესრულება. სინამდვილეში ფირმა თვითონ არ წყვეტს, იქნიოს თუ არა მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემა. ყოველ ფირმას კანონით ევალება ქონდეს და შეინახოს მონაცემები საკუთარი საქმიანობის შესახებ. ამასთან ერთად, აქციების მფლობელებს და ფინანსურ ორგანიზაციებს სურთ ნახონ ეს მონაცემები. ასეც რომ არ იყოს, ფირმა მაინც შექმნიდა ამ სისტემას ფირმის საქმიანობის კონტროლის უზრუნველსაყოფად.

- კარგად სტრუქტურირებული ამოცანების ამოხსნა. ასეთი ამოცანების ამოხსნის ალგორითმი ცნობილია და მას პირდაპირ მივყავართ ამოცანის ამოხსნამდე.
- ინფორმაციის დამუშავების სტანდარტული პროცედურების შესრულება. არსებული სტანდარტები განაპირობებენ მონაცემთა დამუშავების სტანდარტულ პროცედურებს და მათი შესრულება ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულოა.
- ავტომატურ რეჟიმში ძუშაობა. სისტემა განკუთვნილია რუტინული საბუღალტრო გათვლების სრული ავტომატიზებისთვის.
- დეტალური მონაცემების გამოყენება. ფირმის საქმიანობის ამსახველი მონაცემები არის დეტალური. ეს აიოლებს რევიზიის ჩატარებას.
- აქცენტი მოვლენათა ქონლოგიაზე.
- მინიმალური დახმარება პრობლემების გადაჭრისას. სისტემის მიერ მექანიზმებისათვის შეჯმილი დოკუმენტების ჩამონათვალში არის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა მოგების გათვლა და ბალანსი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფირმის საქმიანობის შედეგებს ითვლის.

#### 4.2 მართვის ინფორმაციული სისტემები

მართვის ინფორმაციული სისტემების მიზანია დააკმაყოფილოს ინფორმაციით უკლებლივ ფირმის ყველა თანამშრომელი, ვინც რომელიმე დონეზე გადაწყვეტილებას იღებს. მართვის ინფორმაციული სისტემები გამოიყენებიან ცუდად სტრუქტურირებადი ამოცანების გადასაჭრელად. სისტემა ამუშავებს მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემიდან შემოსულ მონაცემებს და გასცემს ინფორმაციას ისეთი ანგარიშების სახით, სადაც მონაცემები გაფილტრულია და მოსახერხებელია გადაწყვეტილების მისაღებად. ეს სისტემა არ მუშაობს ავტომატურ რეჟიმში. აქ გადაწყვეტილებას იღებს ადამიანი. სისტემის გამოყენება შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ დონეზე.

მართვის ინფორმაციული სისტემა შემდეგი სახის ანგარიშებს ქმნის: რეგულარული ანგარიშები იქმნება დადგენილი დროის გრაფიკის მიხედვით. სპეციალური ანგარიშები იქმნება მაშინ, როდესაც ფირმაში რაიმე გაუთვალისწინებელი ხდება, ან ამას მმართველები მოითხოვენ.

ანგარიშებს შეიძლება ჰქონდეთ შემაჯამებელი, შედარებითი და საგანგებო ანგარიშების ფორმა.

- შემაჯამებელ ანგარიშში მონაცემები ცალკეულ ჯგუფებად არის დალაგებული. თვითეული ჯგუფისათვის გამოთვლილია შუალედური და საბოლოო შედეგები;
- შედარებითი ანგარიში შეიცავს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ, ან სხვადასხვა ნიშანთვისების მიხედვით დალაგებულ მონაცემებს. ეს მონაცემები შედარებისათვის უნდა იყოს გამოსაღევი;
- საგანგებო ანგარიში შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც გამონაკლისს (საგანგებოს) წარმოადგენენ შერჩეული კრიტერიუმების თვალსაზრისით.

ქვემოთ მოყვანილია სამი სხვადასხვა ფორმის ანგარიშის ამსახველი ცხრილი.

4.1 ცხრილში მოყვანილია სორტირებული, ჯამური ანგარიში სელფასის შესახებ.

4.2 ცხრილში მოცემულია ანგარიში, რომელშიც ხელფასის შესახებ მიმდინარე ინფორმაცია მოცემულია სხვადასხვა სახის სამუშაოს ჭრილში, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემების შედარება.

4.3 ცხრილი შეიცავს საგანგებო ანგარიშს, რომელშიც ის მომუშავეებია შეტანილი, რომლებმაც ზეგანაკვეთით 60 საათზე მეტი იმუშავეს.

ქვედანაყოფები	გვარი და სახელი	გამომუშავებული საათები	ხელფასი ლარებში
სამქრო 1	ანთაძე დავითი გაბისკირია ნიკო გარდოსანიძე ბექა	40 38 45 <b>123</b>	550 380 700 <b>1950</b>
ჯამი:			
სამქრო 2	გაგუა ლუკა დოლიძე კოტე ნინიძე ვანო	42 37 40	315 270 300
ჯამი 2:		<b>119</b>	<b>885</b>

ცხრ.4.1 ხელფასების მიხედვით სორტირებული შემაჯამებელი ანგარიში

სამუშაოს სახეობა	გვარი და სახელი	გამომუშავებული საათები	ხელფასი ლარებში
აწყობა	აბესაძე დიტო შენგელია სოსო ჭელიძე მიხო	40 52 30 <b>122</b>	550 650 200 <b>1400</b>
ჯამი:			
შედუღება	ბიწაძე კაპო ბარბაქაძე დათო	47 56	260 310
ჯამი		<b>103</b>	<b>570</b>

ცხრ. 4.2 ხელფასების შედარებითი ანგარიში სამუშაოს სახეობების მიხედვით

სახელი, გვარი	ქვედანაყოფი	სამუშაოს სახეობა	გამომუშავებული საათები
აბაშიძე სოსო	სამქრო №3	ზეინკალი	68
გაგოშიძე კაპო	სამქრო №2	ხარატი	67
ვახანია შოთა	სამქრო №3	ხარატი	67
ზარიძე დათო	სამქრო №1	მუშა	65

ცხრ.4.3 საგანგებო ანგარიში ზეგანაკვეთის ლიმიტით დაშვებული დროის გადაჭარბების შესახებ

**მართვა გადახრების მიხედვით.** მართვის მსარდასაჭერად სპეციალური ანგარიშების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ეგრეთ წოდებული გადახრების მიხედვით მართვის განხორციელებისას.

ასეთი ტიპის მართვა ხორციელდება ისეთი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ფირმის სამეცნიერო საქმიანობის რაიმე დადგენილი სტანდარტებიდან გადახრის შესახებ ინფორმაციას შეიცავენ. ფირმაში გადახრების მიხედვით მართვის პრინციპის გამოყენებისას აუცილებელია, რომ მართვის ინფორმაციული სისტემის მიერ შექმნილი ანგარიში შემდეგ პირობებს აკმაყოფილებდეს.

- ანგარიში უნდა შეიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება გადახრა;

- ანგარიშში მონაცემები დახარისხებული (სორტირებული) უნდა იყოს მოცემული გადახრის კრიტიკული მნიშვნელობის მიხედვით;
- სასურველია, რომ ყველა გადახრა ერთად იყოს ნაჩვენები, რათა მენეჯერმა მათ შორის კავშირი დაინახოს;
- ანგარიშში ნაჩვენები უნდა იყოს ნორმიდან რაოდენობრივი გადახრა.

#### **4.3 გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები**

**ზოგადი კონცეფცია:** გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა(ბმბ) არის კომპიუტერული ინფორმაციული სისტემა, რომელიც მმართველს ეხმარება ცუდად სტრუქტურირებადი ამოცანების გადაჭრისას გადაწყვეტილების მიღებაში. ეს ხდება მანქანასთან დიალოგურ რეჟიმში მონაცემების, ცოდნის და მათემატიკური მოდელების გამოყენებით.

ბმბს შეიქმნა და განვითარდა კომპიუტერების, სტანდარტული გამოყენებითი პროგრამული პაკეტების და განსაკუთრებით, ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნის შედეგად.

ბმბს— ის განმასხვავებელი თავისებურებებია:

- იგი ცუდათ სტრუქტურირებული ამოცანების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. ასეთი ამოცანები ძირითადად მართვის მაღალი დონისათვის არის დამახასიათებელი.
- ხდება კომპიუტერული მონაცემების დამუშავების ტრადიციული მეთოდების შეთავსება მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების შესაძლებლობებთან. მათი ერთობლივი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.
- მუშაობის დიალოგური რეჟიმის გამოყენების მეშვეობით არაპროფესიონალ მომებარებელზე ორიენტირებული.
- გააჩნია ადაპტაციის მაღალი უნარი, რაც გამოიხატება მის შესაძლებლობაში შეეწყოს როგორც არსებულ ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებებს, ასევე დამკვეთის მოთხოვნებს.

ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელი შეიძლება სამი დონის შემცველი იერარქიული მოდელის სახით წარმოვადგინოთ: 1)მონაცემთა დამუშავება; 2)ინფორმაციის დამუშავება; 3)გადაწყვეტილების მიღება.

ყველაზე დაბალ, პირველ დონეზე ხდება:

- მონაცემთა დამუშავება ოპერატიული კონტროლის დინება;
- ორგანიზაციის მიერ წარმოვებული კომერციული ოპერაციების ეფექტური დამუშავება;
- განრიგის შედგენა და კომპიუტერის მუშაობის ოპტიმიზება;
- მომიჯნავე ამოცანების ფაილების ინტეგრირება;
- ხელმძღვანელობისათვის ანგარიშის შედგენა.

მეორე, საშუალო დონეზე, აქცენტი გადატანილია ისეთი ინფორმაციის დამუშავებაზეა, რომელიც დაწესებულების ქვედანაყიფში საქმიანობის დაგეგმვას ეხება. ასეთი სფეროები არის :მარკეტინგი, წარმოება, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, კადრები და სხვა. ამ დონეზე ინფორმაციის დამუშავების ძირითადი მახასიათებლებია:

- საშუალო დონის ხელმძღვანელებისათვის სასარგებლო ინფორმაციის მომზადება
- ინფორმაციული ნაკადების სტრუქტურირება (მოწესრიგება);
- ბიზნესის ფუნქციურად განსხვავებული სფეროებიდან (მარკეტინგი, წარმოება და სხვა) შემოსულ მონაცემთა ინტეგრირება (გაერთიანება);

- კითხვა—პასუხის სისტემის შექმნა და ხელმძღვანელობისათვის ანგარიშის შედგენა (ეს, როგორც წესი, მონაცენობა ბაზის მეშვეობით ხდება).

მესამე, ყველაზე მაღალი დონე, სტრატეგიულ დაგეგმვას შეესაბამება. ამ დონეზე ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და აქ გამოყენებულ ბმმს-ს შემდეგი მახასიათებლები გააჩნია:

- ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის გადაწყვეტილებების აღტერნატიული ვარიანტების მომზადება;
- ცვლილებებისადმი მაღალი ადაპტაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მომხმარებლის შეკითხვაზე პასუხის სწრაფად გაცემა;
- ნებისმიერი მმართველისათვის გადაწყვეტილების მიღებისას დახმარების უზრუნველყოფა.

ამრიგად, ბმმს-ს გადაწყვეტილების მისაღებად, მომხმარებელთან ერთად ახალი ინფორმაციის შექმნის უნარი გააჩნია (უმეტესად მზა აღტერნატივების სახით).

#### 4.4 ოფისის ავტომატიზების სისტემები

ოფისის ავტომატიზების სისტემების დანიშნულება დღეისათვის არის ორგანიზაციაში კომუნიკაციის უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციის მომზადება და გადაცემა როგორც ფირმის შიგნით, ასევე მის გარეთ. ავტომატიზებულ ოფისს იყენებს ფირმაში მომუშავე ყველა მენეჯერი, სპეციალისტი და მდივანი. ავტომატიზებული ოფისის გამოყენება განსაკუთრებით მიმზიდველია ჯგუფურად გადასაჭრელი პროცედურების შემთხვევაში.

ოფისის ინფორმაციის ავტომატიზების სისტემა იყენებს მონაცემთა ბაზას, რომელშიც კონცენტრირებულია ფირმის საქმიანობის ამსახველი მონაცემები. მაგალითად, მონაცემთა ბაზაში გროვდება მონაცემები ყოველდღიური გაყიდვების შესახებ. ამ მონაცემებს ფირმის ვაჭრობის აგენტები გადასცემენ მთავარ კომპიუტერს. მონაცემთა ბაზაში ინფორმაცია შესაძლებელია ფირმის გარემოცვამაც გადასცეს.

მონაცემთა ბაზიდან ინფორმაცია გადადის ისეთ პროგრამებში, როგორიცაა ტექსტური პროცესორი, ელექტრონული ფოსტა, კომპიუტერული კონფერენციები და ა.შ.

დღეისათვის ცნობილია ოფისის ავტომატიზებისათვის განკუთვნილი 11 გამოყენებითი პროგრამა:

- ტექსტური პროცესორი,
- ელექტრონული ფოსტა,
- აუდიოფისტა,
- ელექტრონული კალენდარი,
- აუდიოკონფერენციები,
- ვიდეოკონფერენციები,
- კომპიუტერული კონფერენციები,
- ფაქსიმილური კავშირი,
- ვიდეოტექსტი,
- გამოსახულებების შენახვა,
- საგამომცემლო სისტემები

**ტექსტური პროცესორი** არის გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დოკუმენტების შესაქმნელად და დასამუშავებლად გამოიყენება.

**ელექტრონული ფოსტა** ემყარება კომპიუტერების ქსელის გამოყენების პრინციპს. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს, შეინახის და

გაუგზავნოს შეტყობინება თავის პარტნიორებს. ელექტრონული ფოსტა თავის მომხმარებლებს სხვადასხვა შესაძლებლობებს სთავაზობს იმის მიხედვით, თუ რომელ პროგრამულ უზრუნველყოფას გამოიყენებს იგი.

**აუდიოფისტა** არის ფოსტა, რომელიც ინფორმაციას ხმის საშუალებით გადასცემს. იგი ელექტრონულ ფოსტას იმ გვაგონებს განსხვავებით, რომ კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის ნაცვლად შეტყობინების გადაცემა ტელეფონით ხდება. სისტემა სპეციალური მოწყობილობით არის აღჭურვილი, რომელსაც აუდიოსიგნალები გადაჰყავს ციფრულ კოდში და პირიქით. ასევე ის შეიცავს კომპიუტერს აუდიოშეტყობინებების ციფრული ფორმით შესანახად. აუდიოფოსტის რეალიზება ხდება ქსელში. აუდიოფოსტა წარმატებით გამოიყენება პრობლემის ჯგუფურად გადაჭრისას. ამისათვის შეტყობინების გამგზავნმა უნდა მიუთითოს იმ პირთა სია, რომელთათვისაც არის განკუთვნილი ეს შეტყობინება. სისტემა პერიოდულად დარეკავს ყველასთან, ვისთვისაც არის განკუთვნილი შეტყობინება. აუდიოფოსტის ძირითადი უპირატესობა ელექტრონულ ფოსტასთან შედარებით არის ის, რომ უფრო მარტივია, რადგან არ არის საჭირო კლავიატურით ინფორმაციის შეტანა.

**ელექტრონული კალენდარი** კომპიუტერული ქსელის გამოყენების კიდევ ერთი საშუალებაა სელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების სამუშაო განრიგის შენახვისა და მანიპულირებისათვის. ელექტრონული კალენდრის მეშვეობით მენეჯერი ან მისი მდივანი ადგენს შეხვედრების ან სხვა ღონისძიებების თარიღსა და დროს, შეაქვს კორექტირება კლავიატურიდან. ელექტრონული კალენდრის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა სრულიად შეესაბამება ელექტრონული ფოსტის შესაბამის კომპონენტებს. უფრო მეტიც, ელექტრონული კალენდრის პროგრამული უზრუნველყოფა სშირად შედის ელექტრონული ფოსტის პროგრამულ უზრუნველყოფის შემადგენლობაში, როგორც მისი ნაწილი. ელექტრონული კალენდარი არის ერთადერთი გამოყენებითი პროგრამა, რომელიც არ არის განკუთვნილი ინფორმაციის გადასაცემად გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

**აუდიოკონფერენცია** გამოიყენება ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ ქვედანაყოფებს ან მუშაკებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად. ყველაზე მარტივი ამ საშუალებებიდან არის სატელეფონო კავშირი, რომელსაც დამატებითი მოწყობილობების მეშვეობით საუბარში რამოდენიმე მონაწილის ჩართვის შესაძლებლობა გააჩნია. აუდიოკონფერენციის წარმოება არ მოითხოვს კომპიუტერის არსებობას. იგი მხოლოდ მონაწილეთა შორის ორმხრივი კავშირის არსებობას ითვალისწინებს.

აუდიოკონფერენციის წარმოება ერთერთი საკმაოდ მოსახერხებელი ინსტრუმენტია გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან იაფია და მარტივი. იგი უფრო უფასო იქნება, თუ შესრულდება შემდეგი პირობები:

- აუდიოკონფერენციის ორგანიზატორმა წინასწარ უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა;
- კონფერენციის მონაწილეთა რიცხვი არ უნდა იყოს ბალიან დიდი (არაუმტებელი 6-ისა) რათა დისკუსია არ გასცდეს განსახილველი პრობლემის ფარგლებს;
- კონფერენციის პროგრამას წინასწარ უნდა გაეცნონ კონფერენციის მონაწილეები;
- საუბრის დაწყებამდე ყოველმა მონაწილემ საკუთარი თავი უნდა წარმოადგინოს;
- კონფერენცია უნდა ჩაიწეროს და შეინახოს;
- კონფერენციის ჩანაწერი კონფერენციის ყველა მონაწილეს უნდა გაეგზავნოს.

**ვიდეოკონფერენცია** გამოიყენება იმავე მიზნებისთვის, რისთვისაც აუდიოკუნფერენცია, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენება ვიდეოაპარატურა. კომპიუტერი ამ შემთხვევაშიც არ არის საჭირო. ვიდეოკონფერენციის მონაწილეები ხედავენ ერთმანეთს და ესმით ხმა. დღეისათვის ვიდეოკონფერენციის აგების სამი კონფიგურაციაა ყველაზე პოპულარული:

- **ცალმხრივი აუდიო და ვიდეოკავშირი.** ამ შემთხვევაში აუდიო და ვიდეოსიგნალები ერთი მიმართულებით გადაუცემა. (მაგალითად, პროექტის ხელმძღვანელისგან შემსრულებლებს);
- **ცალმხრივი ვიდეო და ორმხრივი აუდიოკავშირი.** ორმხრივი აუდიოკავშირი საშუალებას იძლევა რომ ვიდეოსიგნალის მიმღებმა მონაწილემ აუდიოინფორმაცია გაცვალოს ვიდეოსიგნალის გადამცემ მონაწილეთან;
- **ორმხრივი აუდიო და ვიდეოკავშირი** არის ყველაზე ძირიადლირებული და ყველა მონაწილეს შორის კავშირს უზრუნველყოფს. ეს კონფიგურაცია გამოიყენება მაშინ, როდესაც ყველა მონაწილის სტატუსი თანაბარია.

კომპიუტერული კონფერენციები ძალიან წააგავს ჩვენს მიერ უპავ განხილულ ელექტრონულ ფოსტას. ამ დროს ერთი და იგივე პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა გამოიყენება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ ვინ და რა მიზნებისათვის გამოიყენებს მათ.

კომპიუტერული კონფერენციები იყენებენ კომპიუტერულ ქსელებს ჯგუფის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით და კონკრეტულ ამოცანას ემსახურებიან. ელექტრონული ფოსტის გამოყენება კი შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი პირის მიერ. კომპიუტერული კონფერენციის მონაწილეთა რაოდენობა შეიძლება გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე აუდიო ან ვიდეო კონფერენციებისას.

ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი ტელეკონფერენცია. ტელეკონფერენცია შეიცავს ჩვენს მიერ განხილული კონფერენციების სამივე ტიპს: აუდიოს, ვიდეოს და კომპიუტერულს.

**ფაქსიმილური კავშირი** ემყარება სპეციალური მოწყობილობის გამოყენებას, რომელსაც შეუძლია წაიკითხოს დოკუმენტი საინფორმაციო არხის ერთ ბოლოზე და ასახოს იგი საინფორმაციო არხის მეორე ბოლოზე.

**ვიდეოტექსტი** დღეს საოფისე გამოყენებით პროგრამებს შორის ყველაზე ნაკლებად პოპულარულია. იგი ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციის მონიტორის ეკრანზე მიღებას უზრუნველყოფს. რადგან საკუთარი პროდუქციის კატალოგებისა და ფასების გადაცემა სხვადასხვა მომხმარებელი ფირმებისათვის სულ უფრო დაუფრო პოპულარული სდება, ვიდეოტექსტის გამოყენებითი სისტემების მნიშვნელობა ოფისის ავტომატიზებაში თანდათანობით მატულობს.

**ინფორმაციის შენახვა.** არსებობენ ისეთი ფირმები, რომელთა დოკუმენტების შენახვა ხანგრძლივად არის საჭირო. ამასთან ამ დოკუმენტების მოცულობა ძალიან დიდია და მათი ფაილების სახით შენახვა პრობლემატურია. ამიტომ გაჩნდა იდეა, რომ შეინახონ არა დოკუმენტი, არამედ მისი გამოსახულება. ამასთან იგი ინახება ციფრული ფორმით. გამოსახულების (imaging) შენახვის პროგრამა ერთერთ პერსპექტიულ გამოყენებითი პროგრამაა. იგი სპეციალური მოწყობილობის, სახეთა ოპტიკური გამომცნობის, გამოყენებას ემყარება. ამ მოწყობილობას დოკუმენტის ან ფილმის გამოსახულება ციფრულ ფორმატში გადააქვს და მას კომპიუტერის მეხსიერებაში ინახავს. ციფრულ ფორმატში შენახული გამოსახულების რეალური სახით წარმოდგენა ეკრანზე ან პრინტერზე ნებისმიერ დროს შეიძლება. გამოსახულების შესანახად უდიდესი მოცულობის მქონე ოპტიკური დისკები გამოიყენება.

**საგამოცემლო სისტემები.** ოფისის ავტომატიზების ერთერთი ახალი და მნიშვნელოვანი გამოყენებითი პროგრამა არის საგამომცემლო სისტემა,

რომელიც უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემის საშუალებას იძლევა. საგამომცემლო სისტემები სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებისა და ლაზერული პრინტერებისაგან შედგება.

კომპიუტერული გამოცემლობის სისტემის შექმნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ სისტემის საშუალებით შესაძლებელია ტექსტისა და გრაფიკის შესაძლებლობების გაერთიანება და გარეგნული მხატვრული გაფორმება. ეს საშუალებას იძლევა შეიქმნას ისეთი დონის დოკუმენტი, რომლის შექმნაც ადრე მხოლოდ პროფესიონალური პოლიგრაფიის საშუალებით შეიძლებოდა.

### **ოფისის ავტომატიზების როლი პრობლემების გადაწყვეტისას**

ოფისის ავტომატიზების გამოყენებითი პროგრამის შერჩევაში მონაწილეობას იდებს მენეჯერი ინფორმატიკის სპეციალისტთან ერთად. ამ არჩევანზე შემდეგი სამი ფაქტორი ახდენს გავლენას:

- **ორგანიზაციის ტიპი.** იმ ფირმის მენეჯერები, რომლებიც ტერიტორიულად ერთ ადგილას არიან განლაგებული, როგორც წესი, აუდიო და ვიდეო კონფერენციებს არ იყენებენ. გამონაკლისს შეიძლება წარმოადენდეს შემთხვევა, როდესაც ფირმა ჩართულია რაიმე პროექტში სხვა, შორს განლაგებულ ფირმასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნას ოერთმეტივე გამოყენებითი პროგრამა.
- **პირადი სიმპატიები.** ის მმართველები, რომელთაც სურთ მოლაპარაკებებისას დაინახონ მოსაუბრის სახე, უპირატესობას ანიჭებენ ვიდეოკონფერენციებს. ისინი, ვინც დაბეჭდილ დოკუმენტთან მუშაობას ანიჭებენ უპირატესობას, ტექსტურ პროცესორს იყენებენ, ხოლო ვისაც უყვარს საკითხის ტელეფონით მოგვარება, იყენებს აუდიო ან ელექტრონულ ფოსტას.
- **ოფისის ავტომატიზებისათვის გამოყოფილი რესურსი.** მენეჯერის მიერ ოფისის ავტომატიზების გამოყენებითი სისტემების შერჩევა დამკიდებულია ოფისის ამტომატიზებისათვის გამოყიფილ თანხაზე.

**დასკვნა.** ავტომატიზება დაიწყო საწარმოს საამქროებიდან და მიაღწია ოფისამდე. თავიდან ოფისის ავტომატიზება ეხებოდა მხოლოდ რუტინულ სამუშაოს, რომელსაც ასრულებდა მდივანი ან სხვა დაბალი რანგის მუშაკი. ბოლო დროს გაჩნდა ახალი მიმართულება, რომლის მიზანია მმართველებისა და სხვა კვალიფიციური მუშაკების საკომუნიკაციო პრობლემების მოგვარება. მიუხედავად იმისა თუ რომელი დონის მუშაკი სარგებლობს ამა თუ იმ გამოყენებითი სისტემით, ყველა სისტემის ძირითადი მიზანია შრომის ნაყოფიერების გაზრდა.


რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობენ, ოფისის ავტომატიზების საშუალებები აჩქარებენ და აუმჯობესებენ მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რაც თავის მხრივ ზრდის კომპანიის შემოსავალს.

### **4.5 ექსპერტული სისტემები**

კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებს შორის განსაკუთრებულად საინტერესოდ ექსპერტულ სისტემებს მიიჩნევენ. ისინი ხელოვნური ინტელექტის სფეროში ბოლო დროს წარმოებული კვლევების შედეგების საფუძველზე შეიქმნა. ექსპერტული სისტემა ოთხი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილებია: მომხმარებლის ინტერფეისი, ცოდნის ბაზა, ინტერპრეტატორი და სისტემის შექმნის მოდული. ცოდნის ბაზა, იყენებს რა დადგენილ წესებს, იმ პრობლემის

ლოგიკას ასახავს, რომლისთვისაც არის შექმნილი ეს ექსპერტული სისტემა. ინტერპრეტატორი ცოდნის ბაზაში არსებული ინფორმაციის დასამუშავებლად იყენებს აზროვნებას (უმეტესად ადამიანის აზროვნების მსგავსს). სისტემის შექმნელი მოდული შეიძლება სპეციალურ ალგორითმულ ენას, ან წინასწარ შექმნილ ინტერპრეტატორს შეიცავდეს. ასეთ ინტერპრეტატორს ექსპერტული სისტემის გარსს უწოდებენ. გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად ექსპერტული სისტემის, როგორც ერთ ერთი ინფორმაციული სისტემის გამოყენებას, როგორც უპირატესობები, ასევე შეზღუდვები გააჩნია.

**სელოვნური ინტელექტი.** სელოვნური ინტელექტის ქვეშ საზოგადოდ იგულისხმება კომპიუტერული სისტემების ქმედების ისეთი უნარი, რომელსაც შეიძლება ინტელექტუალური ვერტიკალური ვერტიკალური, თუ იგი ადამიანის აზროვნების შედეგია. აქ უმეტესად ის უნარები იგულისხმება, რომლებიც ადამიანის აზროვნებასთან არის გაიგივებული.



ნახ. 4.1

**სელოვნური ინტელექტის გამოყენება.** სელოვნური ინტელექტი ეკონომიკაში ძირითადად ექსპერტული სისტემების სახით გამოიყენება. ისინი ექსპერტების გამოცდილებას ცოდნის ამა თუ იმ სფეროში ევრისტიკული წესების სახით წარმოადგენენ. ეგრისტიკა არ იძლევა ოპტიმალური გადაწყვეტილების ისეთივე მყარ გარანტიას, როგორსაც გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემები. თუმცა ხშირად ისეთ საკმაოდ მისაღებ რეკომენდაციებს გვაწვდის, რომლებიც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, რომ ექსპერტული სისტემა გამოყენებული იქნას როგორც მრჩეველი.

**ექსპერტული სისტემების შექმნის მიზანი.** არსებობს ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. ყველა მენეჯერს არა აქვთ შესაძლებლობა იყოლიოს შტატში ყველა შესაძლო პრობლემის ექსპერტი, ან თუნდაც ყოველთვის მოიწვიოს ისინი. ექსპერტული სისტემების გამოყენების ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მიიღონ ექსპერტისაგან მისი ცოდნა, ჩატვირთონ ეს ცოდნა კომპიუტერში და გამოიყენონ იგი ყოველთვის, როდესაც ამისი აუცილებლობა იქნება. ნახ 4.1 –ზე მოცემულია ექსპერტული სისტემის სტრუქტურა

ექსპერტული სისტემა განსხვავდება გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სხვა სისტემებისაგან. ექსპერტულ სისტემას შესწევს უნარი გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი მსჯელობა განმარტოს. ხშირად ეს განმარტებები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე თვით მიღებული გადაწყვეტილება.

**ექსპერტული სისტემის სტრუქტურა** ოთხი ელემენტისაგან შედგება. მომხმარებლის ინტერფეისი სისტემასთან დიალოგის საშუალებას იძლევა. **სისტემაში შესვლა.** მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს შესვლის ოთხი მეთოდი: მენიუს გამოიყენება, ბუნებრივი ენა, ბრძანებები და საკუთარი ინტერფეისი. მენიუსა და ბრძანებების გამოიყენება საყოველთაოდ არის ცნობილი. რაც შეეხება მაგალითად, შეკითხვას ბუნებრივ ენაზე მეოთხე თაობისათვის, ასე გამოიყერება: “რომელ თანამშრომლებს აქვთ საუნივერსიტეტო განათლება ჩვენს ოფისში?”. საკუთარი ინტერფეისის მაგალითია მომხმარებლის მიერ გამოძახებული ქვემენიუ.

**სისტემიდან გამოსვლა.** ექსპერტულ სისტემას, როგორც უკვე ავღნიშნეთ, შესაძლებლობა აქვს გასცეს არა მხილოდ ამონასსნი, არამედ საჭირო განმარტებაც. განმარტებების ორი სახეობა არსებობს:

- განმარტებები, რომლებიც მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა. მომხმარებელს ყოველ მომენტში შეუძლია ექსპერტულ სისტემას მოსთხოვოს განმარტება სისტემის მოქმედებებთან დაკავშირებით.
- პრობლემის გადაჭრის განმარტება. ასეთ შემთხვევაში, შედეგის მიღების შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს განმარტება, თუ როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილება. სისტემამ უნდა განმარტოს ის მსჯელობა, რამაც იგი აღნიშნულ გადაწყვეტილებადე მიიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტულ სისტემასთან მუშაობა არ არის იოლი, მომხმარებლის ინტერფეისი, როგორც წესი, არ ართულებს დიალოგის წარმართვას. პირიქით, ცდილობს გააიოლოს ურთიერთობა.

**ცოდნის ბაზა.** ცოდნის ბაზა პრობლემის ამსახველ ფაქტებს და ამ ფაქტებს შორის ლოგიკურ კავშირებს შეიცავს.


**წესები.** ცოდნის წარმოდგენის ყველაზე პოპულარული ფორმაა წესების გამოყენება. წესი განსაზღვრავს, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: პირობები, რომლებიც შეიძლება შესრულდეს ან არ შესრულდეს და მოქმედებები, რომელიც უნდა ჩატარდეს, როდესაც პირობები სრულდება. მოვიყვანოთ პირობის მაგალითი.

<b>თუ გაყიდვების რაოდენობა შემცირდება 40%-ზე მეტად, საჭიროა შეწყდეს წარმოება C საამქროში</b>
--

წესები, რომლებიც კონკრეტულ ექსპერტულ სისტემაში გამოიყენებიან, ქმნიან წესების სისტემას. სისტემაში წესების რაოდენობა შედარებით მარტივი სისტემისთვისაც კი რამოდენიმე ათასს აღწევს.

**წესების იერარქია.** ყოველ კონკრეტულ ექსპერტულ სისტემაში წესებს შორის ლოგიკური ურთიერთკავშირის წარმოდგენა იერარქიული სქემით შეიძლება.

იერარქიის დაბალ დონეზე მყოფი წესები იმ წესების ჰეშმარიტობის პირობებს წარმოადგენენ, რომლებიც უფრო მაღალ დონეზე არიან განლაგებული. მაღალ დონეზე მდგომი წესების ჰეშმარიტობა კი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს.



ნახ. 4.2 წესების იერარქია, რომელსაც რამდენიმე შედეგამდე მივყევართ

თუ წესების იერარქიის ზედა დონე მხოლოდ ერთ ელემენტს შეიცავს, ეს ნიშნავს, რომ განსახილველ პრობლემას მხოლოდ ერთი ამონახსნი აქვს. ამასთან ამონახსნი შეიძლება წარმოადგენდეს ცვლადის მნიშვნელობის განსაზღვრას, ერთი ობიექტის შერჩევას, შესაძლო მოქმედების ან რეკომენდაციის შერჩევას. მგალითად, იმ ექსპერტული სისტემის გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება რეკომენდაციის გაცემას, მოხდეს თუ არა ახალი პროდუქტის ბაზარზე გატანა, პასუხი იქნება ”ხო” ან ”არა”.

წესების იერარქიის ზედა დონეზე რამდენიმე წესის არსებობა ნიშნავს, რომ არსებულ პრობლემას რამდენიმე ამონახსნი აქვს. მაგალითად, ექსპერტულმა

სისტემამ, რომლის მიზანია რეკომენდაციის შემუშავება გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, შეიძლება ისეთი სტრატეგიები შემოგვთავაზოს, როგორიც არის პროდუქციის ხარისხის გაზრდა, მისი ფასის შემცირება ან რეკლამაზე გასაწევი ხარჯის გაზრდა.

**წესების შერჩევის პროცედურა.** ცოდნის წარმოდგენისათვის წესების გამოყენების ძირითად სიმნივეებს მონაცემთა ბაზიდან საჭირო წესების აფექტურად შერჩევა წარმოადგენს.

ნახ 4.2-ზე ნაჩვენებია თხუთმეტი წესისგან შემდგარი იერარქია, რომელიც შვიდი შესაძლო ობიექტის (ცხოველების სახეობის) იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ნახაზზე წრეებით აღნიშნულია წესები, სწორკუთხედებით – პირობები. ისრებით, რომლებიც მიმართულია წრეებიდან ზევით, მოქმედებები ან გადაწყვეტილებებია აღნიშნული. ამ ექსპერტული სისტემის გამოყენებით შეიძლება დავადგინოთ, რომ გამოსაკვლევი ცხოველი არის ჩიტი, მხოლოდ R3 (აქვს ბუმბული), ან R4 (დაფრინავს და კვერცხს დებს) წესის საფუძველზე.

**ინტერპრეტაცია.** ინტერპრეტაციი ექსპერტული სისტემის იმ ნაწილს ეწოდება, რომელიც ცოდნის ბაზაში არსებულ ცოდნას (აზროვნებას) გარკვეული თანმიმდევრობით ამუშავებს. დამუშავების პროცესში ინტერპრეტაციი წესებს თანმიმდევრულად, ერთმანეთის მიყოლებით განიხილავს. თუ წესში მოცემული პირობა დაკმაყოფილდა, სრულდება გარკვეული მოქმედება. არსებობს ცოდნის პირდაპირი და შებრუნებული დამუშავების მეთოდები.

**ცოდნის პირდაპირი დამუშავება.** ცოდნის პირდაპირი დამუშავებისას წესებს ერთმანეთის მიყოლებით პირდაპირი თანმიმდევრობით განიხილავთ. ამასთან ერთად, ექსპერტული სისტემა განსაზღვრავს, სრულდება თუ არა ყოველ წესში მოცემული პირობა. თუ პირობა სრულდება (ანუ პირობა ჭეშმარიტია), მაშინ წესი შესრულებულად ითვლება. თუკი პირობა არ სრულდება, ანუ ის მცდარია, ითვლება, რომ წესი არ შესრულდა. არსებობს ისეთი სიტუაციაც, როდესაც წესი არ ითვლება არც მცდარად და არც ჭეშმარიტად. მაგალითად, როდესაც პირობა შეიცავს ცვლადებს, რომელთა მნიშვნელობებიც უცნობია. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ პირობა უცნობია.

ხშირად, გადაწყვეტილების მისაღებად, ყველა არსებული წესის განხილვა რამდენჯერმე მეორდება. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე წესის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის დადგენა ამ წესის ზემდგომი წესების განხილვისას ხდება. ასეთ შემთხვევაში წინა წესების განხილვა შემდეგი იტერაციის დროს მოხდება. დამუშავების პროცესი წყდება, როდესაც მომდევნო იტერაციები ახალი წესების შეფასებას აღარ გვაძლევენ.

**ცოდნის შებრუნებული დამუშავება.** წესების შებრუნებული დამუშავების დროს ინტერპრეტაციი, იჩეკებს რა რომელიმე წესს, მას განიხილავს როგორც გადასაჭრელ პრობლემას. ამ დროს ინტერპრეტაციი ადგენს, თუ რომელი წესების განხილვაა საჭირო ამ პრობლემის გადასაჭრელად. ამის შემდეგ შერჩეული განსაზღვრელი წესი აღიქმება, როგორც გადასაჭრელი პრობლემის ქვეპრობლემა. ინტერპრეტაციი ადგენს, თუ რომელი წესის განხილვაა საჭირო ამ ქვეპრობლემის გადასაჭრელად. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ არ მოიძებნება ის წესი, რომლის შეფასებაც სხვა წესებისაგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.

**წესების დამუშავების პირდაპირი და შებრუნებიული მეთოდების შედარება.** წესების შებრუნებული დამუშავება უფრო სწრაფია, რადგან ის ხორციელდება ერთი იტერაციის ფარგლებში და არ საჭიროებს ყველა წესის აუცილებელ განხილვას. შებრუნებული დამუშავება მისაღებია იმ შემთხვევაში, როდესაც:

- შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე ამონასსნი;
- სისტემაში არის წესების ძალიან დიდი რაოდენობა;

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში განხილვიდან ბევრი წესის ამოგდებაა შესაძლებელი.

ხშირ შემთხვევაში ინტერპრეტეტატორს წესების დამუშავების ორიგუმეთოდის განხილვის შესაძლებლობა აქვს.

**სისტემის შექმნის მოდული.** ექსპერტული სისტემის მეოთხე კომპონენტი არის სისტემის შესაქმნელი მოდული. ეს კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წესების იერარქიული სისტემის შექმნისას. არსებობს ორი მიღომა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სისტემის შესაქმნელ მოდულს. ესენია დაპროგრამების ენების გამოყენება და ეგრეთ წოდებული ექსპერტული სისტემის გარსის გამოყენება.

**დაპროგრამების ენები.** ექსპერტული სისტემის შესაქმნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ალგორითმული ენა, თუმცა სპეციალურად ცოდნის ბაზის სიმბოლურად წარმოსადგენად შექმნილია ორი ენა. ესენია **Lisp** და **Prolog**.

**ექსპერტული სისტემის გარსი** არის მზა პროცესორი, რომელიც შეიძლება რაიმე კონკრეტულ პრობლემას მივუსადაგოთ, ამ პროცესორში შესაბამისი ცოდნის ბაზის დამატებით. უმეტეს შემთხვევაში გარსის გამოყენებით უფრო სწრაფად მიიღება ექსპერტული სისტემა, ვიდრე დაპროგრამების ენის გამოყენებით. დღეისათვის ეპონომიკასა და ბიზნესში ძირითადად ექსპერტული სისტემების გარსს იყენებენ.


## ექსპერტული სისტემის შექმნა

**სისტემური ანალიზის როლი.** ტერმინი “ცოდნის ინჟინერი” ჩვეულებრივ იმ პირის მიმართ გამოიყენება, რომელიც განსახილველი სფეროს ექსპერტთან ერთად, ექსპერტული სისტემის შექმნაში მონაწილეობს. ბევრ ფირმაში ექსპერტული სისტემის დაპროექტებისას ცოდნის ინჟინრის როლს სისტემური ანალიტიკოსი ასრულებს. ჩვეულებრივი გამოყენებითი კომპიუტერული სისტემების ცოდნასთან ერთად სისტემურმა ანალიტიკოსმა უნდა იცოდეს, თუ როგორ აყალიბებს ექსპერტი ცოდნას “საკუთარი” პრობლემის შესახებ; უნდა შეეძლოს ექსპერტისაგან მიღებული ცოდნის აღწერა და მოწესრიგება ექსპერტულ სისტემაში შესატანად.

**ექსპერტული სისტემის შექმნა.** განვიხილოთ ექსპერტული სისტემის შექმნის პროცესი, რომელშიც სისტემური ანალიტიკოსი, პრობლემის ექსპერტი და მომხმარებელი-ხელმძღვანელი მონაწილეობენ (ნახ.4.3).

პროექტირების პროცესის დასაწყისში სისტემური ანალიტიკოსი იწყებს სისტემის შესწავლას იმის დასადგენად, თუ რამდენად არის შესაძლებელი და მიზანშეწონილი ამ სისტემის შექმნა. როდესაც სისტემის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, შემდეგ სისტემური ანალიტიკოსი აგრძელებს სისტემის დაპროექტებას. საბაზისო ექსპერტული სისტემის (პროტოტიპის) დამუშავებისას 2-5 ნაბიჯებზე სისტემური ანალიტიკოსი ექსპერტთან ერთად მუშაობს. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწინილი ხდება საჭირო ცოდნის “შესაძნად” დამატებითი ექსპერტების მოწვევა.

მეორე ნაბიჯზე, სისტემური მიღომის შესაბამისად, სისტემური ანალიტიკოსი და ექსპერტი პრობლემას ნაწილებად ყოფენ. მესამე ნაბიჯზე ქმნიან წესების ნაკრებს და შეაქვთ ისინი სისტემა-პროტოტიპში. მეოთხე ნაბიჯზე ანალიტიკოსი და ექსპერტი სისტემის პროტოტიპის მუშაობას ამოწმებენ. თუ შედეგი არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ხდება პროტოტიპის გადახედვა მეორე ნაბიჯიდან დაწყებული. თუ შემოწმება წარმატებით მიდის, ანალიტიკოსი და ექსპერტი მეხუთე ნაბიჯზე მომხმარებლის ინტერაქციის შექმნას იწყებენ.



ნახ. 4.3. ექსპერტული სისტემის შექმნის პროცესი

მომხმარებელი—მმართველის მონაწილეობა. შექმნილი სისტემის მუშაობის შემოწმებისას აუცილებელია მომხმარებელი—მმართველის მონაწილეობა. ამისათვის ანალიტიკოსი და ექსპერტი მას სისტემასთან ურთიერთობას ასწავლიან და მექანიზმების მომხმარებელი ამოწმებს შექმნილ სისტემას. თუ შემოწმების შედეგი არ დააკმაყოფილებს მომხმარებელს, ასეთ შემთხვევაში სისტემის შექმნის პროცესი მეორდება მეორე ნაბიჯიდან დაწყებული. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოწმების შედეგი დამაკმაყოფილებელია, მეშვიდე ნაბიჯის სტადიაზე იწყება სისტემის საცდელი ექსპლოატაცია. ბოლო, მერვე ნაბიჯზე ხდება შექმნილი ექსპერტული სისტემის დანერგვა ფირმის მუშაობის პრაქტიკაში.

**ექსპერტული სისტემის მაგალითი.** განვიხილოთ ექსპერტული სისტემის მაგალითი, რომელიც ფინანსების სფეროში სამუშაოდ, კრედიტების გაცემის ამოცანების გადასაჭრელად არის განკუთვნილი.

საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისას ორი ამოცანაა გადასაჭრელი:

- ახალი კლიენტებისათვის კრედიტის ზღვრული მნიშვნელობების დადგენა;
- კრედიტების დადგენილი საზღვრების გადახედვა ახლად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

მახასიათებლები	§5000–§ 20000	§20000–§50000
ფინანსური სტაბილურიბა	0,65	0,70
გადახდის მოცულობა	0,18	0,20
საკრედიტო ისტორია	0,10	0,05
ადგილმდებარეობა	0,05	0,03
გაონომიკური პოტენციალი	0,02	0,02
ჯამი	1,00	1,00

ცხრ. 4.4 ინფორმაციული მახასიათებლების წონები

4.4 ცხრილში მოცემულია ხუთი ინფორმაციული მახასიათებელი, რომლებიც კრედიტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ქმნიან ბაზისს. ესენია: ფინანსური სტაბილურობა, გადახდის მოცულობა,

<b>შემოსავლიანობა</b>		
თუ გაყიდვების პროგნოზი გვიჩვენებს და სუფთა მოგება და სუფთა მოგების პროგნოზი გვიჩვენებს და საერთო მოგება და საერთო მოგების პროგნოზი გვიჩვენებს მაშინ კლიენტის ფინანსური მდგომარეობაა	ზრდას; მეტია, ვიდრე 5%; ზრდას; მეტია, ვიდრე 12%; ზრდას; <b>საუკეთესო.</b>	
<b>ლიკვიდობა</b>		
თუ გაყიდვების პროგნოზი გვიჩვენებს და მიმდინარე აქტივების შეფარდება პასივებთან და მიმდინარე აქტივების მიმდინარე პასივებთან შეფარდების პროგნოზი და მიმდინარე აქტივების, მინუს მარაგებისა და დაუმთავრებელი წარმოების შეფარდება მიმდინარე პასივებთან და მიმდინარე აქტივების, მინუს მარაგებისა და დაუმთავრებების წარმოების, მიმდინარე პასივებთან შეფარდების პროგნოზი მაშინ კლიენტის ლიკვიდობა შეფასდება როგორც	ზრდას მეტია, ვიდრე 1,5 იზრდება მეტია, ვიდრე 0,8 იზრდება <b>საუკეთესო</b>	
<b>ნასესხები საშუალებების გამოყენება</b>		
თუ გაყიდვების პროგნოზი გვიჩვენებს და კომპანიის ვალის შეფარდება მის წმინდა დირებულებასთან და კომპანიის ვალის მის წმინდა დირებულებასთან შეფარდების პროგნოზი გვიჩვენებს და ხანმოკლე ვალების შეფარდება მათ საერთო რაოდენობასთან და ხანმოკლე ვალების მათ საერთო რაოდენობასთან შეფარდების პროგნოზი გვიჩვენებს მაშინ ხასესხები საშუალებების გამოყენება ფასდება როგორც	ზრდას ნაკლებია, ვიდრე 0,3 კლებას ნაკლებია, ვიდრე 0,4 კლებას <b>საუკეთესო</b>	
<b>ფინანსური სტაბილურობა</b>		
თუ კლიენტის შემოსავლიანობაის შეფასდებაა და კლიენტის ლიკვიდურობის შეფასებაა და ხასესხები საშუალებების გამოყენების შეფასებაა მაშინ კლიენტის ფინანსური სტაბილურობის შეფასებაა	საუკეთესო საუკეთესო საუკეთესო საუკეთესო	

ნახ.4.4 კლიენტის ფინანსური სტაბილურობის განმსაზღვრელი წესების ნაკრები

საკრედიტო ისტორია, ფირმის ადგილმდებარეობა და მისი ეკონომიკური პოტენციალი. ყველა ამ მახასიათებელს საკუთარი წონა გააჩნია. ეს წონები გასაცემი კრედიტის თანხაზეა დამოკიდებული.

კრედიტის გაცემის ექსპერტული სისტემის ცოდნის ბაზა ორი კომპონენტისაგან შედგება. ეს კომპონენტებია:

- წესების ნაკრები, რომელიც კრედიტის გაცემის ლოგიკას განასახიერებს;
- მათემატიკური მოდელი, რომლის საფუძველზეც ხდება კრედიტის ხდვრული თანხის სიდიდის გამოთვლა.

განვიხილოთ წესების ნაკრები, რომელიც გამოიყენება “ფინანსური სტაბილურობის” მახასიათებლების განსაზღვრისას. როდესაც წესი სრულდება, მის დასახელებას ენიჭება მნიშვნელობა “საუკეთესო”.

ინტერპრეტატორის მიერ წესების ნაკრების დამუშავებისას მომხმარებელმა ექსპერტული სისტემის მიერ დასმულ სხვადასხვა შეკითხვას უნდა უპასუხოს. მაგალითად: “როგორია მახასიათებლების “საკრედიტო ისტორია” და “გადახდების მოცულობა” შეფარდებითი მნიშვნელოვნება, როდესაც მიზანი არის კრედიტის მოცულობის გაზრდა.”

როდესაც წესების ნაკრების დამუშავება დამთავრდება, მონიტორის ექრანზე გამოდის ინფორმაცია, როგორიც არის წარმოდგენილი ცხრილში – 4.5.

<b>კლიენტის საკრედიტო ანალიზი: შპს “სკლაბი” თბილისი</b>	
მოთხოვნა კრედიტზე	\$50 000
არსებული კრედიტი	\$ 0
შეთავაზებული კრედიტი	\$ 0
<b>კლიენტის მიღებული მახასიათებლები:</b>	
ფინანსური სტაბილურობა	ცედი
საკრედიტო ისტორია	კარგი
ეკონომიკური პოტენციალი	კარგი
ადგილმდებარეობა	საუკეთესო

#### ცხრ.4.5 ინფორმაცია კრედიტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ

როგორც ცხრ.4.5-ის მონაცემებიდან ჩანს, კლიენტის მოთხოვნა არის კრედიტი 50 000\$ ოდენიბით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისათვის კლიენტს არ აქვს დავალიანება, სისტემა არ ურჩევს მისთვის კრედიტის გაცემას. ექსპერტული სისტემა განმარტების სახით აცნობებს მომხმარებელს კლიენტის ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობების გათვლების შედეგს. მათ შორის არის ფირმის ფინანსური სტაბილურობის დაბალი შეფასება, რაც იმის მიზეზი ხდება, რომ კრედიტი არ გაიცეს. სისტემას შესაძლებლობა აქვს გასცეს კიდევ დამატებითი ახსნა-განმარტება, რომელიც განმარტავს იმ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც სისტემა მივიდა აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე.

**თავი 5.**  
**ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის უზრუნველყოფის  
სტრუქტურა**

3.1 პარაგრაფში ჩვენ გავაკეთეთ ინფორმაციული სისტემების კლასიფიცირება ბიზნესის სფეროს მიხედვით. ასეთი სფეროები იყო: მარკეტინგი, წარმოება, ფინანსები, პერსონალის მართვა და სხვა. ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელების ინფორმაციული უზრუნველყოფის აუცილებლობამ სპეციალური ინფორმაციული ქვესისტემის შექმნა განაპირობა. ამრიგად, ორგანიზაციის ერთიანი ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა ხუთი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება:

- 1) ხელმძღვანელის ინფორმაციული სისტემა,
- 2) მარკეტინგის ინფორმაციული სისტემა,
- 3) წარმოების ინფორმაციული სისტემა,
- 4) ფინანსების ინფორმაციული სისტემა,
- 5) კადრების მართვის ინფორმაციული სისტემა. (ნახ.5.1)

ხელმძღვანელის ის			
მარკეტინგის ის	წარმოების ის	ფინანსების ის	კადრების ის

ნახ 5.1 ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის ფუნქციური სტრუქტურა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაყოფა პირობითია. ყველა ამ ქვესისტემის მონაცემთა ბაზა საერთოა და პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილიც შეიძლება უნივერსალური იყოს ყველა ქვესისტემისათვის.

ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის ყველა ქვესისტემა ერთდროულად მუშაობს და საერთო მიზანს ემსახურება. ამიტომ ერთი ქვედანაყოფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავსებადი უნდა იყოს სხვა ქვედანაყოფებში მიღებულ გადაწყვეტილებებთან.

ამგვარად, ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის დაყოფა ცალკეულ ქვესისტემებად ლოგიკური უფროა ვიდრე ფიზიკური. ასეთი დაყოფა მომხმარებლის მიერ ინფორმაციული სისტემის მუშაობის აღქმას აიღებს.


## 5.1 ხელმძღვანელის ინფორმაციული სისტემა.

ფირმის ხელმძღვანელობას ინფორმაციის მიმართ საკუთარი, უნიკალური მოთხოვნები გააჩნია. ხელმძღვანელის ის უმაღლესი დონის მმართველებისათვის ფირმის საქმიანობის შესახებ აუცილებელი ინფორმაციით და დეტალიზების საჭირო დონით არის უზრუნველყოფილი.

ხელმძღვანელის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა მოყვანილია 5.2 ნახაზე. მის შექმნას საფუძვლად უდევს პერსონალური კომპიუტერების ქსელის პრინციპი. ცენტრალური კომპიუტერი, რომელიც არა მხოლოდ ხელმძღვანელობას ემსახურება, კომპანიის მონაცემთა ბაზას, პროგრამული საშუალებების ბიბლიოთეკას და აგრეთვე სპეციალურად შეტანილ იმ სიახლეებსა და განმარტებებს იყენებს, რომლებიც ხელმძღვანელობისათვის არის საინტერესო. ცენტრალური კომპიუტერის მიერ წინასწარ მომზადებული ინფორმაცია და მონაცემები ხელმძღვანელისათვის განკუთვნილ მომაცემთა ბაზას ქმნიან. ხელმძღვანელი ირჩევს მისთვის საჭირო ინფორმაციას და ამასთან ერთად მიუთითებს დეტალიზების სასურველ დონეს, ან კითხვა-პასუხის რეჟიმს იყენებს. სისტემა ხელმძღვანელისათვის ელექტრონული ფოსტისა და გარედან

მოწოდებული სხვა ინფორმაციისა და მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

ხელმძღვანელისა და სისტემის შორის დიალოგი მენიუს გამოყენების საშუალებით ხდება. კლავიატურის გამოყენება მინიმუმამდევა დაყვანილი. ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილების, დიაგრამების, გრაფიკებისა და განმარტებების სახით. ამასთან კომპიუტერული პროგრამები ინფორმაციის წარმოდგენის ერთი ფორმიდან მეორეზე სწრაფად გადასვლის საშუალებას უნდა იძლეოდნენ. ამგვარად, ხელმძღვანელის ინფორმაციული სისტემის ფარგლებში, ძირითადად, გადაწყვეტილების მიღების ინფორმაციული და ექსპერტული მხარდაჭერის რეალიზება ხდება.



### ნახ.5.2 ხელმძღვანელის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა

დიალოგის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი კონტროლირებადი პარამეტრის აღწერის დეტალიზების დონის მომატება და დაკლება. ასე მაგალითად, გამომავალი პატამეტრების განხილვისას შეიძლება მათ შორის რაიმე შეუსაბამობა აღმოჩნდეს. ამ დროს ხელმძღვანელი მოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი მონაცემების სტრუქტურის, მათი დამუშავების თანმიმდევრობის და იმ საწყისი მონაცემების შესახებ, რომლებიც მოცემული მაჩვენებლის გამოთვლისას გამოიყენებიან. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლო შეცდომების მოსახებნად არის ეფექტური.


ხელმძღვანელები ინფორმაციულ სისტემებთან თავის მუშაობას, როგორც წესი, მენეჯმენტის ცნობილ პრინციპებზე აგებენ. მაგალითად, ბევრი

ხელმძღვანელი იყენებს ეგრეთ წოდებულ “მართვას გადახრების მიხედვით”. ამ მეთოდის მიხედვით მუდმივად ხდება კომპანიის დაგეგმილი და მიმდინარე შედეგების ერთმანეთთან შედარება. სხვები უპირატესობას ანიჭებენ ორგანიზაციის საქმიანობის მხრივ “კრიტიკული პარამეტრების” გაკონტროლებას. ცხადია, რომ ყველა ამ მეთოდის მიზანია კონტროლირებადი მონაცემების მოცულობის შემცირება, რათა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება გაიოლდეს.

## 5.2 მარკეტინგის ინფორმაციული სისტემა.

მარკეტინგის მენეჯერს თავის განკარგულებაში სხვადასხვა სახის რესურსი გააჩნია. მენეჯერის პირდაპირი მოვალეობაა ამ რესურსების გამოყენების ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც პროდუქციის გაყიდვების მოცულობის გაზრდას განაპირობებს. პროდუქცია შეიძლება იყოს ნაკეთობა, მომსახურება ან იდეა.

მარკეტინგის ინფორმაციული სისტემა არის ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის ნაწილი. იგი სისტემას კლიენტებისა და კონკურენტების შესახებ იმ მონაცემებს აწვდის, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არის უცილებელი.



ნახ. 5.3 მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა

ნახ. 5.3-ზე გამოსახულია მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა. შემავალ ქვესისტემებში ხდება მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება. გამომალი ქვესისტემები შეიცავენ პროგრამულ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაცემთა ტრანსფორმირება მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციად.

## მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის შემავალი ქვესისტემები

**საბუღალტრო ინფორმაციული სისტემა.** მარკეტინგის მიზნებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი მარკეტინგის ქვესისტემას საბუღალტრო ინფორმაციული სისტემიდან მიეწოდება. ამაში შედის დეტალური ინფორმაცია კომპანიის პროდუქციის გაყიდვების შესახებ. ეს ინფორმაცია პერიოდული და სპეციალური ანგარიშების, ასევე მათემატიკური მოდელების შესაქმნელად და ინფორმაციული სისტემიდან რჩევების მისაღებად გამოიყენება.

**მარკეტინგის კვლევის ქვესისტემა** განკუთვნილია ფირმის მარკეტინგული ოპერაციების ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებული მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებისთვის, განსაკუთრებით კი იმ მონაცემების შეგროვებისთვის, რომლებიც ფირმის ნაწარმის არსებულ და მომავალ მომსმარებელს ეხება. ეს მონაცემები ფირმამ შეიძლება იყიდოს იმ კომპანიისაგან, რომლის პროფესიული საქმიანობა მონაცემთა შეგროვებაა, ან გამოკითხვის მეშვეობით დამოუკიდებლად შეაგროვოს. საზოგადოდ, მარკეტინგული კვლევის ჩატარება რთული და ძვირად ლირებული საქმეა. ამიტომ ასეთი კვლევების ჩატარება მხოლოდ დიდ და ძლიერ ფირმებს შეუძლიათ. ბოლო წლებში პროგრამული საშუალებების ბაზარზე გააჩნდა მარკეტინგული კვლევის ჩასატარებელი პროგრამები. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა იმ კომპანიების წრე, რომლებიც მარკეტინგულ კვლევებს საკუთარი ძალებით ანხორციელებენ. ასეთი პროგრამები გამოყენებითი პაკეტების ფართო ასორტიმენტს შეიცავენ, დაწყებული სატელეფონო გამოკითხვებიდან, რთული სტატისტიკური ანალიზით დამთავრებული.

**მარკეტინგის გარე ქვესისტემა** უზრუნველყოფს კონკურენტების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებას, ასევე ბიზნესის რეგულირების სახელმწიფო და საერთაშორისო ასპექტებს. ეს მონაცემები მომავალზე არიან ორიენტირებული.


### მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის გამომავალი ქვესისტემები.

მარკეტინგული ინფორმაცია იმ ნაწარმისა და მომსახურების თაობაზე, რომელიც ფირმამ მომსმარებელს უნდა შესთავაზოს, 4 მახასიათებლისაგან შედგება: 1) ნაწარმის დასახელება, 2) ადგილი, სადაც ნაწარმი გაიყიდა, 3) ფირმის აქტივობა რეკლამაში და პერსონალის აქტივობა გაყიდვებში, 4) ნაწარმის ფასი. ამ ოთხი მახასიათებლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად მარკეტინგის ინფორმაციულ სისტემას ოთხი გამომავალი ქვესისტემა გააჩნია. მეხუთე, გამომავალი ქვესისტემა კი, რომელსაც ინტეგრირებული ქვესისტემა ეწოდება, მენეჯერს საშუალებას აძლევს დამუშაოს მარკეტინგული სტრატეგიები და ამისთვის ზემოთ აღწერილი ოთხი მახასიათებლის სხვადასხვა კომბინაცია გამოიყენოს. ინტეგრირებული ქვესისტემიდან მიღებული ინფორმაციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გაყიდვების პროგნოზი, როდესაც ინტერაქტიულად იცვლება მარკეტინგის ოთხივე მაჩვენებელი. მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის ყოველი გამომავალი ქვესისტემა პროგრამულ პროდუქტს წარმოადგენს და ცენტრალური კომპაიუტერის პროგრამების ბიბლიოთეკაში ინახება. ეს პროგრამები მენეჯერს საშუალებას აძლევენ ინფორმაცია პერიოდული ან სპეციალური ანგარიშების, მათემატიკური მოდელირების, ელექტრონული კომუნიკაციის ან ექსპერტული სისტემის რჩევების სახით მიიღოს.

**ნაწარმის ქვესისტემა.** მარკეტინგის მენეჯერის პირველი გადაწყვეტილება, როგორც წესი, ნაწარმის იმ სახეობის დადგენას ეხება, რომელიც ფირმამ ბაზარზე უნდა გაიტანოს და ბაზრის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ასეთი

გადაწყვეტილების მისაღებად ხშირად იყენებენ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დიაგრამას. ეს დიაგრამა ნაწარმის ბაზარზე გამოჩენის დროიდან არსებული გაყიდვების შესახებ მონაცემების საფუძველზე იქმნება. ნაწარმის სასიცოცხლო ციკლი ოთხი სტადიისგან შედგება. ესენია ბაზარზე შეტანის, ზრდის, გაჯერების და ვარდნის სტადიები. ყოველი ამ სტადიის დადგომისას ნაწარმის ქვესისტემასთან მომუშავე მენეჯერმა შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

პირველი სტადიის დაწყებამდე გადაწყვეტილება მიიღება ახალი პროდუქციის ბაზარზე გატანის მიზანშეწონილობის თაობაზე.



ნახ. 5.4 ნაწარმის სასიცოცხლო ციკლი და მასთან დაკავშირებული  
მარკეტინგული გადაწყვეტილებები

პირველ, მეორე და მესამე სტადიაზე მიღებული სტრატეგიის გადახედვა ხდება. მეოთხე სტადიაზე კი განიხილება ნაწარმის გაყიდვიდან მოხსნის საკითხი. როგორც ავღნიშნეთ, სასიცოცხლო ციკლის პირველი სტადიის დაწყებამდე განიხილება ბაზარზე ახალი ნაწარმის შეტანის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს სერიოზული გადაწყვეტილებაა და ისეთ სპეციალურ ფინანსურ ანალიზს საჭიროებს, რომელიც ნაწარმის პოტენციურ მომგებიანობას და რესურსების გამოყენების ეფექტურობას ითვალისწინებს.

ბაზარზე გასატანი ნაწარმის შეფასება როგორც წარმოების სფეროს, ასევე მარკეტინგის სფეროს მოსაზრებებს ითვალისწინებს (ცხრ. 5.1).

წარმოების სფეროს შეფასებები გათვალისწინებულია ცხრილის ზედა ნაწილში, ხოლო მარკეტინგის შეფასებები ცხრილის შუა ნაწილშია მოცემული. შეფასების ყოველი მაჩვენებლისათვის შემოტანილია წონა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად დირექტულია ესა თუ ის მახასიათებელი გადაწყვეტილების მიღებისას. ცხრილის ცენტრალური ნაწილი შეიცავს მაჩვენებლების შეფასებას ხუთი გრადაციის მიხედვით: წარჩინებული, კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი და ძალიან ცუდი. უმაღლეს გრადაციას (წარჩინებული) ენიჭება მნიშვნელობა 10. უმდაბლეს გრადაციას (ძალიან ცუდი) ენიჭება - 2. არჩეული მაჩვენებლის ესა თუ ის შესაბამისობა გრადაციასთან მენეჯერის მიერ დადგენილი ალბათობის მნიშვნელობით ფასდება. ამ ალბათობის ნამრავლი გრადაციის რიცხვით მნიშვნელობაზე მოსალოდნელ შეფასებას განსაზღვრავს. ასეთ შეფასებას ხუთი გრადაციიდან ყოველი მაჩვენებელი იღებს. მარჯვნიდან მეორე სვეტი შეიცავს

მოსალოდნელი შეფასებების ჯამებს, რომელიც მოცემულმა პარამეტრმა სხვადასხვა გრადაციის მიხედვით მიიღო. მარჯვენა კიდურა სვეტში მოცემულია ამ ჯამების ნამრავლი მაჩვენებლის შესაბამის წონაზე. საწარმოო და მარკეტინგული რესურსების შეფასების შედეგად მიღებული მნიშვნელობები უნდა გავამრავლოთ შესაბამის ფარდობით წონებზე და შევაჯამოთ. ეს პროცედურა მოცემულია ცხრილის ქვედა განყოფილებაში. ასეთივე შეფასებები კეთდება ყველა ნაწარმისათვის. ეს შეფასებები მარკეტინგის მენეჯერის მიერ გადაწყვეტილების მიღებას მნიშვნელოვნად აიოდება.

მარკეტინგული	ახალი ნაწარმის შეფასება ბაზარზე გასატანად										
	წარჩინებულ კარგი		დამაქმ. ცუდი		ძალიან ცუდი		საწარმოო რესურსის გამოყენება				
	შეფასება	10	8	6	4	2					
მარკეტინგული ჯამი შეფასება											
კარხის სიმძლავეზე	წონა	ალბათობა შეფასება	კარგი	დამაქმაყოფილებელი	ცუდი	ძალიან ცუდი					
	0,2	0,2	2	0,6	4,8	0,2	1,2	0	0	0	8,00
შრომის კალიფიკაცია	0,3	0,2	2	0,7	5,6	0,1	0,6	0	0	0	8,20
საინჟინრო სამუშაოები	0,3	0	0	0,2	1,6	0,2	1,2	0,6	2,4	0	0
დანადგარების											5,20
შესაძლებლობები	0,1	0	0	0	0	0,7	4,2	0,3	1,2	0	0
მასალების არსებობა	0,1	0	0	0	0	0,1	0,6	0,6	2,4	0,3	3,60
საწარმოო რესურსის ჯამში											6,52
მარკეტინგული რესურსის გამოყენება											
ნაწარმის	წონა	ალბათობა შეფასება	ალბათობა შეფასება ალბათობა შეფასება	ალბათობა შეფასება ალბათობა შეფასება							
თვითღირებულება	0,2	0	0	0,2	1,6	0,5	3	0,2	0,8	0,1	0,2
სპეციალური ცოდნა	0,2	0,1	1	0,5	4	0,3	1,8	0,1	0,4	0	0
საბითუმო შესაძლებლობა	0,3	0,3	3	0,5	4	0,2	1,2	0	0	0	8,20
მოთხოვენის											2,46
საწურდინებობა	0,3	0	0	0,2	1,6	0,6	3,6	0,2	0,8	0	0
მარკეტინგული რესურსის ჯამში											6,82
ფირმის რესურსის გამოყენება											
	შეფასება	წონა	შეფასება								
წარმოება	6,52	0,4	2,61								
მარკეტინგი	6,829	0,6	4,10								
უირმის რესურსები			6,71								

ცხრ. 5.1

**ადგილის ქვესისტემა.** ნაწარმის რეალიზების ადგილი მეორე პარამეტრია, რომელიც სტრატეგიის შერჩევაში მონაწილეობს. ადგილის პარამეტრის შერჩევა ფირმის მიერ შერჩეულ პროდუქციის განაწილების სისტემაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ფირმის განაწილების არხი მოკლეა, რადგან ისინი უშუალოდ მომხმარებელს აწვდიან თავის პროდუქციას. ზოგიერთი ფირმის განაწილების არხი კი შუამავლების ქსელის ხარჯზე იზრდება. ასეთი შუამავლები არიან: ბითუმით მოვაჭრები, ბროკერები და დისტრიბუტორები. არხის ყველა მონაწილემ უნდა იცოდეს ყველა იმ ოპერაციის დეტალები, რომელიც არხში მყოფ პროდუქციას უტარდება. ასე რომ მწარმოებელმა უნდა იცოდეს, თუ რა ფასად მიერთდება მისი პროდუქცია საცალო ვაჭრობის ქსელს და რა ფასად ხდება მისი მიყიდვა მომხმარებლისათვის. ამრიგად, განაწილების ყოველ არხში,

გარდა ნაწარმის ნაკადისა, რომელიც მწარმოებლისგან მომხმარებლისაკენ მიედინება, არსებობს კიდევ ორი ინფორმაციული ნაკადი. ერთი მიმართულია მიმხმარებლისგან მწარმოებლისკენ და ახასიათებს არხში მიმდინარე ფინანსურ ოპერაციებს, მეორე ნაკადი კი მიმართულია მწარმოებლისგან მომხმარებლისკენ.

ეს ნაკადი შეიცავს სარეკლამო ინფორმაციას, მონაცემებს შესაძლო ფასდაკლებების შესახებ, ნაწარმის გამოყენების ინსტრუქციას, საგარანტიო ვალდებულებებს, მოთხოვნის პროგნოზს და ა.შ. ამ ინფორმაციულ არხებში კომპიუტერების გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროდუქციის განაწილების არხის მუშაობის ეფექტურობას.

**აქტივობის ქვესისტემა.** კომპიუტერების გამოყენება ხელს უწყობს ფირმის აქტივობის მომატებას რეკლამაში და აგრეთვე მისი თანამშრომლების აქტივობას საქონლის რეალიზებაში. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება რეკლამის სფეროში გადაწყვეტილების მისაღებად მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების დამუშავებას. ამ მოდვაწეობის მეორე, უმნიშვნელოვანესი ასკექტი არ იძლევიან ის გამყიდველებისა და სავაჭრო აგენტების კომუნიკაციის შესაძლებლობის გაზრდა. ეს მიიღწევა პორტატული კომპიუტერების მეშვეობით. ისინი შესაძლებლობას იძლევიან:

- კითხვა—პასუხის რეჟიმში განხორციელდეს ცენტალურ მონაცემთა ბაზასთან ურთიერთობა, საქონლის მარაგის, ფასების, სატრანსპორტო ხარჯისა და სხვა ინფორმაციის დასაზუსტებლად;
- შევიდეს მონაცემები ახალი შეკვეთების შესახებ;
- დამუშავდეს და ხელმძღვანელობას მიეწოდოს მოხსენებები მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებების თაობაზე მარკეტინგის სტრატეგიის ეფექტურობის შესაფასებლად. აგრეთვე მიეწოდოს ინფორმაცია ფირმის კონკურენტულ გარემოში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

მეორეს მხრივ, ასეთი სიტემის არსებობა ფირმას შესაძლებლობას აძლევს რომ საკუთარ სავაჭრო აგენტს შემდეგი ინფორმაცია მიაწოდოს:

- ფირმაში წარმოებული ახალი საქონლის შესახებ;
- მოცემულ რეგიონში წინა წლებში გაყიდვებისა და მყიდველების შესახებ;
- საქონლის მოგებიანობისა და მისი რეალიზების შემთხვევაში სავაჭრო აგენტებისათვის საკომისიო ანაზღაურების გაზრდის თაობაზე.


**ფასების ქვესისტემა.** მარკეტინგული სტრატეგიის დადგენისას ფასწარმოქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი ფირმა ფასის დადგენისას საკუთარ დანახარჯს და რაიმე სტანდარტულ მოგებას ითვალისწინებს. ასეთ მიდგომას თეორიაში ძალიან ფრთხილი მიდგომა ეწოდება, რადგან შესაძლოა მომხმარებელი მზად არის მეტიც გადაიხადოს. ასეთ შემთხვევაში საბუღალტრო საინფორმაციო სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებისას დანახარჯის აღრიცხვა და ამის საფუძველზე ფასის დადგენა არ არის რთული.

სხვა, ნაკლებად ფრთხილი ფირმები ფასწარმოქმნის მოთხოვნაზე დამოკიდებულების კონცეფციას ემხრობიან. ასეთ შემთხვევაში ფასის დადგენას საფუძვლად უნდა დაედოს მოთხოვნის შეფასება, რომელიც მომხმარებლის ინტერესებს, ეკონომიკისა და კონკურენტული გარემოს მდგომარეობას ითვალისწინებს. ამ დროს აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისას კომპიუტერული მხარდაჭერა, მათემატიკური მოდელირების ჩათვლით. მოდელების გამოყენება მენეჯერს საშუალებას აძლევს ამოცანის "რა იქნება თუ?" მრავალჯერადი ამოხსნით დაადგინოს ის ფასი, რომელიც სავარაუდო მაქსიმალურ მოგებას მოიტანს. ასეთი ამოცანების ამოხსნის პროგრამული უზრუნველყოფა სტანდარტულია მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის ფასების ქვესისტემისათვის.

**ინტეგრირებული ქვესისტემა.** მარკეტინგის ინფორმაციული სისტემის ინტეგრირებული ქვესისტემა მენეჯერს მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების საშუალებას აძლევს. ამ დროს მას ოთხი მახასიათებლის გარირების შესაძლებლობა აქვს. ესენია: პროდუქცია, ადგილი, აქტივობა და ფასი.

### 5.3 წარმოების ინფორმაციული სისტემა

წარმოების სფეროში მომუშავე მმართველები კომპიუტერს იყენებენ, როგორც თვით წარმოების სისტემის, ასევე წარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ნაწილს. კომპიუტერი გამოიყენება როგორც ავტომატური დაპროექტების სისტემებში, ასევე საწარმოო რობოტების და მოქნილი საწარმოო სისტემების შექმნაში. წარმოების ინფორმაციული სისტემის შემადგენლობაში კომპიუტერი გამოიყენება წარმოების პროცესის კალენდარული გეგმის შედგენისას, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების მარაგების მართვაში, საწარმოო დანახარჯების აღრიცხვისას და ნაწარმის ხარისხის კონტროლისათვის.



ნახ.5.5 წარმოების ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა

წარმოების ინფორმაციული სისტემა სამი შემავალი ქვესისტემისაგან შედგება(ნახ.5.5). ეს ქვესისტემები სისტემას შიდა და გარეშე ინფორმაციით და მონაცემებით უზრუნველყოფენ. ესენია:

- საბუღალტრო აღრიცხვის ქვესისტემა
- საინჟინრო ქვესისტემა,
- გარე ინფორმაციის ქვესისტემა.

წარმოების მართვისთვის საჭირო ინფორმაციის უმეტესი ნაწილი წარმოების ინფორმაციულ სისტემაში საბუღალტრო ინფორმაციული სისტემიდან შედის. ეს

არის დეტალური ინფორმაცია, რომელიც შეეხება პერსონალისა და მანქანების ყველა ქმედებას მასალებისა და ნედლეულის გადამუშავებისას საბოლოო პროდუქციის მისაღებად. ეს მონაცემები შემდეგ ანგარიშების შედგენისას, მათემატიკური მიღელების შესაქმნელად და ექსპერტული სისტემიდან რჩევის მისაღებად გამოიყენება. იღებს რა სრულ მიმდინარე ინფორმაციას წარმოების მდგომარეობის შესახებ, მთავარი კომპიუტერი ქმნის საწარმოო სიტემის მუდმივად განახლებად, დინამიურ მოდელს. ინფორმაცია, რომელიც შესრულებულ საწარმოო ოპერაციებს აღწერს, ინფორმაციულ სისტემაში საინჟინრო ქვესისტემიდან შემოდის. საინჟინრო სისტემაში მომუშავე წარმოების ინჟინრების საქმიანობა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის განვითარებასა და სრულყოფასთან არის დაკავშირებული. ასევე მათ კომპეტენციაში შედის საწარმოო სიმძლავრეების განაწილება რეგიონის ტერიტორიაზე, მატერიალური რესურსების მარაგების მართვა და კალენდარული საწარმოო დაგეგმვა, ანუ წარმოების მართვის სრულყოფა.

წარმოების ინფორმაციული სისტემის მესამე შემავალი ქვესისტემა არის გარე ინფორმაციის ქვესისტემა. იგი სისტემას ფირმის გარემოცვის შესახებ ორი სახის მონაცემებითა და ინფორმაციით უზრუნველყოფს. ეს არის ინფორმაცია მომწოდებლებისა და პროფესიონალების შესახებ. ამ მონაცემების შეგროვებისათვის აუცილებელია სპეციალური კვლევების ჩატარება და პირადი კონტაქტები.

### **წარმოების ინფორმაციული სისტემის გამომავალი ქვესისტემები**

წარმოების ინფორმაციული სისტემის გამომავალი ქვესისტემების შემადგენლობაში ოთხი დამოუკიდებელი ქვესისტემა შედის. ისინი აფასებენ საწარმოო პროცესის ცალკეულ მიმართულებას. ეს ქვესისტემებია:

- კალენდარული ქვესისტემა;
- მარაგის მართვის ქვესისტემა;
- ხარისხის კონტროლის ქვესისტემა;
- ხარჯთაღრიცხვის ქვესისტემა.

კალენდარული ქვესისტემა, დროის ასპექტში, აფასებს ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე სამუშაოთა ნაკადის გადასვლას. იმას, თუ რა დრო ესაჭიროება თვითონეულ სამუშაო ადგილზე საწარმოო ოპერაციის ჩატარებას.

მარაგის მართვის ქვესისტემა აფასებს მატერიალური ფასეულობის (ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, დაუმთავრებელი ნაწილებისა და მზა პროდუქციის) შენახვის ხარჯებს მათი დამუშავების ყველა სტადიაზე.

ხარისხის კონტროლის ქვესისტემა კომპლექსურად ახდენს ხარისხის კონტროლს წარმოების ყველა სტადიაზე. კონტროლი ხორციელდება როგორც საწარმოში მასალის, ნედლეულის და სხვა მატერიალური ფასეულობის შემოსვლისას, ასევე მზა ნაწილების საწარმოდან გასვლისას.

ხარჯთაღრიცხვის ქვესისტემა აფასებს საწარმოო ხარჯებს წარმოების ყველა ეტაპზე.

### **წარმოების ინფორმაციული სისტემის კალენდარული ქვესისტემის ამოცანა**


განვიხილოთ წარმოების კალენდარული ქვესისტემის მუშაობა ჯიბის ფარანის წარმოების მაგალითზე. ჯიბის ფარანი რამოდენიმე დეტალისგან შედგება (ცხრ.5.2).

ნაკეთობა „ფარანი”-ს აწყობის პროცესი ნახ.5.6-ზე მოყვანილი სქემის მიხედვით ხორციელდება.

### ნაკეთობა ”ფარანი”-ს დეტალების კომპლექტი

ნაწილის დასახელება	რაოდენობა
პლასტმასის კორპუსი	1
ხრახნიანი სახურავი	1
ჩამრთველი	1
ზამბარა	1
რეფლექტორი	1
ნათურა	1
შუშა	1
კვების ჭყარო	2

ცხრ.5.2



ნახ. 5.6 ნაკეთობის წარმოების პროცესის სქემა

სქემიდან ჩანს, რომ დროის ეკონომიის მიზნით, ინჟინერ-ტექნოლოგმა სამუშაოთა თანმიმდევრობა ორ ნაკადად გაყო. ეს ორი ნაწილი ერთდროულად სრულდება. ერთი ნაკადი აწყობს ფარანის კორპუსს, მეორე კი სახურავს. ყოველი ნაკადი რამდენიმე ოპერაციისაგან შედგება. ეს ოპერაციები სქემაზე რგოლებშია წარმოდგენილი. საბოლოო ოპერაცია კი, ანუ სახურავისა და კორპუსის შეერთება, მოცემულია სამკუთხედში.

წარმოების კალენდარული გეგმა, რომელსაც სპეციალური პროგრამა ქმნის, მოცემულია ცხრ. 5.3-ზე.

წარმოების კალენდარული გეგმა							
ნაკეთობა ”ფარანი“							
კოდი: 79-113							
მაკომპლექტების ბეჭი ელემენტი	გაიცა		საწარმოო ოპერაცია	დასაწყისი		დასასრული	
	თარი ღი	დრო		თარი ღი	დრო	თარი ღი	დრო
კორპუსი	24-10	8-00					
ზამბარა	24-10	8-00	1-ზამბარის ჩასმა	24-10	8-38	24-10	14-30
ჩამრთველი	24-10	14-30	2-ჩამრთველის ჩადგმა	24-10	15-00	26-10	9-00
კვების წყარო	26-10	13-45	3-კვების წყაროს ჩადგმა	26-10	14-04	26-10	17-00
სახურავი	23-10	9-00					
ნათურა	23-10	9-00	4-ნათურის ჩასმა	23-10	9-30	23-10	15-22
რეფლექტორი	23-10	15-30	5-რეფლექტორის ჩადგმა	23-10	16-00	25-10	10-00
შუშა	25-10	10-30	6-შუშის ჩასმა 7-კორპუსის და სახურავის შეერთება	25-10	11-00	26-10	9-20
				26-10	8-00	27-10	13-52

### ცხრ.5.3. ნაკეთობა ”ფარანი“—ს შექმნის კალენდარული გეგმა

ცხრილის მარცხენა მხარეს მოცემულია საწყობიდან ნაკეთობის მაკომპლექტებელი ნაწილების გაცემის თარიღი და დრო. საწყობიდან გაცემის შემდეგ ელემენტები გადააქვთ საწარმოო სამაქროში. ცხრილის ცენტრში მითითებულია 7 ოპერაცია, რომელიც სრულდება ფარანის აწყობისას. ასევე მითითებულია თვითეული ოპერაციის დაწყებისა და დამთავრების თარიღი და დრო. ეს მონაცემები საინჟინრო ქვესისტემის მიერ შრომატევადობის ნორმების საფუძველზეა გათვალისწინებული.

სამუშაოს შესრულებისას თანამშრომლები საამქროს ტერმინალით გადაცემენ ინფორმაციას თითოეული ოპერაციის დასაწყისისა და დასასრულის შესახებ. ოპერაციის შესრულების დროის შესახებ გეგმიური და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე საინჟინრო ქვედანაყოფის თანამშრომლები აფასებენ ერთის მხრივ, საწარმოო პროცესის ეფექტურობას, ხოლო მეორეს მხრივ, შრომატევადობის დადგენილი ნორმების სისტორეს.


ინფორმაციული სისტემის კალენდარული ქვესისტემა არა მხოლოდ გაცემული კალენდარული გეგმების მეშვეობით ეხმარება წარმოების მართვას. იგი ასევე მენეჯერის მოთხოვნის საფუძველზე გასცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ წარმოების (საწარმოო ოპერაციის) რომელ სტადიაზეა ნაკეთობა. კითხვა-

პასუხის რეჟიმს წარმოების ინფორმაციული სისტემის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა განახორციელებს.

#### 5.4 საფინანსო ინფორმაციული სისტემა

იმისათვის, რომ წარმოება, მარკეტინგი და სხვა სახის მოღვაწეობა უზრუნველყოფლი იქნას, ფირმაში საკმარისი ფული უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს ფირმის ფინანსური რესურსის კონტროლის ამოცანა. იგი ფინანსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

ფირმაში ყველა, ან თითქმის ყველა მენეჯერს, თავისი ძირითადი ფუნქციის ფარგლებში, ფინანსური პასუხისმგებლობა აკისრია. სულ მცირე, მათ მიერ გაწეული ხარჯი იმ წლის ბიუჯეტის შეზღუდვას უნდა დაეჭვემდებაროს. ბევრი კერძო პირი, საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე, ყურადღებით აკვირდება ფირმის ფინანსურ მდგომარეობას. ესენი არიან ფირმის აქციების მფლობელები, ფინანსური ორგანიზაციები, მომწოდებლები, კონკურენტები, სახელმწიფო მოხელეები და სხვა. ფირმის ფინანსების ინფორმაციული სისტემა (ნახ.5.7) უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ფირმის მენეჯერის, ასევე მისი გარემოცვის მოთხოვნას.



ნახ.5.7 საფინანსო ინფორმაციულ სისტემის სტრუქტურა.

სისტემაში ინფორმაცია შეიძლება პერიოდული და სპეციალური ამგარიშების, მათემატიკური მოდელების, ელექტრონული კომუნიკაციისა და საკონულტაციო სისტემების სახით იყოს წარმოდგნილი.

ისევე, როგორც სხვა ფუნქციური ქვესისტემები, ფინანსური ქვესისტემა შემავალ და გამომავალ ფუნქციურ ქვესისტემებს შეიცავს. შემავალი ქვესისტემებია: საბუღალტრო ქვესისტემა, გარე ინფორმციის ქვესისტემა და მესამე, ფინანსური მონაცემების დამუშავების სისტორის აუდიტის (შემოწმების) ქვესისტემა. სამი გამომავალი ქვესისტემა ორგანიზაციაში ფინანსური

საშუალებების ნაკადების მართვისათვის არის შექმნილი. პროგნოზირების ქვესისტემის დანიშნულებაა წინასწარ განსჭვრიტოს ფირმის მოქმედება მის გარემოცვასთან ერთად ხანგრძლივ პერსპექტივაში. ფინანსების მართვის ქვესისტემის მიზანია იმ ფინანსური ნაკადების დაბალანსება, რომლებიც ფირმასა და მის გარემოცვას შორის ცირკულირებენ. კონტროლის ქვესისტემის დანიშნულებაა მენეჯერის მიერ ყველა მისამართის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის გამოყენების ეფექტურობის გაკონტროლება.

ფინანსური ინფორმაციული სისტემის გამომავალი ქვესიტემები სხვადასხვა ტიპის პროგრამულ უზრუნველყოფას შეიცავენ. მათი საშუალებით მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის ისეთ ინფორმაციაში ტრანსფორმირება ხდება, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფს. ფინანსური ინფორმაციული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა მრავალმხრივია. იგი ძირითადად სისტემის ინფორმაციულ და მოდელურ უზრუნველყოფას ახდენს. ის შეიძლება გამოყენებითი პროგრამების სხვადასხვა სტანდარტულ პროგრამულ პაკეტს შეიცავდეს. ასეთი პაკეტებია: ხელფასის გამოთვლა, დებიტორული ანგარიშებისა და მარაგების მართვა და სხვა. ფინანსური მენეჯერები ფართოდ იყენებენ ელექტრონულ ცხრილებს, როგორც პროგრამულ საშუალებებს პერსონალის შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

### **საფინანსო ინფორმაციული სისტემის შემავალი ქვესისტემები**

**საბუღალტრო ინფორმაციული სისტემა.** საბუღალტრო აღრიცხვა აკონტროლებს ეკონომიკური შინაარსის მქონე ყველა მოვლენას, რომელსაც ორგანიზაციაში აქვს ადგილი. საბუღალტრო მონაცემების ანალიზი სხვადასხვა ფუნქციის მქონე მენეჯერს შეუძლია. ასე მაგალითად, მარკეტინგის მენეჯერი გაყიდვების მოცულობას აანალიზებს; წარმოების მენეჯერს აინტერესებს მონაცემები საამქროში პროდუქციის შექმნის შესახებ. ფინანსური მენეჯერი აკონტროლებს დებიტორული ანგარიშების მოძრაობას. რადგან საბუღალტრო მონაცემები კრთადერთი შემავალი კომპონენტებია, რომლებიც საერთო ორგანიზაციის ყველა ფუნქციური ინფორმაციული სისტემისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საბუღალტრო სისტემა არის ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის ფუნდამენტი.

**შიდა აუდიტის ქვესისტემა.** ჩვეულებრივ, ფინანსური გათვლების სისტორის შესამოწმებლად, გარეშე აუდიტორებს მიმართავენ. ისინი ასეთი საქმიანობის სპეციალისტები არიან. დიდი ფირმები კი ხშირად ქმნიან შიდა აუდიტის საკუთარ ქვედანაყოფებს. რადგან ასეთი ქვედანაყოფის ამოცანა არის ფირმის ფინანსური საქმიანობის დროული შეფასება, ამიტომ ეს ქვედანაყოფი საფინანსო ქვესისტემის შემადგენლობაში შედის.

შიდა აუდიტის ქვედანაყოფი, თავისი საქმიანობით, ფირმის სხვა დანაყოფებისგან დამოუკიდებელია. ის მხოლოდ ფირმის ხელმძღვანელობის წინაშეა პასუხისმგებელი. შიდა აუდიტის მუშაობაში ოთხი სახის საქმიანობას გამოყოფენ: ფინანსური აუდიტი, ოპერაციების აუდიტი, შემოწმების დონისძიებების ჩატარება და შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფა.

- ფინანსური აუდიტი ჩვეულებრივი სამუშაო ფინანსური გათვლების სისტორის შესამოწმებლად არის განკუთვნილი.
- ოპერაციების აუდიტი არ არის დაკავშირებული გაანგარიშებების სისტორის შემოწმებასთან. ამ დროს ხდება შესრულებული გათვლების, მონაცემთა დამუშავების პროცედურების და კონტროლის ოპერაციების ეფექტურობის განსაზღვრა.

- შემოწმების დონისძიებების გატარებამ საწყისი საფინანსო დოკუმენტების შემოწმება უნდა უზრუნველყოს. მაგალითად, ხელფასის უწყისში მკვდარი სულების არსებობის შემოწმება.
- კონტროლის შიდა ხისტების ხრულებით აუდიტის პროცესში და შემოწმების დონისძიების ჩატარებისას შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები კონტროლის არსებულ სისტემას შეისწავლიან. შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში, არსებული სისტემის სრულყოფისათვის, მათ საკუთარი წინადადებები შეაქვთ.

**გარე ინფორმაციის ქვესისტემა.** გარე ინფორმაციის ქვესისტემა ფირმის საქმიანობის დაფინანსებისათვის დამატებითი ფინანსური წყაროების მოსაძიებლად არის შექმნილი. ამ ინფორმაციის მირთად წყაროს წარმოადგენენ ფინანსური გარემოცვა (ბანკები, მომწოდებლები, კონკურენტები, მომხმარებლები) და ფირმის აქციების მფლობელები. სისტემა ინფორმაციას სახელმწიფო ორგანიზაციებიდანაც იღებს.

**ინფორმაცია აქციების მფლობელებისაგან** აქციის მფლობელებთან ურთიერთობისათვის ფირმაში, როგორს წესი, მცირე ქვედანაყოფი იქმნება. მისი ფუნქცია არის ფირმის სადივიდენდო პოლიტიკის და მის აქციებზე საბაზრო ფასების ცვლილების შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების გამოქვეყნება. ამასთან ერთად, აქციის მფლობელები ნებისმიერი შეკითხვით და წინადადებით ამ ქვედანაყიფის თანამშრომლებს მიმართავენ.

**ინფორმაცია ფინანსური გარემოცვისგან** ფირმის ფინანსური გარემო დიდ გავლენას ახდენს ფირმის ფინანსურ გადაწყვეტილებაზე. იმისთვის, რომ დროული რეაგირება მოხდეს საპროცენტო განაკვეთების, ინფლაციის მაჩვენებლების, ვალუტის კურსების ცვლილებაზე, ასევე ფირმის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობისათვის, იქმნება საჭირო ინფორმაციის შეგროვების მუდმივად მოქმედი სისტემა. სისტემა საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ყველა შესაძლო მეთოდით ახდენს.

### საფინანსო ინფორმაციული სისტემის გამომავალი ქვესისტემები

**პროგნოზირების ქვესისტემა.** პროგნოზირებას ბიზნესში დიდი ხანია იყენებენ. პროგნოზირების მეთოდების საკმაოდ დიდი რაოდენობა არსებობს. მათ საერთო აქვთ ის, რომ:

- ყოველი პროგნოზი ემყარება წარსულის მონაცემებს. ამიტომ პროგნოზირებისათვის საბუღალტრო მონაცემები ძალიან მნიშვნელოვანია.
- პროგნოზირების ამოცანა განეკუთვნება ცუდად სტრუქტურირებად ამოცანებს, ამიტომ მათ გადასაჭრელად აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემის დახმარება.
- პროგნოზირების ყველა მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე.

არსებობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზი. მოკლევადიანი პროგნოზი ორგანიზაციის საქმიანობის ფუნქციურ სფეროებში გამოიყენება. მაგალითად, მარკეტინგის სფეროში გაყიდვების მოცულობის პროგნოზი 1–3 წლისათვის კეთდება.

გრძელვადიანი პროგნოზი (ხუთი წელი ან მეტი) ხშირად სტრატეგიული დაგეგმვისათვის გამოიყენება, როდესაც უნდა განისაზღვროს ფირმის გლობალური განვითარების სტრატეგია.

პროგნოზირების მეთოდები არის რაოდენობრივი და არარაოდენობრივი.

არარაოდენობრივი მეთოდები. პროგნოზირების არარაოდენობრივი მეთოდები სუბიექტურ შეფასებებს ემყარებიან. ასეთი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია, როდესაც მენეჯერს გარკვეული გამოცდილება აქვს დაგროვილი და მისთვის კარგად ნაცნობი პროცესის პროგნოზს აკეთერბს. ამჟამად ცნობილია რამდენიმე ფორმალური არარაოდენობითი მეთოდი. მათ შორის არის: კონსენსუნსის მეთოდი, დელფის მეთოდი და კომპიუტერული კონფერენციის მეთოდი. ეს მეთოდები ადრე განვიხილეთ.

რაოდენობრივი მეთოდები. პროგნოზირების მრავალი რაოდენობრივი მეთოდი არსებობს. მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება რეგრესიული ანალიზის მეთოდი.

**რეგრესიული ანალიზი** რაიმე დამოუკიდებელ ცვლადსა და იმ დამოკიდებულ ცვლადს შორის დამოკიდებულების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, რომლის მნიშვნელობების დადგენაც გვაინტერესებს. ასე მაგალითად, თუ ფირმის გაყიდვების მოცულობას დამოკიდებულ ცვლადად მივიჩნევთ, ხოლო ფირმაში მომუშავე ვაჭრობის აგენტების რაოდენობას კი დამოუკიდებელ ცვლადად, მათ შორის დამოკიდებულების დასადგენად შეიძლება ავაგოთ რეგრესიის წრფე.

**რეგრესიული ანალიზის კომპიუტერზე** რეალიზებისათვის სპეციალური პროგრამები არსებობს. ეს პროგრამები სტატისტიკური ანალიზის პროგრამების პაკეტის შემადგენლობაში შედიან.

**ფინანსების მართვის ქვესისტემა.** იმ ფინანსური საშუალებების ნაკადის მართვა, რომლებიც ფირმიდან მის გარემოცვაში და გარემოცვიდან ფირმაში მიედინებიან, ორ მიზანს ემსახურება:

1- დარწმუნდნენ, რომ შემოსავლების ნაკადი ადემატება ხარჯის ნაკადს.

2- დარწმუნდნენ, რომ ფირმის მდგომარეობა სტაბილურია.

შესაძლებელია, რომ ფირმამ საკმაოდ შთამბეჭდავი მოგება აჩვენოს წლის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში წამგებიანი თვეებიც იყო. ყოველი თვის ფინანსური სახსრების ნაკადების ანალიზისათვის არსებობს სპეციალური მეთოდები, რომელთა შედეგი გრაფიკის ან ცხრილის საშუალებით მოიცემა.

**კონტროლის ქვესისტემა.** მენეჯერებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მიმდინარე წლის განმავლობაში ის ფინანსური ჩარჩო ზღუდავს, რომელიც ფირმის ბიუჯეტით არის დადგენილი. ფირმის ბიუჯეტი კონტროლის ქვესისტემის საფუძველი არის. ის კონტროლს უწევს ხარჯს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის შედგენის პროცესი საბუღალტრო მონაცემებს ეყრდნობა, იგი ცუდად სტრუქტურირებულ გადაწყვეტილებებს შეიცავს. არსებობს ბიუჯეტის შედგენის სამი მიდგომა: ზევიდან ქვევით; ქვევიდან ზევით და შერეული.


- ბიუჯეტის შედგენა ზევიდან ქვევით. ამ დროს ბიუჯეტის შედგენისას უმაღლესი დონის ხელმძღვანელობა ბიუჯეტის ძირითად შემადგენელ ნაწილებს განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ ხელმძღვანელ რგოლს კარგად აქვს გაცნობიერებული ფირმის გრძელვადიანი მიზნები და ის როლი, რომელსაც თითოეული ქვედანაყოფი ამ მიზნის განსახორციელებაში თამაშობს. თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ უფრო დაბალ დონეზე მომუშავე მენეჯერების თვალსაზრისით ასეთი ბიუჯეტი არარეალისტური და არასწორი იყოს.

- ბიუჯეტის შედგენა ქვევიდან ზევით. ასეთ შემთხვევაში პროცესი ორგანიზაციის მართვის დაბალი დონიდან იწყება. აქ საწყისი დებულება ის არის, რომ რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციას ისინი ფლობენ, ვინც უშუალოდ ამ რესურსებს ამუშავებენ. ამ შემთხვევაში კი დაბალი დონის მენეჯერებთან პრეტენზია მაღალ ხელმძღვანელობას უჩნდება. მენეჯერებს

გაზრდილ მოთხოვნებში ადანაშაულებენ. ხშირად ეს ასეც არის. რადგან მენეჯერებმა იციან, რომ მათი მოთხოვნები დაუნდობლად იქნება შემცირებული.

- ბიუჯეტის შექმნისადმი შერეული მიღვომა. ეს მიღვომა ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც წინა ორი მიღვომის ნაკლი სცნეს. ამ შემთხვევაში ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული ქვედანაყოფი და ყველა დონე. ცენტრალური როლი კი საშუალო დონის მენეჯერებს ენიჭება. მათი ინტერესები უმაღლესი ხელმძღვანელობის გრძელვადიან ინტერესებსა და დაბალი დონოს მენეჯერების მოთხოვნებს შორის არის.

ნახ.5.8 ბიუჯეტის შედგენის შერეული მიღვომის ძირითად ნაბიჯებს გვიჩვენებს.



ნახ. 5.8 ბიუჯეტის შექმნის პროცესი.

**ნაბიჯი 1.** ბიუჯეტის შედგენის ამოსავალი წერტილი არის მარკეტინგის განყოფილებაში შედგენილი გაყიდვების პროგნოზი. პროგნოზირების მოდელში, რომელიც მარკეტინგის დაბალ დონეზე მომუშავე მენეჯერების მონაცემებს ეყრდნობა, მარკეტინგის მაღალი დონის ხელმძღვანელობას შესწორება შეაქვს.

**ნაბიჯი 2** უმაღლესი ხელმძღვანელობა აანალიზებს პროგნოზირების შედეგებს, შეაქვს შესწორებები და დამატებები.

**ნაბიჯი 3.** მოწონებული ინფორმაცია რესურსების საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მოდელში შედის. ეს მოდელი გაყიდვების პროგნოზირებულ

მოცულობებს ყოველი ფუნქციური ქვედანაყოფისათვის რესურსზე მოთხოვნებად გარდაქმნის.

**ნაბიჯი 4.** ფირმის ყველა ქვედანაყოფის მენეჯერები წინა ნაბიჯის შედეგებს აფასებენ. ისინი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ცდილობენ ისე გათვალისწინებული მონაცემები, რომ ერთის მხრივ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, ხოლო მეორეს მხრივ, ბიუჯეტის საზღვრებში ჩაეტიონ.

**ნაბიჯი 5.** უმაღლესი ხელმძღვანელობა სხვადასხვა ფუნქციური სფეროს დაბალანსებულ ბიუჯეტს აჯამებს და მომავალი წლისათვის ბიუჯეტის ჯამურ, დასკვნით ვარიანტს შეიმუშავებს.

ფირმის ქვედანაყოფის ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის ხარჯის ძირითადი პუნქტების (ხელფასი, სატელეფონო საუბრები, არენდის გადასახადი, მასალები და სხვა) და თვეების მიხედვით ჩამონათვალს წარმოადგენს. ყოველი მენეჯერი, რომელიც პასუხს აგებს ბიუჯეტის შესრულებაზე, ყოველი თვის ბოლოს ანგარიშს წარადგენს. ანგარიშში მოცემულია ფაქტიური ხარჯის შედარება ბიუჯეტით დადგენილ შეზღუდვებთან. ბიუჯეტის შესრულების კონტროლისათვის ფინანსების ქვესისტემა მთელ რიგ სპეციალურ ფინანსურ მაჩვენებლებს განსაზღვრავს. ასეთი მაჩვენებლები შეიძლება სპეციალურად დაწესებულებისათვის შეიქმნას, ან სტენდარტული იყოს. სტანდარტულ მაჩვენებლებს შორის პოპულარულია მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio). ეს არის ფირმის საბრუნავი საშუალებების შეფარდება მის მიმდინარე მოკლევადიან ვალდებულებებთან. ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს, თუ რამდენად შეუძლია ფირმას დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალები საბრუნავი საშუალებების რეალიზების ხარჯზე. ფირმის ლიკვიდობის საკმარისი უზრუნველყოფა მაშინ ხდება, როდესაც მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი ერთზე მეტია.

მეორე, სტანდარტული ფინანსური მაჩვენებელი, არის მარაგის ბრუნვის კიეფიციენტი (Inventory Turnover ratio). ეს მაჩვენებელი არის წლიური გაყიდვების შეფარდება მასალების მარაგებისა და მზა პროდუქციის საშუალო მოცულობასთან. კოეფიციენტი აჩვენებს, თუ რამდენჯერ ხდება წლის განმავლობაში მარაგების რეალიზება და მათი უკან დაბრუნება. რაც მეტია ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა, მით უკავეთესია მდგომარეობა. ამ მაჩვენებლით განისაზღვრება მენეჯერის უნარი უზრუნველყოს გაყიდვების დიდი მოცულობა ისე, რომ მარაგებისათვის დიდი დანახარჯი არ იყოს საჭირო.

ზემოთ მოყვანილი და მათი მსგავსი მაჩვენებლები ფართოდ გამოიყენება კონტროლის ქვესისტემის ფარგლებში კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგისათვის.

## 5.5 პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემა

პერსონალის მართვის სამსახური მოსამსახურებით უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროს. პერსონალის მართვის ქვესისტემას თოხი ძირითად ფუნქცია აქვს :


- **მოძებნა და დაქირავება.** შეიცავს განცხადებების მომზადებას, მათ განთავსებას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში და დასაქმების სააგენტოებში.
- **სწავლა და გარჯიში.** მუშაობის პროცესში პერსონალს საშუალება აქვს უფასო განათლება მიიღოს კვალიფიციაციის ამაღლებასთან დაკავშირებით ან შესასრულებელი ფუნქციების ცვლილების დროს.
- **მონაცენთა ბაზის შექმნა და შენახვა.** დაწესებულებაში იქმნება მომუშავეებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზა. ამ ბაზის მონაცემების

საფუძველზე, დაინტერესებული ქვედანაყოფებისათვის, იქმნება ყველანაირი ანგარიში.

- **სამსახურიდან დათხოვა და არაფულადი კომპენსაციების გაცემა.** მუშაობის მანძილზე თანამშრომლები ისეთ არაფულად სტიმულებს იღებენ, როგორიცაა ჰოსპიტალიზების ანაზღაურება, სამედიცინო დაზღვევა, წამლებზე დანახარჯის კომპენსაციას და სხვა.

პერსონალის მართვის ინფორმაციული ქვესისტემა განსხვავდება სხვა ქეთისტემებისაგან ანგარიშებისა და ინფორმაციის სიჭარბით.

პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა იგივე პრინციპებზეა აგებული, როგორზეც სხვა ქვესისტემები. ისიც შეიცავს შემავალ ქეთისტემებს, გამომავალ ქეთისტემებს და მონაცემთა ბაზას (ნახ.5.9).



ნახ. 5.9. პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა

შემავალ ქეთისტემებს შორის კვლავ ვხედავთ საბუდალტრო ქეთისტემას, კვლევის ქეთისტემას და გარე მონაცემების ქეთისტემას. გამომავალი ქეთისტემები ფირმაში პერსონალის მოძრაობის პროცესს ასახავენ.

### პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემის შემავალი ქეთისტემები

**საბუდალტრო ინფორმაციული სისტემა.** პერსონალის მართვის ქეთისტემას ისეთ მონაცემებთან აქვს საქმე, რომლებიც საბუდალრტო და საკადრო მდგრენელებს შეიცავენ.

მონაცემთა საკადრო მდგრენელი შედარებით მუდმივია და საფუძვლად არ უდევს ეკონომიკური ინფორმაცია. ამ მონაცემებში ისეთი ნიშანთვისებები შედის, როგორიცაა გვარი, სახელი, სქესი, დაბადების თარიღი, განათლება, კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობა. მონაცემთა ეს ელემენტები ადამიანის სამსახურში

მიღებისას იქმნება და კომპანიის არქივში მისი მუშაობის პერიოდში და პენსიაზე გასვლის შემდეგაც ინახება.

საბუღალტრო მონაცემები ეკონომიკური ბუნების ელემენტებს შეიცავენ. ისინი ცვალებადობის მეტი დინამიკით ხასიათდებიან. მათ შემადგენლობაში შედის თვიური ხელფასი, პრემიები, გადასახადები, საათობრივი ანაზღაურების ტარიფები.

**კვლევების ქვესისტემა.** ხშირად პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემის წინაშე ისეთი ამოცანები დგება, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია მონაცემთა ცენტრალური ბაზის მეშვეობით. ასეთი ამოცანების გადასაჭრელად კვლევების ქვესისტემის ფარგლებში კვლევის სპეციალური პროექტები იქმნება. კადრების კვლევების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებია:

- კანდიდატების მოძიება. ეს პროექტი ფირმის თანამშრომლებს შორის სასურველი კანდიდატის მოსახად და გამონთავისუფლებულ თანამდებობაზე დასახიშნად ხორციელდება.
- მოთხოვნების ფორმირება. ამ პროექტის მიზანია ყოველი შესასრულებელი სამუშაოსათვის ცოდნისა და ჩვევების მიმართ ის მოთხოვნები განისაზღვროს, რომელიც თანამშრომელმა უნდა დააკმაყოფილოს.
- საჩივრების ანალიზი. ეს ანალიზი ფირმის თანამშრომლების მიერ შეტანილი საჩივრების მიზეზების დასადგენად ტარდება.

**გარე მონაცემთა ქვესისტემა** იმ მონაცემების შესაგროვებლად არის განკუთვნილი, რომელიც ფირმის გარეთ არსებულ ორგანიზაციებს გააჩნიათ და პერსონალის მართვასთან არის დაკავშირებული. ასეთი ორგანიზაციებია: სახელმწიფო ორგანოზაციები, პროფკავშირები, საფინანსო ინსტიტუტები, კონკურენტები და სხვა.

- სახელმწიფო დაწესებულებებიდან შემოსული მონაცემები კომპანიას შრომითი კანონმდებლობის დაცვაში ეხმარებიან.
- პროფკავშირებიდან შემოსული მონაცემები დახმარებას უწევენ ფირმას კილექტიური ხელშეკრულების დადებისას.
- მომწოდებლებისგან შემოსულ მონაცემებში ის მომწოდებლები იგულისხმება, რომელთა მონაცემების საფუძველზე ფირმას საჭირო სამუშაო ძალის მოპოვება შეუძლია.
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან მოწოდებული ინფორმაცია ახასიათებს ცხოვრების პირობებს რეგიონში (საცხოვრებლის ფასი, რამდენად ხელმისაწვდომია განათლება, სამედიცინო მომსახურება და გართობა). ეს მონაცემები ფირმას ეხმარება მუშახელის მოზიდვაში როგორც სხვა რეგიონებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან.
- საფინანსო ინსტიტუტებიდან შემოსული მონაცემები არის საბანკო და არასაბანკო (სადაზღვევი კომპანიები, საპენსიო ფონდები და სხვა). ეს მონაცემები რეგიონის მასშტაბით პოტენციური მუშაკების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დონეს განსაზღვრავენ.
- კონკურენტებისაგან შემოსული მონაცემები ხშირად საშუალებას აძლევს ფირმას სხვა ფირმაში მომუშავე კვალიფიციური პერსონალი მოზიდოს. ყველა ამ მონაცემის მოპოვება შეიძლება მოხდეს როგორც ფორმალური (მაგ. კიდევთექსტის ან განცხადების ყიდვა), ასევე არაფორმალური, მაგრამ კანონიერი გზით.

**მონაცემთა ბაზა.** დიდ ფირმებში პერსონალის მართვის ინფორმაციულ სისტემაში მონაცემთა შენახვა, როგორც წესი, კომპიუტერის მეშვეობით ხორციელდება. მირთადი მონაცემთა ბაზები აგებულია თანამშრომელთა სიის საფუძველზე და მახასიათებლების დიდ რაოდენობას შეიცავს (ცხრ.5.4).

გვარი, სახელი; განათლება; სქესი; დამთავრებული სასწავლებელი; ანაზღაურებული შვებულება(დღეები); ქვედანაყოფი; ტელეფონი (სახლის); ტელეფონი (სამსახურის); უფროსის ტელეფონი; სამეცნიერო ხარისხი; სამუშაოზე მიღების თარიღი;	დაკავებული თანამდებობა; მისამართი (სახლის); მისამართი (სამსახურის); მოქალაქეობა; მიმდინარე თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი; დაბადების თარიღი; ხელფასი; კმაყოფაზე მყოფი შვილების რაოდენობა; მანქანის ტარების მოწმობის ნომერი.
--	--

#### ცხრ.5.4 მონცემები თანამშრომლების მონაცემთა ბაზისათვის

### პერსონალის მართვის ინფორმაციული სისტემის გამომავალი ქვესისტემები

დაინტერესებული პირები ონფორმაციას კადრების მართვის ქვესისტემიდან სპეციალური ანგარიშებით ან შეკითხვაზე პასუხის სახით იღებენ. ზოგ შემთხვევაში საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად მათემატიკური მოდელირება და ექსპერტული სისტემების დახმარება გამოიყენება. პერსონალის მართვის საინფორმაციო სისტემის შემაღებლობაში შედის 6 გამომავალი ქვესისტემა.

**სამუშაო ძალის დაგეგმვის ქვესისტემა.** ეს ქვესისტემა მომავალი კალენდარული პერიოდისთვის აღგენს ფირმის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე. ყველაზე პოპულარული არის: 1) შრომის მოთხოვნის განსაზღვრა გაყიდვების პროგნოზის მიხედვით; საჭირო ხარჯის გათვლა ხელფასის მიხედვით. 2) მომუშავეების მიმართ მოთხოვნების ჩამონათვალის შექმნა. 3) შრომითი რესურსის მოთხოვნის მოდელირება ალგერნატიული შესაბლებლობების გათვალისწინებით (სამუშაოს ავტომატიზების ხარისხის ამაღლება, ზენორმატიული დროის რესურსის გამოყენება).

**დაქირავების ქვესისტემას** ორი გამოყენება აქვს. 1) გარეშე კანდიდატების მოძიება და გასაუბრება. 2) კანდიდატების მოძიება ფირმის შიგნით. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მმართველთა შორის პირველი უფრო პოპულარულია.

**სამუშაო ძალის კონტროლის ქვესისტემას** შემდეგი გამოყენება აქვს: 1) კვალიფიკაციის ამაღლება, 2) დაკავებული თანამდებობის შესაბამისობის შემოწმება, 3) კვალიფიკაციის დონის სამუშაო ადგილთან შესაბამისობის შემოწმება, 4) მომუშავეთა დისციპლინის კონტროლი.

**ანაზღაურების ქვესისტემა** შემდეგი ამოცანებისგან შედგება:

1) ხელფასის დინამიკის განსაზღვრა; 2) სტაჟის მიხედვით ანაზღაურების განსაზღვრა; 3) ხელმძღვანელებისათვის დანამატის განსაზღვრა; 4) სხვადასხვა სახის დაზღვევის განსაზღვრა; 5) დაწესებულების ტრანსპორტის გამოყენება და ა.შ.

**კომპენსაციების ქვესისტემა** განიხილავს თანამშრომლის წილს კომპანიის წარმატებაში და აღგენს მისი საპენსიო ფონდის ფორმირების, აგრეთვე სხვადასხვა დაზღვევისა და კომპენსაციების გამოყენების წესებს.

**გარე ანგარიშგების ქვესისტემა** სახელმწიფო და პროფესიულული ორგანიზაციებისათვის ანგარიშების მომზადებას ემსახურება. ეს ანგარიში თრგანიზაციის მიერ შრომითი კანონმდებლობისა და შრომითი ხელშეკრულებების შესრულების საკითხებს მოიცავს.

**თავი 6.**  
**მოდელირება ინფორმაციულ სისტემები**

**6.1 კომპიუტერული მოდელირების საფუძვლები**

კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებში გადაწყვეტილების მიღების სამი სახის მხარდაჭერა არსებობს:

- ინფორმაციული;
- მოდელური;
- ექსპერტული.

ქვემოთ განხილული რაოდენობრივი მოდელები იყენებენ პრობლემის მათემატიკურ ინტერეტაციას და ალგორითმების საშუალებით ხელს უწყობენ იმ ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სწორი გადაწყვეტილების მიღებისას არის სასარგებლო.

მოდელი გადასაჭრელი პრობლემის გამარტივებულ სახეს წარმოადგენს. ასეთი გამარტივების მისაღწევად პრობლემის მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოსაზრებები და ფაქტორები განიხილება. ამასთან ხდება მეორე ხარისხოვანი ფაქტორების უგულებელყოფა. მოდელის კარგი მაგალითია გზების რუქა. ის არ განიხილავს ლანდშაფტის ისეთ დეტალებს, როგორის არის ხეები, ნაგებობები, შენობები და ა.შ. იმისათვის, რომ გზების შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია მოგვცეს. გზების რუქა სწორედ იმიტომ წარმოადგენს ფასეულობას ჩვენთვის, რომ გამარტივებულია და არ არის წარმოდგენილი ზედმეტი დეტალები. ის რომ ყველა დეტალს შეიცავდეს, მომხმარებელს რუქის გამოსაყენებლად ბევრად მეტი დრო დასჭირდებოდა, რადგან თვითონ უნდა განეცალკევებინა მისთვის საჭირო ინფორმაცია ზედმეტი ინფორმაციისგან.

ამგვარად, მოდელის აგებისას, პირველი ნაბიჯი არის გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ იმ ფაქტორების ან ცვლადების დადგენა, რომლებსაც იგი ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ეს ფაქტორები შემდეგ ხუთ კატეგორიად იყოფა:

1. მართვადი ცვლადები;
2. გარეშე ცვლადები;
3. შერჩეული პოლიტიკა და არსებული შეზღუდვები;
4. შერჩეული კრიტერიუმები;
5. შუალედური ცვლადები.

**მართვადი ცვლადები.** მართვადი ეწოდებათ იმ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლადებს, რომელთა საშუალებითაც ხდება გადაწყვეტილების ალტერნატივების ფორმირება. ასეთი ცვლადების გამოყენებისას მათ ცვლილებას გადაწყვეტილების მიმღები პირი აკონტროლებს. ამგვარად, მართვადი ცვლადების მნიშვნელობების ცვლილება წარმოქმნის გადაწყვეტილების ახალ ალტერნატივას. მაგალითად, მენეჯერისათვის, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ბაზარზე ახალი პროდუქტის გატანა, მართვადი ცვლადები შეიძლება იყოს ახალი პროდუქტის ფასი და ინვესტირება რეკლამაში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლადები, რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილების ალტერნატივების ფორმირებაში. ასეთებია, მაგალითად, საქონლის ფერი და გაფორმება, მისი შეფუთვა და სხვა. იმისათვის, რომ მოდელი გამარტივდეს და მისი ანალიზი გაიოლდეს, შეიძლება ასეთი მეორეხარისხოვანი ცვლადების უგულებელყოფა.

**გარეშე ცვლადები.** გარეშე, ანუ ეგზოგენური ეწოდებათ ცვლადებს, რომლებზეც ასევეა დამოკიდებული განსახილვები პრობლემის გადაწყვეტა. მათი შერჩევა არ შედის გადაწყვეტილების მიმღები პირის კომპეტენციაში.


ჩვეულებრივ, ეკონომიკური კონიუნქტურა, კონკურენტების მოქმედება, საჭირო მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების ფასი, ასევე სხვა ანალოგიური ფაქტორები, მოდელებში გარეშე ფაქტორებად ითვლება. ბაზარზე ახალი პროდუქტის გატანის ამოცანისათვის გარეშე ფაქტორები შეიძლება იყოს მომხმარებლის რეაქცია საქონელზე, კონკურენტებისა და მომწოდებლების ქცევა.

**შერჩეული პოლიტიკა და არსებული შეზღუდვები.** გადაწყვეტილების მიმდები პირი ხშირად იძულებულია სხვადასხვა არსებული შეზღუდვის პირობებში იმოქმედოს. ეს შეზღუდვები, როგორც წესი, დამოკიდებულია კომპანიის მიერ არჩეულ პოლიტიკაზე, არსებულ კანონებზე, წარმოების ფიზიკურ შესაძლებლობებზე. მაგალითად, გაყიდვების მოცულობის გაზრდის შესაძლებლობა შეიძლება შეიზღუდოს წარმოების საწარმოო სიმძლავრით. ასეთ შემთხვევაში კომპანიის პოლიტიკამ შეიძლება მენეჯერს განუსაზღვროს რომელი მომწოდებლის მასალა გამოიყენოს (დაბალი ფასის ან მაღალი ხარისხის გამო).

ზოგჯერ კომპანიის პოლიტიკა ან შეზღუდვები შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, ინვესტიციის შედეგად საწარმოო სიმძლავრე შეიძლება გაიზარდოს. საწარმოო სიმძლავრე, რომელიც აქამდე განიხილებოდა, როგორც უცვლელი შეზღუდვა, ასეთ შემთხვევაში მართვადი ცვლადის ფუნქციას იძენს. მთავარია გადაწყვეტილების მიმდებმა პირმა გააცნობიეროს, რომ შესაძლებელია შეზღუდვის ცვლილება, თუკი ეს ნამდვილად აუცილებელია.

**შერჩეული კრიტერიუმები.** გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯერს კონკრეტული მიზანი აქვს, რომლის მიღწევაც სურს. არჩეულ მიზანს რაოდენობრივი კრიტერიუმი ასახავს. მაგალითად, ბაზარზე ახალი საქონელის გატანისას ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს მოგება ახალი პროდუქტის რეალიზებიდან, ან ბაზრის წილი, რომელსაც დაიკავებს ახალი პროდუქტი, ან შემოსავლის მოცულობა, ჩადებული ინვესტიციის ერთ ფულად ერთეულზე (ლარზე, ლოდარზე და სხვა).

**შუალედური ცვლადები.** იმისათვის, რომ მოდელი იყოს საკმაოდ სრული და ანალიზისათვის მოსახერხებული, ხშირად შემოაქვთ დამატებითი, შუალედური ცვლადები. შუალედური ცვლადი უმთავრესად დაკავშირებულია პროდუქციის წარმოების თვითლირებულების, ან მისი რეალიზებით მიღებული შემოსავლის გამოთვლასთან. ასეთი ცვლადები გამოიყენება გარეშე ცვლადების მართვად ცვლადებთან დასაკავშირებლად. ჩვენს მიერ განხილულ ამოცანაში ახალი პროდუქტის შესახებ შუალედური ცვლადი შესაძლოა იყოს მისი გაყიდვის მოცულობა, ან მის წარმოებასა და გასაღებაზე დანახარჯების შემადგენელი ნაწილები.



ნახ. 6.1 მოდელის შესავალი და გამოსავალი

ნახ.6.1-ზე მოცემულია თუ როგორ არიან დაკავშირებული მოდელში სხვადასხვა ტიპის ცვლადები. მოდელი განსაზღვრავს ამ დამოკიდებულების სტრუქტურას. ცვლადებს შორის სტრუქტურის განსაზღვრა არის მოდელის აგებისას შემდეგი, მეორე ნაბიჯი. პირველი ნაბიჯი, როგორც ავღნიშნეთ, არის ამოცანაში ძირითადი, ანუ მნიშვნელოვანი ცვლადების განსაზღვრა.

ცვლადებს შორის დამოკიდებულება ზოგჯერ მარტივი გამოთვლებით განისაზღვრება. მაგალითად:

### **გაყიდვების მოცულობა – ხარჯი = მოგება**

სხვა დამოკიდებულებები ფიზიკურ პარამეტრებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ნაკეთობის რაოდენობა, რომელსაც მასალის ერთი სტანდარტული ერთეული დასჭირდება. არსებობს ცვლადებს შორის ისეთი დამოკიდებულებები, რომლებიც ადამიანის ფაქტორით განისაზღვრებიან. მაგალითად, მყიდველის რეაქცია პროდუქტის ფასის ცვლილებაზე. ამრიგად, მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც “შავი ყუთი”, რომელშიც ხდება მართვადი ცვლადების გარდაქმნა შერჩეული კრიტერიუმის შესაბამის მნიშვნელობებად, არსებული შეზღუდვებისა და გარე ცვლადების მნიშვნელობების გათვალისწინებით.

მოდელი შეიძლება დახასიათდეს:

- სირთულით;
- განსახილველი ცვლადების რაოდენობის მიხედვით;
- განსახილველი ცვლადების განსაზღვრულობის ხარისხით დეტერმინირებულიდან – შემთხვევითამდე;
- დროის ფაქტორის გათვალისწინებით სტატიკურიდან – დინამიურამდე.

მოდელის შექმნისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს გამოსაყენებელი ინფორმაციის დეტალიზების დონე. ხშირად არსებული პრობლემის გადაჭრა მოსახერხებელია მოდელების იერარქიის (სისტემის) გამოყენებით. გადაჭრა იწყება ნაკლებად დეტალური მოდელის განხილვით და თანდათანობით ხდება უფრო მეტად დეტალიზება. ხშირ შემთხვევაში მოდელის დეტალიზების დონე მართვის იმ დონით განისაზღვრება, რომლისთვისაც არის განკუთვნილი მოდელში მოცემული ამოცანა. მაგალითად, მეტისმეტად დეტალური მოდელის განხილვა სტრატეგიული დაგეგმვის დონეზე იწვევს ზედმეტი დროისა და რესურსის ხარჯვას. ისევე, როგორც მეტისმეტად აგრეგირებული (უხეში) მოდელის განხილვამ ოპერატიული მართვის დონეზე შეიძლება მნიშვნელოვანი პარამეტრების უგულებელყოფა გამოიწვიოს.

## **6.2 მოდელის აგება**

მოდელის აგება იტერაციული პროცესია. როგორც წესი, იგება მარტივი მოდელი. გამოსაკვლევი პროცესის თანდათანობითი შევისწავლით შემდეგ ხდება მოდელის დაზუსტება და დეტალიზება. მოდელის ასეთი გზით დახვეწა რამდენიმე ეტაპად შეიძლება მოხდეს.

- განვიხილოთ მოდელის აგების ნაბიჯები:
1. გადასაჭრელი პრობლემის აღწერა;
  2. გარე ფაქტორების დახასიათება;
  3. ცვლადების შემოტანა;
  4. მოდელის აგება (ცვლადებს შორის კავშირების დამყარება);
  5. აგებული მოდელის ამოხსნა;
  6. მიღებული შედეგის გამოკვლევა.

მოდელის აგებისას, ხშირ შემთხვევაში, პრობლემის ფორმულირება შეიძლება ყველაზე რთული ეტაპი აღმოჩნდეს. მოდელის გააზრება ისე უნდა მოხდეს, რომ

ნათელი გახდეს გადაწყვეტის რა ალტერნატივების არსებობაა შესაძლებელი. ბოლოს და ბოლოს, მოდელი უნდა გამოდგეს ამოხსნის შესაძლო ალტერნატივების შესაფასებლად. სწორედ ამაში მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღების კომპიუტერული მხარდაჭერის არსი.

პრობლემის ფორმულირების შემდეგ ხდება აარამეტრების ორ ჯგუფად დაყოფა. ერთ ჯგუფში ის პარამეტრები შედიან, რომლებიც გამოხატავენ პრობლემის შიდა ფაქტორებს და საჭიროა მათი მათემატიკური მოდელირება. ხოლო მეორე ჯგუფში კი გარე ფაქტორებთან დაკავშირებული პარამეტრებია გაერთიანებული.

გახდენო რა შიდა ფაქტორებზე გავლენას, გგულისხმობთ, რომ ვერ გაკონტროლებთ გარე პარამეტრებს. ფირმისათვის ტიპური გარე ფაქტორების მაგალითს წარმოადგენენ: ბანკის საპროცენტო განაკვეთი; მასალებისა და ნედლეულის ფასი; კონკურენტი საწარმოების ფასები; მომხმარებელთა გემოვნება. ხშირ შემთხვევაში მოდელის გამოყენების მიზანი არის ფირმის შიდა პარამეტრებისათვის იმ მნიშვნელობების განსაზღვრა, რომელსაც გარე ფაქტორების ცვლილება გამოიწვევს. ასეთ ანალიზს მგრძნობიარობის ანალიზს უწოდებენ.

ზოგიერთ მოდელში საჭირო ხდება გამოსაკვლევი სისტემის შიდა და გარე პარამეტრების ურთიერთქმედება. მაგალითად, თუ შეიცვლება გამოშვებული პროდუქციის ფასი, შესაძლოა ეს კონკურენტის ინტერესებს შეეხოს და იგი აიძულოს საპასუხოდ იმოქმედოს. ამიტომ მოდელი საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს იმისათვის, რომ მისი საშუალებით მოხდეს კონკურენტების მოქმედებაზე საჭირო რეაგირება.


მოდელი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ პარამეტრებს, რომლებიც აუცილებელია საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, თუ მიგვაჩნია, რომ ფირმის ფუნქციონირების ეკონომიკურ შედეგზე ზეგავლენას ახდენენ რიგი პარამეტრებისა, მოდელირებისათვის უნდა შეირჩეს ის პარამეტრები, რომლის გაკონტროლებაც არის შესაძლებელი. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო მეტი ცვლადია შეტანილი მოდელში, მით უფრო მეტი მონაცემის მოპოვებაა საჭირო და მით უფრო რთულია მოდელის აგება.

მოდელისათვის ცვლადების შერჩევა, აგრეთვე დამოკიდებულია მართვის იმ დონეზე, რომელზეც მისი გამოყენება ხდება. დაბალ დონეზე (მაგალითად ოპერატიული კონტროლის დონეზე) არის მხოლოდ რამდენიმე პარამეტრი, რომელიც ამ დონეზე კონტროლს ექვემდებარება. მაგალითად, წარმოების მენეჯერი საწარმოო გეგმის ცვლილებისას შესაძლოა შეეცადოს შეამციროს დანახარჯი პროდუქციის წარმოებაზე. თუმცა პროდუქტის კონსტრუქცია და ფასები, აგრეთვე მისი ტრანსპორტირების ხარჯი, ამ დონის მენეჯერის კონტროლს არ ექვემდებარება. გადაწყვეტილების მიღებისას მართვის უფრო მაღალ დონეზე მართვადი ცვლადების რაოდენობა იზრდება.

მართვის მაღალ დონეზე აუცილებელი ხდება რთული კომპრომისების მიღწევა დანახარჯს, ხარისხს, რისკს, ვადებს და სხვა ფაქტორებს შორის. ახალი ცვლადების გაჩენა იწვევს მოდელის გართულებას. ამიტომ საჭირო სდება ამ ცვლადებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლადების შერჩევა. “რეალური სამყარო”-ს, ანუ განსახილველი ამოცანისა და მისი გარემოს შესწავლისას, განისაზღვრება მოდელირების მიზნები მისაღები გადაწყვეტილების ტერმინებში. ამის შემდეგ იწყება საწყისი მოდელის აგება.

საწყისი მოდელი შეიძლება ან დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს, ან არა. ამის შესამოწმებლად უნდა შევეცადოთ მოდელი გამოვიყენოთ იმ სიტუაციების წარმოსადგენად, რომლებიც შესაძლოა არსებული საწყისი მონაცემების პირობებში დადგეს. შემდეგი მომენტი საკმაოდ საპასუხისმგებლოა. უნდა დადგინდეს, ასახავს თუ არა მოდელი რეალურ სიტუაციას და შეესაბამება თუ არა ის მოდელირების მიზანს. ხშირად, შემოტანილი დაშვებებისა და

გამარტივების გამო, საწყისი მოდელი რეალობას არასაკმარისად შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში მოდელში შეაქვთ ცვლილებები. მოდელის აგების, შემოწმების და გარდაქმნის თანმიმდევრობა შეადგენს მისი შექმნის იტერაციულ პროცესს. მოდელის აგების პროცესის რეალიზების თანმიმდევრობა მოცემულია ნახ.6.2 –ზე.



ნახ. 6.2. მოდელის შექმნის პროცესი

მოდელის შექმნისას შემდეგი სამი დებულება უნდა გავითვალისწინოთ:

1. მოდელის განზომილების შემცირება (აგრეგირება), ანუ განსახილველად შემოტანილი ცვლადების შემცირება. ამისათვის უნდა დადგინდეს, თუ თითოეული მათგანი რა გავლენას ახდენს გადაწყვეტილებაზე;
2. მოდელის აგრეგირება დაკავშირებულია გარკვეული რაოდენობის საწყისი მონაცემის ერთ მონაცემად გაერთიანებასთან. მაგალითად, თუ გავნიხილავთ ისეთი ფირმის გაყიდვების ანალიზს, რომელიც 15 სახის პროდუქციას უშვებს და ცნობილია, რომ ამ 15-დან 8 იძლევა მოცულობის 95%-ს, ხოლო დანარჩენი 7 შეიძლება ერთ ერთეულად გაერთიანდეს და დაურქვას სახელი “და სხვა”;
3. რადგან საწყისი მონაცემების მაღალი სიზუსტე მოდელზე დანახარჯების გაზრდას იწვევს, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ საწყისი მონაცემების სიზუსტის მოთხოვნა ისე შევამციროთ, რომ გადაწყვეტილების მიღების სიზუსტე არ შემცირდეს.

მოდელირების პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა რადენიმე ტიპური სიძნელე და შეცდომა, რომლებიც ხშირად იჩენენ თავს მოდელირების ამოცანების ამონახსნისას.

- მოდელი არასოდეს ზუსტად არ ემთხვევა რეალობას. იმისათვის რომ შემოწმდეს, რამდენად ესადაგება მოდელირების შედეგები რეალობას, აუცილებელია მოდელის ექსპერიმენტური შემოწმება.
- მოდელთან მუშაობის გარკვეული დროის შემდეგ მომხმარებელს განცდა უჩნდება, რომ ეს მოდელი არის აუცილებელი რეალობა. ასეთ შემთხვევებში სიძნელეების წარმოქმნისას არ ხდება მოდელირების ობიექტისა და მისი გარემოცვის უფრო დრმად შესწავლა, რაც არასწორია.— მოდელი არ უნდა იყოს უცვლელი დიდი ხნის განმავლობაში. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ცვლილებისა და ევოლუციის შესაძლებლობა.

– იმისათვის რომ მოდელმა სარგებლობა მოიტანოს, იგი პრაქტიკულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. მოდელის მიზანია – დაგვეხმაროს პრობლემის გაგებასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

### 6.3 მოდელების სახეები

იმის მიხედვით თუ ფირმის მართვის რომელ დონეზე გამოიყენება მოდელი, განიხილავენ სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ მოდელებს. ასეთი კლასიფიცირება მოდელის მხოლოდ ერთ ნიშანთვისებას შეიცავს.

მოდელში გამოყენებული პრინციპი	განსაკუთრებული თვისებები	გამოყენების სფერო და საშუალებები
ალტერნატივების შეზღუდული რაოდენობა	საუკეთესო გადაწყვეტილების შერჩევა ალტერნატივების მცირე რაოდენობიდან	Decision–ანალიზი, შედეგების მატრიცა, გადაწყვეტილებათა ხე
ოპტიმიზება ალგორითმის საშუალებით	საუკეთესო გადაწყვეტის მონახვა ალტერნატივების უამრავი რაოდენობიდან რამოდენიმე ნაბიჯით, შედეგების თანმიმდევრული გაუმჯობესების მეთოდით	მათემატიკური დაპროგრამების მოდელები
ოპტიმიზება ანალიტიკური ფორმულების გამოყენებით	საუკეთესო ამოხსნის მონახვა ფორმულის გამოყენებით ერთი ნაბიჯით.	მარაგების მართვის მოდელები, ფინანსური მოდელები
იმიტაციური მოდელირება	“საკმარისად კარგი” გადაწყვეტილების მიღება ან საუკეთესოსი ექსპერიმენტით დადგენილი ალტერნატივების შეზღუდული რაოდენობიდან	სტატისტიკური ცდების მეთოდი
ეკრისტიკული მოდელირება	“საკმარისად კარგი” ამონასხინის მოძებნა წესების გამოყენებით	ეკრისტიკული დაპროგრამება, ექსპერტული სისტემები
პროგნოსტიკული მოდელები	მომავლის წინასწარმეტყველება მოცემული სცენარის მიხედვით	დროის მწერივების ექსტრაპოლირება, ექსპერტული მეთოდები.
სპეციალური კომპიუტერული სისტემების გამოყენება	“რა იქნებოდა თუ?” ტიპის ამოცანების ამოხსნა ფორმულების გამოყენებით	მოდელირების სპეციალური ენები, ელექტრონული ცხრილები.

არსებობს მოდელების სხვადასხვა ნიშანთვისებების მიხედვით კლასიფიცირების უფრო სრული ვარიანტი. როგორაცაა: კლასიფიცირება შინაარსის მიხედვით; დროის ფაქტორის მიხედვით (სტატიკური და დინამიური); ცვლადების ტიპების მიხედვით (უწყვეტი, დისკრეტული, მთელრიცხვა, შერეული); ფუნქციური დამოკიდებულების მიხედვით (წრფივი, არაწრფივი, შერეული); განსაზღვრულობის მიხედვით (დეტერმინირებული, რისკის შემცველი, გაურკვეველი); ობიექტის სტრუქტურის გამარტივების მიხედვით (აგრეგირებული, დეტალიზებული); მოდელში განსაზღვრული ცვლადების ხარისხის მიხედვით (ჩაკეტილი, დია სისტემები); შინაგანი სტრუქტურის მიხედვით (გლობალური; სხვადასხვა კავშირების მქონე). მოდელების განსხვავებული ბუნება ნაჩვენებია 6.1 ცხრილ ში.

განვმარტოთ ცხრილში მოცემული მეთოდები:

**Decision–ანალიზი** გადაწყვეტილების მიღების მეთოდების ერთობლიობას წარმოადგენს, გაურკვევლობისა და რისკის პირობებში, ალტერნატივების მცირე რაოდენობისას. **Decision–ანალიზის** მეთოდებით ამოცანის ამოხსნისას შესაძლებელია არა ერთი, არამედ რამდენიმე მიზნის მიღწვა დავსახოთ. ისეთი ამონახსნის მისაღებად, რომელიც ერთ მიზანთან არის დაკავშირებული, გამოიყენება ეგრეთწოდებული შედეგების მატრიცები და ამოხსნების ხე-შედეგების მატრიცა ცხრილს წარმოადგენს, რომელიც კომპაქტური სახით შეიცავს შესაძლო ალტერნატივების ჩამონათვალს და მათი დანერგვით მისაღები შედეგების შეფასებას. ამონახსნთა ხის გამოიყენებას მატრიცებთან შედარებით ორი უპირატესობა აქვს. პირველი – გრაფიკულად გამოსახავს პრობლემის სტრუქტურას; მეორე – რთული სიტუაციის უფრო კომპაქტური ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ერთდროულად რამდენიმე მიზნის მისაღწვად კი უფრო რთული მეთოდები გამოიყენება, როგორიცაა მაგალითად იერარქიის ანალიზის შეთოდი.

**მათემატიკური დაპროგრამება** არის მეთოდების ერთობლიობა, რომელიც მართვის ისეთი ამოცანების გადაჭრის საშუალებას იძლევა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღება პირმა, დასახული მიზნის ოპტიმიზებისათვის, შეზღუდული რესურსი სხვადასხვა მიმართულებით უნდა გაანაწილოს. მაგალითად, საწარმოო მასალების განაწილება სხვადასხვა სახის გამოსაშვებ პროდუქციას შორის. რესურსის განაწილების პრობლემებს, როგორც წესი, მრავალი ალტერნატივა გააჩნია. ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გარკვეული ალგორითმის გამოიყენებასთან არის დაკავშირებული. მათემატიკური დაპროგრამების ძირითადი მიმართულებებია:

- წრფივი დაპროგრამება, რომელიც გამოიყენება რესურსების განაწილების ამოცანების გადასაჭრელად. ამ ამოცანებში მიზნის ფუნქცია და შეზღუდვები წრფივი ფუნქციებია.
- მთელრიცხვა დაპროგრამება, რომელიც გამოიყენება ისეთი წრფივი ამოცანების ამოსახსნელად, სადაც ერთი ან ყველა ცვლადი მთელრიცხვაა.
- არაწრფივი დაპროგრამება, გამოიყენება ისეთი ამოცანების ამოსახსნელად, როდესაც მიზნის ფუნქციასა და/ან შეზღუდვებს არაწრფივი ფუნქციის სახე აქვთ.
- მიზნობრივი დაპროგრამება წარმოადგენს წრფივი დაპროგრამების მოდიფიკაციას და მრავალი მიზნის მქონე ამოცანების ამოსახსნელად გამოიყენება.

მათემატიკური დაპროგრამების მოდელები ძალიან პოპულარულია ინფორმაციულ სისტემებში შემავალ თანამედროვე პროგრამულ პროდუქტებს შორის.

**ფინანსური მოდელირება.** ფინანსური მოდელების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მოდელები ფინანსურ ცვლადებს შეიცავს. დასმული მიზნის მისაღწევად გადაწყვეტილების მიმღებ პირს შეუძლია ამ ცვლადებით მანიპულირება. ცვლადებს შორის კავშირი, როგორც წესი, ალგებრული განტოლებებით არის წარმოდგენილი. განტოლებები, რომლებიც ფინანსურ მოდელს ასახავენ, შეიძლება იყოს ალგებრულ განტოლებათა სისტემა, ან ქონდეს თანმიმდევრობით ამოსახსნელი რეკურსიული გამოსახულების სახე. ფინანსური მოდელის რეკურსიული სახე ასეთია:

შემოსავალი = გაყიდვები  $\times$  ფასი;

თვითდირებულება =  $0.7 \times$  შემოსავალი;

მოგება = გაყიდვები – თვითდირებულება.

ფინანსურ მოდელებში იმ ცვლილებების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდებში ხდება. მაგალითად, ერთი და იგივე ფინანსური მოდელის ფარგლებში შეგვიძლია მოვნახოთ შესაბამისობა შარშან ჩადებულ კაპიტალს, წელს მიღებულ მოგებასა და გაისად გასაცემ დივიდენდებს შორის. ფინანსური მოდელები იმიტაციურ და ოპტიმიზაციურ მოდელებად იყოფიან.

**იმიტაციური მოდელირება.** იმიტაციური მოდელი არა მხოლოდ ზუსტად უნდა ასახავდეს რეალობას, არამედ რაც შეიძლება ზუსტად უნდა ახდენდეს მის იმიტირებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოდელირების პროცესის შესწავლა მართვადი და არამართვადი ცვლადების ცვლილების მეშვეობით, ამ ცვლადების გამოსავალ პარამეტრებზე გავლენის დადგენა. იმიტაციური მოდელირების პროცესი არის ექსპერიმენტის მრავალჯერადი გამორება, რათა შეფასდეს ამა თუ იმ მოქმედების შედეგი. როდესაც მოხდება შეფასება, ანუ განისაზღვრება სისტემის მახასიათებლები, შესაძლებელი ხდება შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევა. იმიტაციური მოდელირება გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც შესასწავლი პრობლემა რთულია და ვერ ხერხდება მისი აღწერა მათემატიკური დაპროგრამების მეთოდებით.

იმიტაციური მოდელირების მეთოდოლოგია რამდენიმე ნაბიჯს შეიცავს:

1. პრობლემის შესწავლა;
2. იმიტაციური მოდელის შექმნა;
3. მოდელის ფუნქციონირების შემოწმება;
4. მოდელზე ჩასატარებელი ექსპერიმენტის დაპროექტება;
5. ექსპერიმენტის ჩატარება;
6. ექსპერიმენტის შედეგების შეფასება;
7. ალტერნატივებიდან ამოხსნის საუკეთესი ვარიანტის შერჩევა.

**ეგრისტიკული დაპროგრამება.** ხშირად რთული ამოცანის ოპტიმალური ამოხსნის მიღება არ ხერხდება ან არაეფექტურია დროისა და რესურსების დიდი დანახარჯის გამო. თუ მენეჯერი თანახმაა დაკმაყოფილდეს ამოცანის არა ოპტიმალური, არამედ “საკმაოდ კარგი” გადაწყვეტით, მას ევრისტიკული დაპროგრამების შესაძლებლობების გამოიყენების საშუალება აქვს.

ეს მეთოდები თეორიულად ნაკლებად არის განზოგადებული, ვიდრე მათემატიკური დაპროგრამების მეთოდები. მათი შემუშავება კონკრეტული ამოცანისათვის ხდება. ამოცანის ამოხსნის ევრისტიკული პროცედურა, როგორც წესი, მოიცავს ამოცანის შუალედური პარამეტრების გამოთვლის წესებს. ასევე ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების მეთოდებს და ამოცანის ამოხსნისათვის ალგორითმის აგების გზებს.

ევრისტიკული დაპროგრამების მეთოდების გამოყენება მოზანშეწონილია როდესაც:

- შემომავალი ინფორმაცია არ არის ზუსტი, ან შეზღუდულია;

- რეალური პრობლემა იმდენად რთულია, რომ ოპტიმიზების მოდელის შექმნა მის მეტისმეტად გამარტივებას მოითხოვს;
- მეტისმეტად დიდია ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დროის დანახარჯი.
- ამოცანა შეიცავს დიდი რაოდენობით სიმბოლურ და არა რიცხვით ცვლადებს.

ევრისტიკული დაპროგრამების მეთოდების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მეთოდები უფრო მარტივია და გასაგებად უფრო იოლი. ისინი ნაკლებ პრეტენზიებს უყენებენ კომპიუტერის მეხსიერებას და ზოგავენ მანქანურ დროს. თუმცა ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ იგი განკუთვნილია “ლოკალური გაუმჯობესებისათვის” და არა “გლობალური პერსპექტივისათვის”. ხშირად მოდელის გამოკვლევა უფრო შედეგიანია მისთვის შეკითხვის დასმით “რა მოხდება თუ?”, ვიდრე “საკმაოდ კარგი” გადაწყვეტილების მიღება.

**მაგალითი.** განვიხილოთ ევრისტიკული დაპროგრამების მეთოდი “კომივოიაჟორის ამოცანის” მაგალითზე.

პროცესი გვიჩვრის კომივოიაჟორმა უნდა მოინახულოს N რაოდენობა ქალაქებისა რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე. იგი უნდა გავიდეს რაიმე საწყისი პუნქტიდან, ერთხელ მივიდეს ყოველ ქალაქში და დაბრუნდეს საწყის ქალაქში. ამოცანა მდგომარეობს კომივოიაჟორისათვის საუკეთესო მარშრუტის (მინიმალური მანძილით ან მინიმალური დანახარჯით) დადგენას.

სირთულე იმ შესაძლო მარშრუტების რაოდენობა, რომელიც უნდა იყოს განხილული ამოცანის ამოხსნისას (მხოლოდ ერთი მიმართულებით) არის

$$R=0,5(N-1)!$$

10 ქალაქისათვის ეს იქნება 184440 მარშრუტი. 11 ქალაქისათვის 2 მილიონი და ა.შ. ეს ამოცანა კომბინატორიკის ტიპური ამოცანაა.

ეკრისტიკული განხილვა სრულიად შეუძლებელია, ჩნდება მოსაზრება, რომ ევრისტიკული მიღება გამოვიყენოთ. მაგალითად, ცდისა და შეცდომის მეთოდის გამოყენებით, შეიძლება შევთავაზოთ ამოცანის ამოხსნის შემდეგი ევრისტიკული ალგორითმი: “დაიწყეთ ნებისმიერი ქალაქიდან და გადაადგილდით უახლოესი ქალაქისაკენ. განაგრძეთ მანამ, სანამ არ მიხვალთ ბოლო ქალაქში. შემდეგ დაბრუნდით უკან”. შეიძლება შევთავაზოთ უფრო რთული ალგორითმი: “დაიწყეთ ნებისმიერი ქალაქიდან და ააგეთ მარშრუტი ქალაქიდან ქალაქში უკან დაბრუნების და გადაკვეთის გარეშე. ბოლო ქალაქიდან დაბრუნდით უკან” თუ განვიხილავთ ქალაქების განლაგების თავისებურებას აღნიშნულ ტერიტორიაზე, შესაძლოა უფრო ეფექტური ალგორითმი შევთავაზოთ.

ამჟამად ევრისტიკული ალგორითმები განიხილება, როგორც მათემატიკური დაპროგრემების ალტერნატივა.

**პროგნოზირება.** როგორც ავღნიშნეთ, საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა მოსალოდნელ შედეგებზეა დამოკიდებული. მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული პროგნოზირების გამოყენებული მეთოდების სიზუსტეზე, რადგან ზუსტად არ ვიცით თუ როგორ განვითარდება მოვლენები. პროგნოზირების მეთოდები გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემების განუყოფელი ნაწილია. მომხმარებელს შეუძლია შექმნას საკუთარი პროგნოსტული მოდელი, ან გამოიყენოს გამოყენებითი პროგრამული პაკეტები, რომლებიც პროგნოზირების სტანდარტულ მოდელებს შეიცავენ.

პროგნოსტული მოდელების გამოყენების მთავარი მიზანია ცვლადების მნიშვნელობებისა და მათ შორის კავშირების პროგნოზის გაკეთება მომავალში დროის რაიმე მომენტისათვის. იმის მიხედვით, თუ რამდენად შორს არის ეს მომენტი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, განიხილავენ მოკლევადიან (ერთ წლამდე) და გრძელვადიან პროგნოზირებას. მოკლევადიანი

პროგნოზირების მეთოდები, როგორც წესი, დეტერმინისტულია, გრძელვადიანი მოდელები კი – სტრუქტური.

პროგნოზირების ფორმალიზებული მეთოდები სამ ჯგუფად იყოფა: ექსტრაპოლაციური, სტატისტიკური და ექსპერტული. ასევე არსებობენ პროგნოზირების არაფორმალური მეთოდები, რომლებიც ინტუიციას ემყარებიან.

#### 6.4 მოდელირების ტიპური შესაძლებლობები

პრაქტიკაში ყველაზე მეტად მოდელირების შემდეგი ამოცანები გამოიყენება.

**1. What if** (რა მოხდება თუ?). ამ ტიპის მოდელის აგებისა და გადაწყვეტის შემდეგ შეგვიძლია გავიგოთ, როგორ შეიცვლება ამონასნი ერთი ან რამდენიმე პირობის ცვლილებისას.

**2. მგრძნობიარობის ანალიზი.** ეს ამოცანა “What if” ტიპის ამოცანის ნაირსახეობაა. იგი შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიცვლება მოდელის ამონასნი ერთი ან რამდენიმე შემავალი სიდიდის მნიშვნელობათა მოცემულ დიაპაზონში ცვლილებისას, მოცემული ბიჯით.

**3. Goal seeking.** Goal seeking (პარამეტრების შერჩევა) ტიპის ამოცანა არის “რა მოხდება თუ?” ამოცანის შებრუნებული ამოცანა, როდესაც დასახულია მიზანი და უნდა მოიძებოს საწყისი პარამეტრების ის მნიშვნელობები, რომლებიც მიზნის მიღწევას უზრუნველყოფენ.

**4. გაერთიანება.** ხშირად ფირმას აქვს ცენტრალური ოფისი და რამდენიმე ფილიალი. ასეთ დროს ფილიალებიდან შემოსული დოკუმენტისა და ანგარიშის გაერთიანების საჭიროება დგება. ასეთი ამოცანის ამონენა მოითხოვს სპეციალურ პროგრამულ ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია ფაილებით მანიპულირება და ანგარიშის ფორმების გენერირება.

**5. ჩართული ფუნქციები და პროცედურები.** მოდელირების პროცესის გასაიონებლად ბევრ პროგრამული მოდელირების სისტემაში შედის დიდი რაოდენობით ფინანსური, სტატისტიკური, მათემატიკური, ლოგიკური და სხვა ფუნქციები, რომელთა საშუალებითაც სტანდარტული გამოთვლები ხორციელდება. ასევე ჩართულია სტანდარტული პროცედურები. ასეთია, მაგალითად, ამორტიზების დანარიცხის გამოთვლა.

**6. თატიმიზება.** ოპტიმიზების ამოცანა არის რაიმე მიზნის ფუნქციის მაქსიმიზების (მინიმიზების) ამოცანა, როდესაც არსებობენ შეზღუდვები საწყის პირობებსა და ცვლადებზე.

**7. განმარტება.** ეს არის მოდელირების სისტემების განსაკუთრებული პროგრამული ბლოკი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მირითადი ცნებებისა და ცვლადების განმარტება. დავინახოთ ყოველი შედეგის მიღების (ტრანსფორმირების) პროცესი. მივიღოთ პასუხები კითხვაზე “რატომ ასე?”.

**8. გრაფიკა.** გრაფიკა მოდელირების შედეგების ნათლად წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

**მოდელირების გამოყენება.** არსებობს ცოდნის მრავალი სფერო, რომელიც მოდელირებას ინფორმაციული სისტემების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად იყენებს. მათგან ეკონომიკის პრობლემებთან მიახლოებულია:

##### 1. ეპონომიკასა და ფინანსებში:

- ა. ფინანსური ნაკადების დისკონტირება;
- ბ. დასაგეგმი კაპიტალდაბანდებების ანალიზი;
- გ. ობლიგაციებისა და აქციების მიმდინარე დირებულების განსაზღვრა;
- დ. აქციების პორტფელის შერჩევის ანალიზი;
- ე. საპროექტო წინადადებების ანალიზი (რისკების შეფასება);
- ვ. ამორტიზების დარიცხვების გათვლა.

**2. სტატისტიკაში:**

- ა. დისპერსიის, საშუალოსა და საშუალო კვადრატული გადახრის განსაზღვრა;
- ბ. კომბინატორიკის ამოცანების ამოხსნა;
- გ. ამოცანები სტატისტიკური ჰიპოთეზების ამოხსნაზე;
- დ. რეგრესიული ანალიზი;
- ღ. პროგნოზირება;

**3 წარმოების მართვაში:**

- ა. წარმოების არაწამგებიანი ფუნქციონირების შესაძლებლობის ანალიზი;
- ბ. სამუშაო ძალის მართვის ამოცანები;
- გ. მარაგების მართვა.

**თავი 7**  
**მოდელირების ამოცანების ამოცსნა ელექტრონული  
ცხრილის მეშვეობით**

**7.1 მოდელირების საფუძვლები ელექტრონულ ცხრილში**

მოდელის აგება. ელექტრონულ ცხრილში მოდელის ასაგებად განვიხილოთ შემდეგი ამოცანა. ავაგოთ ცხრილი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გაკეთდეს კომპანიის საქმიანობის პროგნოზი რამდენიმე წელიწადზე. ამისათვის ელექტრონულ ცხრილში შევიტანოთ მონაცემები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: გაყიდვების მოცულობა, თვითღირებულება, მთლიანი მოგება, ოპერაციული ხარჯი, მოგება, გაყიდვების ზრდა. საწყისად მივიღოთ 2013 წელი. გვინდა გაკეთდეს პროგნოზი 2014, 2015, 2016 წლებისათვის. დავუშვათ 2010 წელს გაყიდვების მოცულობაა 100000, თვითღირებულება 45000. სრული მოგება გამოითვლება როგორც გაყიდვების მოცულობისა და თვითღირებულების სხვაობა; ჩავთვალოთ, რომ ოპერაციული ხარჯი შეადგენს სრული მოგების 60%-ს. სუფთა მოგება გამოითვლება, როგორც მთლიანი მოგებისა და ოპერაციული ხარჯის სხვაობა. გაყიდვების ზრდა მომავალი წლებისათვის ნავარაუდებია 12%.

ამ მონაცემების და მათ შორის დამოკიდებულებების შესაბამისი ფორმულების მიხედვით შევქმნათ ცხრილი (ცხრ.7.1).

A	B	C	D	E
კომპანიის საქმიანობის შედეგების პროგნოზი				
	2013	2014	2015	2016
5 გაყიდვების მოცულობა	100000	=B5*B10	=C5*C10	=D5*D10
6 თვითღირებულება	45000	=B6*\$B\$10	=C6*\$B\$10	=D6*\$B\$10
7 საერთო მოგება	=B5-B6	=C5-C6	=D5-D6	=E5-E6
8 ოპერაციული ხარჯი	=B7*0.6	=C7*0.6	=D7*0.6	=E7*0.6
9 მოგება	=B7-B8	=C7-C8	=D7-D8	=E7-E8
10 გაყიდვების ზრდა	1.12	=\$B\$10	=\$B\$10	=\$B\$10

ცხრ.7.1

ამოხსნის შედეგი მოყვანილია ცხრ. 7.2-ში.


A	B	C	D	E
კომპანიის საქმიანობის შედეგების პროგნოზი				
	2013	2014	2015	2016
5 გაყიდვების მოცულობა	100000	112000	125440	140493
6 თვითღირებულება	45000	50400	56448	63221.76
7 საერთო მოგება	55000	61600	68992	77271
8 ოპერაციული ხარჯი	33000	36960	41395.2	46363
9 მოგება	22000	24640	27596.8	30908
10 გაყიდვების ზრდა	1.12	1.12	1.12	1.12

ცხრ.7.2


ამ ამოცანის განხილვისას საინტერესოა, თუ როგორ შეიცვლება საბოლოო მონაცემები, თუკი ერთ ერთ პირობას შევცვლით. მაგალითად, გაყიდვების ზრდა იქნება არა 12%, არამედ 25%. ასეთი ტიპის ამოცანას ეწოდება “რა მოხდება თუ?”. ამისათვის უნდა შეიცვალოს რაიმე პირობის მნიშვნელობა და შედეგის მიხედვით გაკეთდეს პროცესის ანალიზი. ამ შემთხვევაში B10 უჯრედში 1,12- ის ნაცვლად უნდა შევიტანოთ 1,25. მივიღებთ ახალ მონაცემებს. ანალოგიურად შეიძლება შეცვალოს თვითონირებულების ან ოპერატიული ხარჯის პროცენტი და გავაანალიზოთ შედეგი.

ამოცანში “როგორ მოვიქცეთ რომ?” ცნობილია, თუ რა მიზნის მიღწევა უნდა ფირმას. უნდა განისაზღვროს ის საწყისი მონაცემები, რომლების ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფენ.

მაგალითად, ფირმის მიზანია 2016 წელს მიიღოს მოგება 40000 ფულადი ერთეული. ამასთან ფირმა შეარჩევს ცვლადს, რომლის ვარიაციის მეშვეობითაც უნდა იქნას მიღწეული ეს მიზანი. ეს ცვლადი შესაძლებელია იყოს გაყიდვების მოცულობა. ასეთი ამოცანის ამოხსნა Excel-ში ხდება მენიუდან Goal Seek ოფციის საშუალებით. ამისათვის უნდა გამოყეოთ ის უჯრა, რომელშიც გვინდა მივიღოთ სასურველი შედეგი. ამის შემდეგ გავხსნათ დიალოგის ფანჯარა Goal Seek (ჩან.7.1). გამოყოფილი უჯრის მისამართი ავტომატურად მოთავსდება ველში Set cell (ჩადგეს უჯრაში). ველში To value შევიტანოთ ის მნიშვნელობა, რომლის მიღწევაც გვსურს, ანუ 40000; ველში By changing cell (ცვალებადი უჯრით) შესატანად მოვნიშნოთ გაყიდვების მოცულობის შემცველი უჯრა. მისამართი ავტომატურად ჩადგება შესაბამის ველში.



ჩან.7.1



ჩან.7.2

მივცეთ OK. გამონათდება შედეგების ცხრილი (ცხრ.7.3) და დიალოგის ფანჯარა (ჩან.7.2)

	A	B	C	D	E
კომპანიის საქმიანობის შედეგების პროგნოზი					
1					
2					
3		2013	2014	2015	2016
4					
5	გაყიდვების მოცულობა	116178.02	130119.388	145733.714	163222
6	თვითონირებულება	45000	50400	56448	63221.76
7	საერთო მოგება	71178.025	79719.3878	89285.7143	100000
8	ოპერაციული ხარჯი	42706.815	47831.6327	53571.4286	60000
9	მოგება	28471.21	31887.7551	35714.2857	40000
10	გაყიდვების ზრდა	1.12	1.12	1.12	1.12

ცხრ.7.3

თუ ამ დიალოგის ფანჯარაში მივსემთ **OK**, ეკრანზე გვექნება ახლად მიღებული ცხრილი. **Cancel**-ის შემთხვევაში დაბრუნდება საწყისი ცხრილი

## 7.2 მოდელირების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა ელექტრონული ცხრილის **EXCEL**-ის საშუალებებით

ამოცანები “რა იქნება თუ?” და “როგორ მოვიქცეთ რომ?”. მოდელირება ხშირად ისეთ ამოცანებთან არის დაკავშირებული, როდესაც საჭიროა რაიმე რთული გამოსახულების გამოთვლა ცვალებადი საწყისი მონაცემების საფუძველზე. ან პირიქით, უნდა განისაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს საწყისი მონაცემები, რომ წინასწარ დადგენილი შედეგი მივიღოთ.

განვიხილოთ “რა იქნება თუ?” ამოცანის ამოხსნის ტექნოლოგია რთული პროცენტის დარიცხვის მაგალითზე.

გთქბათ ცნობილია ანაბარის მოცულობა, რომელიც ბანკში ჩაიდება გარკვეული პროცენტით და გარკვეული ვადით. უნდა განისაზღვროს საბოლოო თანხა, რომელსაც მივიღებთ ვადის გასვლის შემდეგ, შეტანილ ანაბარზე დარიცხული პროცენტით. ცხრ.7.4-ზე მოცემულია ამოცანის გადაწყვეტა **EXCEL**-ის საშუალებით.


B5		
	A	B
1	შენატანის ოდენობა	150000
2	გადა	20
3	საპროცენტო განაკვეთი	0,05
4		
5	დარიცხული თანხა	397995

ცხრ.7.4

**B5 უჯრაში შეტანილია  $=((1+B3)^B2)*B1$**

ამოცანა რამდენადმე რთულდება, როდესაც გვინდა საწყისი მონაცემების იმ მნიშვნელობების განსაზღვრა, რომლების პერიოდის ბოლოს გარკვეული თანხის აღებას უზრუნველყოფენ. ასეთი ამოცანების ამოხსნა **EXCEL**-ში ხდება ოფციონ **Coal Seek**.


ზემოთ აღწერილ ამოცანაში საბოლოოდ გაცემული თანხა თითქმის 400000-ია. დავუშვათ, რომ 20 წლის შემდეგ გვინდა მივიღოთ თანხა ნახევარი მილიონის ოდენობით, ბანკის იგივე პირობებით.



ნახ.7.3

განვსაზღვროთ, თუ რა საწყისი თანხის შეტანაა საჭირო ამ შედეგის მისაღებად. ამისათვის მოვნიშნოთ B5 უჯრა. ამ უჯრაში უნდა მივიღოთ შედეგი—500000.

გავხსნათ ფანჯარა **Goal Seek**. გამონათდება დიალოგური ფანჯარა (ნახ.7.3). **Set cell** ველში ავტომატურად ჩაიწერება მონიშნული უჯრის მისამართი, რომელშიც უნდა მივიღოთ წინასწარ განსაზღვრული შედეგი. **To value** ველში უნდა ჩავწეროთ ის რიცხვი, რომლის მიღებაც გასურს, ანუ 500000. შემდეგ კურსორი ჩავაყენოთ **By changing cell** ველში და შევიტანოთ იმ უჯრის მისამართი, რომლის მონაცემის მნიშვნელობის ცვლილების ხარჯზე გვინდა, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ. ამ შემთხვევაში ეს არის უჯრა B1. მისამართი ჩაისმება ამ ველში. მივცეთ **OK**. გამოვა ფანჯარა, რომელიც გვაძლენობს, რომ ამოცანა შესრულებულია (ნახ.7.4). თუ მივცემთ ბრძანებას **OK**, შედეგი დაფიქსირდება ცხრილში. მივიღებთ შენატანის საჭირო მნიშვნელობას (ცხრ.7.5). თუ მივცემთ ბრძანებას **Cancel**, შედეგი არ დაფიქსირდება.



ნახ.7.4

B5	A	B
1	შენატანის ოდენობა	188445
2	გადა	20
3	საპროცენტო განაკვეთი	0,05
4		
5	დარიცხული თანხა	500000
6		

ცხრ. 7.5

ანალოგიურად შეგვიძლია გვეალოთ საპროცენტო განაკვეთი ან შეტანის ვადა.

#### ცვლადების მგრძნობიარობის ანალიზი

ცვლადების მგრძნობიარობის ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს ფორმულაში ცვლადების სხვადასხვა მნიშვნელობების ჩასმით განვსაზღვროთ გამომავალი ინფორმაციის რეაქცია შემავალი ინფორმაციის ცვლილებაზე. ამ რეჟიმის რეალიზება Excel-ში ხდება Data-Table ბრძანებებით.

ცხრილის შექმნა ერთი ან ორი ცვლადის მნიშვნელობების საფუძველზე შეიძლება. ცვლადების მნიშვნელობები სიის სახით არის მოცემული. ერთი ცვლადის შემთხვევაში სიის შექმნისას საწყისი მონაცემების სია მოცემულია სტრიქონში ან სვეტში. ორი ცვლადის შემთხვევაში ერთერთი მათგანის მნიშვნელობები მოიცემა სტრიქონში, მეორისა კი სვეტში. შედეგი შესაბამისი სტრიქონისა და სვეტის გადაკვეთაზე მიიღება. ერთი ცვლადის შემთხვევაში ფორმულაში ერთი უჯრა უნდა მივუთითოთ, რომელშიც მნიშვნელობები ცხრილის შექმნისას სიიდან გადავა.

განვიხილოთ ერთი ცვლადის შემთხვევა. დავუშვათ კომერციული აგენტის ხელფასი გაყიდვების გარკვეული პროცენტით განისაზღვრება. აგენტის ხელფასის განვსაზღვრის მიზნით შევადგინოთ მგრძნობიარობის ცხრილი, რომელიც ასახავს ხელფასის დამოკიდებულებას გაყიდული საქონლის მოცულობაზე.

შევქმნათ ცხრილი ცხრ.7.6-ის მიხედვით. D სვეტში, D2-დან დაწყებული, შევიტანოთ გაყიდვების მნიშვნელობები. E2-ში შევიტანოთ ფორმულა =D2\*0,12;


F2-ში კი ფორმულა =D2\*0,15. ყოველი ფორმულა ეყრდნობა D სვეტის D2 უჯრის მონაცემებს.

A	B	C	D	E	F
1			გაყიდვები	ხელუასი(12%)	ხელუასი(15%)
2 გაყიდვები	900		500	60	75
3 პროცენტი	12%		750		
4 ხელუასი	108		1000		
5			1250		
6			1500		
7			1750		
8			2000		
9			2250		
10			2500		
11			2750		
12			3000		

ცხრ.7.6

შევასრულოთ მოქმედებები:

- 1 – მოვნიშნოთ D2:F12 შუალედი, რომელშიც შეტანილია საწყისი მინაცემების სია და ფორმულები.
- 2 – შევარჩიოთ ბრძანება Data-Table,



ნახ.7.5

- 3 – გამონათებულ ფანჯარაში მივჟითოთოთ სიის შემცველი სვეტის უჯრა \$D\$2, მივცევთ OK.

ამის შემდეგ მონიშნულ ბლოკში ავტომატურად გამოვა მგრძნობიარობის ცხრილი (ცხრ.7.7).

A	B	C	D	E	F
1			გაყიდვები	ხელუასი(12%)	ხელუასი(15%)
2 გაყიდვები	900		500	60	75
3 პროცენტი	12%		750	90	112,5
4 ხელუასი	108		1000	120	150
5			1250	150	187,5
6			1500	180	225
7			1750	210	262,5
8			2000	240	300
9			2250	270	337,5
10			2500	300	375
11			2750	330	412,5
12			3000	360	450

ცხრ.7.7

მიღებული ცხრილი გვიჩვენებს ანაზღაურების თანხას, რომელიც გაყიდვების მოცულობაზე და ფირმის მიერ დადგენილ პროცენტზეა დამოკიდებული. გამოყენებული იქნა ფუნქცია Table(;D2). არგუმენტი არის D2 უჯრის მონაცემი.

### მგრძნობიარობის ორგანზომილებიანი ამოცანა.

როდესაც მხოლოდ ერთი ფორმულის საშუალებით საჭიროა რაიმე მაჩვენებელზე ორი ცვლადის ერთდროულად ზემოქმედების გამოვლენა ორგანზომილებიანი ცხრილი გამოიყენება.

განვიხილოთ ორგანზომილებიანი ცხრილის აგების პროცედურა შემდეგ მაგალითზე: ფირმა, რომელიც სამედიცინო მომსახურებას ეწევა, კლიენტის მიერ წლიურ შენატანს განსაზღვრავს ფორმულით:

$$\text{შენატანი} = (\text{ოჯახის წლიური შემოსავალი} - (\text{ოჯახის წევრთა რაოდენობა} \times 1000)) / 100$$

ამისათვის მგრძნობიარობის ცხრილმა უნდა გვაჩვენოს წლიურ შენატანზე ორი ფაქტორის ზემოქმედება. ეს ფაქტორებია ოჯახის წლიური შემოსავალი და ოჯახის წევრთა რაოდენობა.

ელექტრონულ ცხრილში უნდა შევიტანოთ წლიური შემოსავალი და ოჯახის წევრთა რაოდენობა. განვსაზღვროთ შენატანის ოდენობა ყოველი შესაძლო შემთხვევისათვის.


ცხრ.7.8-ის მიხედვით Excel-ში შევქმნათ ცხრილი: შევიტანოთ ცვლადების, მნიშვნელობები და ამ ცვლადების დამაკავშირებელი ფორმულა.

- B5 უჯრაში მივუთითოთ იმ უჯრის მისამართი, რომელშიც ფორმულა წერია.
- მოვნიშნოთ B5:M11 არე.
- შევარჩიოთ ბრძანებები Data-Table

ცხრ.7.8

გამონათებულ ფანჯრის Row input cell ველში შევიტანოთ სტრიქონში შესატანი ცვლადის (წლიური შემოსავლის) შემცველი უჯრის მისამართი. Column input cell ველში შევიტანოთ სცეტში შესატანი ცვლადის (ოჯახის წევრთა რაოდენობა) შემცველი უჯრის მისამართი. ორგანზომილებიანი ცხრილის აგებისას გამოიყენება ფუნქცია TABLE(B1;B2).

ფუნქციის პირველი არგუმენტი არის მიმართვა უჯრაზე, რომელშიც გამოყოფილი არეს პირველი სტრიქონის ელემენტებით შეივსება. მეორე არგუმენტი არის უჯრა, რომელშიც მნიშვნელობები მონიშნული არის მარცხენა სვეტიდან შეივსება.



### ნახ.7.6

OK დილაგის გამოყენებით შეივსება ორგანზომილებიანი ცხრილი (ცხრ.7.9).

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M
1	წლიური შემოს	5000											
2	წევრთა რაოდენ	3											
3	შენატანი	20											
4													
5	20	20000	21000	22000	23000	24000	25000	26000	27000	28000	29000	30000	
6	1	190	200	210	220	230	240	250	260	270	280	290	
7	2	180	190	200	210	220	230	240	250	260	270	280	
8	3	170	180	190	200	210	220	230	240	250	260	270	
9	4	160	170	180	190	200	210	220	230	240	250	260	
10	5	150	160	170	180	190	200	210	220	230	240	250	
11	6	140	150	160	170	180	190	200	210	220	230	240	
12													

### ცხრ.7.9 მგრძნობიარობის ორგანზომილებიანი ცხრილი

მგრძნობიარობის მოცემული ცხრილი ფირმას შესაძლებლობას აძლევს განსაზღვრის ყოველწლიური დიფერენცირებული გადასახადი ოჯახის წევრთა რაოდენობისა და ოჯახის წლიური შემოსავლის მიხედვით.

### მგრძნობიარობის ანალიზი სცენარების გამოყენებით

მგრძნობიარობის ანალიზი შესაძლებელია ჩატარდეს ე.წ. სცენარული მიღების საშუალებითაც. სცენარი საწყისი მონაცემების მნიშვნელობების სიმრავლეს წარმოადგენს. ისინი განკუთვნილია ცვლადების შესატანად წინასწარ დაგენილ ფორმულებში. შედეგად პასუხის სხვადასხვა ვარიანტის მიღებაა შესაძლებელი ამ შედეგებს ანგარიშების ვარიანტებს უწოდებენ და ისინი მგრძნობიარობის ანალიზის ზემოთ განხილული ცხრილის ანალოგიურია.


განვიხილოთ ზემოთ განხილული ამოცანა ბანკში შესატანი თანხის სიღიდის განსაზღვრის შესახებ. საწყისი პარამეტრების (შენატანის სიღიდე, ვადა, საპროცენტო განაკვეთი) ცვლილების საფუძველზე, რომლებიც სხვადასხვა სცენარისათვის გამოსატანი თანხის სიღიდეს განსაზღვრავენ, შესაძლებელია ნაკრები ანგარიშის მიღება. ამისათვის:

1. შევიტანოთ საწყისი მონაცემები და განვსაზღვროთ გამოსატანი თანხა;


	A	B
1	შენატანის ზომა	300000
2	გადა	7
3	საპროცენტო განაკვეთი	0,05
4		
5	გამოსატანი თანხა	=((1+B3)^B2)*B1
6		

ცხ.7.10

2. მოვნიშნოთ საწყისი მონაცემების შემცველი უჯრები – (B1:B3);  
 3. შევასრულოთ ბრძანება Data->What If Analysis → Scenario Manager;  
 ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, Scenario Manager (ნახ.7.7), რომლის მეშვეობითაც  
 სცენარის შექმნა, რედაქტირება და წაშლაა შესაძლებელი.




ნახ.7.7



ნახ.7.8


ამ ფანჯრის Add ღილაკით გადავდივართ Add Scenario (ნახ.7.8) ფანჯარაზე.  
 ამ ფანჯარაში მომხმარებელს შეაქვს შესაქმნელი სცენარის სახელი და  
 მიუთითებს იმ ცვლადი უჯრების მისამართებს, რომლებშიც საწყისი  
 პარამეტრების სხვადასხვა ნაკრები მოთავსდება. Ok ღილაკით გადავდივართ



ნახ.7.9

Scenario Values (ნახ.7.9) ფანჯარაზე. აქ უნდა მივუთითოთ სცენარის შესაბამისი  
 მნიშვნელობები. ცვალებადი უჯრების შესაბამის ველებში შეიძლება როგორც  
 რიცხვითი მნიშვნელობების, ასევე ფორმულების მოთავსება. OK ღილაკით  
 ვბრუნდებით Scenario Meneger – ის ფანჯარაში და ვამატებთ შემდეგ სცენარს.  
 როდესაც დასრულდება სცენარების შეტანა Scenario Meneger – ის ფანჯარაში

**Summary** ლილაკის მეშვეობით გამოვა ფანჯარა (ნახ.7.10), რომელშიც ანგარიშის ტიპი უნდა მივუთითოთ. ამ შემთხვევაში – Scenario summary და იმ უჯრის მისამართი, რომელშიც შედეგი იქნება მოცემული.



ნახ.7.10

A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										
11										
12										
13										

**Scenario Summary**  
 Current Values: scenario1 scenario2 scenario3 scenario4  
**Changing Cells:**  
 \$B\$1 300000 300000 300000 500000 500000  
 \$B\$2 7 7 10 7 10  
 \$B\$3 0,05 0,05 0,05 0,05 0,05  
**Result Cells:**  
 \$B\$5 422130 422130 488668 703550 814447

Notes: Current Values column represents values of changing cells at time Scenario Summary Report was created. Changing cells for each scenario are highlighted in gray.

ცხრ.7.11

შემდეგ OK ლილაკით ცალკე გვერდზე მიიღება ანგარიშის ფანჯარა (ცხრ.7.11)

### 7.3 ოპტიმიზების ამოცანის ამოხსნა ელექტრონული ცხრილის EXCEL-ის საშუალებით

ოპტიმიზების ამოცანა ეწოდება ამოცანას, როდესაც საჭიროა რაიმე ფუნქციის ექსტრემუმის პოვნა მოცემული შეზღუდვების და საწყისი პირობების გათვალისწინებით. ამ ფუნქციებს მიზნის ფუნქციებს უწოდებენ. როდესაც მიზნის ფუნქცია და ყველა შეზღუდვა წრფივია, ამოცანა წრფივი დაპროგრამების ამოცანებს მიეკუთვნება. წრფივი დაპროგრამების მეთოდების საშუალებით მრავალი ეკონომიკური ამოცანა იხსნება.

პრაქტიკაში ყოველთვის არსებობს მრავალი შეზღუდვა, რომელსაც საძებნი ამონასნი უნდა აკმაყოფილებდეს. ეს შეზღუდვები ცვლადების დასაშვები საზღვრები ან ფუნქციები შეიძლება იყოს. ეკონომიკურ ამოცანებში შეზღუდვები ძირითადად იმ რესურსების გამოყენების შეზღუდვას ეხება, რომელიც სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებისას არსებობს. როდესაც შესაძლებელია ამ შეზღუდვების შერბილება ან მოხსნა, მაშინ შედეგის გაუმჯობესება არის შესაძლებელი.

**Excel-ის საშუალებით** ოპტიმიზების ამოცანის ამოხსნა ხდება პროგრამით **Solver**. ეს პროგრამა, მრავალი ცვლადისა და შეზღუდვის შემცველი, რომელი წრფივი ამოცანის ამოხსნის შესაძლებლობას იძლევა.

ამოცანის განსაზღვრისა და ჩამოყალიბების შემდეგ პროგრამა **Solver** შესაბამის გამოთვლებს ასრულებს. ხშირად, ამოცანის ამოსახსნელად, რამდენიმე ასეული იტერაციის შესრულებაა საჭირო.

### წრფივი ამოცანის მაგალითი

ვთქვათ საწარმო უშვებს ოთხი დასახელების პროდუქციას **A1, A2, A3, A4**. ამისათვის გამოიყენება 3 სახის რესურსი **P1, P2, P3**. რესურსების რაოდენობაზე შეზღუდვებია:

$$P1 \leq 16; \quad P2 \leq 100; \quad P3 \leq 110$$

ყოველი პროდუქციისათვის ცნობილია პროდუქციის ერთეულის რეალიზებისას მოსალოდნელი მოგება – 60, 70, 120, 130 ფულადი ერთეული, შესაბამისად **A1, A2, A3** და **A4** პროდუქციისათვის.

მოცემულია შეზღუდვები თითოეული პროდუქციის გამოშვებაზე (ზედა და ქვედა საზღვრები).  $1 \leq A1 \leq 4; \quad A2 \geq 2; \quad A3 \geq 2; \quad A4 = 1$ .

ეს შეზღუდვები ტექნოლოგიური პროცესით არის განსაზღვრული.

ამოცანის მიზანია განსაზღვროს თითოეული პროდუქციის გამოშვების ოპტიმალური რაოდენობა, რათა ჯამური მოგება მაქსიმალური იყოს.

ამოცანის მათემატიკური მოდელი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

მიზნის ფუნქცია:  $60A1+70A2+120A3+130A4 \rightarrow \text{max}$ .

შეზღუდვები რესურსებზე:

$$P1 = 1 A1 + 1 A2 + 1 A3 + 1 A4 \leq 16$$

$$P2 = 4 A1 + 6 A2 + 10 A3 + 13 A4 \leq 100$$

$$P3 = 6 A1 + 5 A2 + 4 A3 + 3 A4 \leq 110$$

კოეფიციენტები გვიჩვენებენ, თითოეული რესურსის რამდენი ერთეულია საჭირო ყოველი პროდუქციის ერთი ერთეულის გამოსაშვებად.

რადგან მიზნის ფუნქცია და შეზღუდვები წრფივია, აღწერილი მოდელი წრფივი დაპროგრამების ამოცანებს მიეკუთვნება.

	A	B	C	D	E	F	G
1	საწარმოო პროგრამის განსაზღვრის ამოცანა						
3	პროდუქციის სახეები	A1	A2	A3	A4		
4	წარმოების მოცულობა					საერთო მოგება	
5	ერთეული მოგება	60	70	120	130	=B5*B4+C5*C4+D5*D4+E5*E4	
6							
7	შეზღუდვები რესურსებზე				საჭიროა	გვაქს	
8	რესურსი 1	1	1	1	1	=B8*B4+C8*C4+D8*D4+E8*E4	16
9	რესურსი 2	4	4	10	13	=B9*B4+C9*C4+D9*D4+E9*E4	100
10	რესურსი 3	6	5	4	3	=B10*B4+C10*C4+D10*D4+E10*E4	110
11							
12	შეზღუდვები წარმოების მოცულობაზე						
13	ქვედა ზღვარი	1	2	2	1		
14	ზედა ზღვარი	4			1		

(ცხრ.7.12)


ზემოთ აღწერილი ალგებრული განტოლებებისგან შემდგარი მოდელი ელექტრონულ ცხრილში (ცხრ.7.12) უნდა გადავიტანოთ. ამისათვის:

- 1) შევიტანოთ მოდელის საწყისი მონაცემები და მათი დასახელებები (მიზნის ფუნქციის კოეფიციენტები, შეზღუდვები, შეზღუდვების მარჯვენა ნაწილები) ელექტრონულ ცხრილში (ცხრ.7.12);
  - 2) გამოვყოთ უჯრები მოდელში აღწერილი ყოველი დამოუკიდებელი ცვლადისათვის;
  - 3) ერთ-ერთ უჯრაში შევიტანოთ მიზნის ფუნქციის ალგებრული გამოსახულების შესაბამისი ფორმულა;
  - 4) შევარჩიოთ უჯრები და შევიტანოთ ყოველი შეზღუდვის მარცხენა ნაწილის გამოსათვლელი გამოსახულებები.
- ცხრ.7.13-ში მოცემულია მონაცემებისა და შესაბამისი ფორმულების შეტანის შემდეგ მიღებული შედეგი.

A	B	C	D	E	F	G
საწარმოო პროგრამის განსაზღვრის ამოცანა						
3 პროდუქციის სახეები A1	A2	A3	A4			
4 წარმოების მოცულობა					საერთო მოგება	
5 ერთეული მოგება	60,0	70,0	120,0	130,0		0
შეზღუდვები რესურსებზე					საჭირო გვაქვს	
8 რესურსი 1	1,0	1,0	1,0	1,0	0	16,0
9 რესურსი 2	4,0	4,0	10,0	13,0	0	100,0
10 რესურსი 3	6,0	5,0	4,0	3,0	0	110,0
შეზღუდვები წარმოების მოცულობაზე						
13 ქედა ზღვარი	1,0	2,0	2,0	1,0		
14 ზედა ზღვარი	4,0			1,0		


### ცხრ.7.13

უჯრები **B4:E4** დამოუკიდებელი ცვლადებისათვის არის გამოყოფილი.  
პროგრამა **SOLVER** წრფივი და არაწრფივი დაპროგრამების ამოცანების



ამოსახსნელად გამოიყენება. განვიხილოთ ეს პროგრამა ზემოთ აღწერილი მოდელის მაგალითზე (ნახ.7.11).

- პროგრამა **SOLVER** სამი ძირითადი კომბონენტით ოპერირებს. ესენია:
- უჯრა, რომელშიც ჩაწერილია ამოცანის მიზნის ფუნქცია (**G5**);
  - დამოუკიდებელი ცვლადების შემცველი უჯრები (**B4:E4**);
  - უჯრები, რომლებშიც მოთავსებულია რესურსების შეზღუდვის მარცხენა მხარე და დამოუკიდებელ ცვლადებზე მარტივი შეზღუდვები (**F8:F10**)
  - ველში – **Set Target Cell** (დადგეს მიზნის უჯრა) – იმ უჯრის მისამართი უნდა მივუთითოთ, რომელშიც მოთავსებულია მიზნის ფუნქციის გამოსათვლელი ფორმულა. აუცილებელია, რომ ეს ფორმულა დაკავშირებული იყოს ცვლად უჯრებთან (ამ შემთხვევაში **B4:E4** უჯრები)
  - მიზნის ფუნქციის ოპტიმიზების კრიტერიუმი შეიძლება იყოს მოცემული მინიმუმით, მაქსიმუმით ან რაიმე რიცხვითი მნიშვნელობით. ამის მიხედვით **Equal To** (უდრის) ველში უნდა მოვნიშნოთ შესაბამისი მნიშვნელობა.
  - ველში **By Changing Cells** (უჯრების ცვლილებით) უნდა მივუთითოთ ცვალებადი უჯრების დიაპაზონი **\$B\$4:\$E\$4**.
  - **Guess** (გაგრძელება) ღილაკზე დაწყაპუნებით Excel-ი გამოყოფს იმ უჯრათა არეს, რომელსაც მიზნის ფუნქცია პირდაპირ ან ირიბად მიმართავს.
  - იმისათვის, რომ ველში **Subject to the Constraints** (შეზღუდვები) შევიტანოთ შეზღუდვები, დავაწყაპუნოთ ღილაკზე **Add** (დამატება). გაიხსნება დიალოგური ფანჯარა **Add Constraint** (შეზღუდვების დამატება) (ნახ.7.12).



ნახ. 7.12

ამ ფანჯარის მარცხენა ნაწილში იმ უჯრის მისამართი უნდა შევიტანოთ, რომლის შესაბამისი გამოსახულება მოცემულ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. მარჯვენა ველში კი უნდა შევიტანოთ შეზღუდვის მნიშვნელობა, ან იმ უჯრის მისამართი, რომელშიც ეს შეზღუდვაა მოცემული.


ამ ორ ველს შორის მოთავსებულია ველი, რომელიც ჩამონათვალის ველს წარმოადგენს და მოცემულია იმ თანაფარდობების შესაბამისი გამოსახულებები, რომლებიც მარჯვენა და მარცხენა ველებს შორის შეიძლება არსებობდნენ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შევიტანოთ 7 შეზღუდვა. ყოველი შეზღუდვის შეტანის შემდეგ ვაწყაპუნებოთ ღილაკზე **Add**. ბოლო შეზღუდვის შეტანის შემდეგ კი ღილაკზე **OK**. ამის შემდეგ დიალოგური ფანჯარა(ნახ. 7.13). დაიხურება და **Solver Parameters** (ამოხსნის პარამეტრები) დიალოგური ფანჯარის **Subject to the Constraints** ველში გამოჩნდება ყველა ჩვენს მიერ შეტანილი შეზღუდვა.

მას შემდეგ რაც ყველა შეზღუდვა შეტანილია, **Change** და **Delete** ღილაკების საშუალებით შესაძლებელია შეზღუდვებში ცვლილების შეტანა ან საჭიროების შემთხვევაში რომელიმე შეზღუდვის წაშლა.

- ამის შემდეგ უნდა დაზუსტდეს გამოთვლის მეთოდის განმსაზღვრელი პარამეტრები. ამისათვის **Solver Parameters** დიალოგური ფანჯარის **Options**


დილაკზე დაჭერით გადავდივართ დიალოგურ ფანჯარაში **Solver Options** (ნახ.7.14). ამ ფანჯარაში მოცემულ ველებში შეტანილია პირობები, რომელშიც უნდა შესრულდეს გამოთვლა. ესენია: გამოთვლის მაქსიმალური დრო; იტერაციების რაოდენობა; სიზუსტე; დასაშვები გადახრა; კონვერგენცია. რადგან ამოცანა წრფივია, ამიტომ უნდა ჩავრთოთ ველი **Assume Linear Model**. ასევე მოვნიშნოთ ველებში: **Estimates**(შეფასებები) – **Tangent** (წრფივი), **Derivatives**(სხვაობები) – **Forward**(პირდაპირი), **Search**(ძებნის მეთოდი) – **Newton** (ნიუტონის).



ნახ.7.13

შემდეგ **OK** დილაკით დაგბრუნდეთ **Solver Parameters** დიალოგურ ფანჯარაში და მივცეთ ბრძანება **Solver**.

ეკრანზე გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა (ნახ.7.14) **Solver Results** (გამოთვლის შედეგები).



ნახ.7.14

მოვნიშნოთ ოფცია **Keep Solver Solutions** (დავაფიქსიროთ ამონასნი) და მივცეთ **OK**.

G5		$=B5*B4+C5*C4+D5*D4+E5*E4$					
	A	B	C	D	E	F	G
1	საწარმოო პროგრამის განსაზღვრის ამოცანა						
2							
3	პროდუქციის სახეები	A1	A2	A3	A4		
4	წარმოების მოცულობა	1	9,5	4,5	1	საერთო მოგება	
5	ერთეული მოგება	60,0	70,0	120,0	130,0		1395
6							
7	შეზღუდვები რესურსებზე					საჭიროა	გვაქვს
8	რესურსი 1	1,0	1,0	1,0	1,0	16	16,0
9	რესურსი 2	4,0	4,0	10,0	13,0	100	100,0
10	რესურსი 3	6,0	5,0	4,0	3,0	74,5	110,0
11							
12	შეზღუდვები წარმოების მოცულობაზე						
13	ქვედა ზღვარი	1,0	2,0	2,0	1,0		
14	ზედა ზღვარი	4,0			1,0		
15							

ცხრ.7.14 ოპტიმალური გადაწყვეტილების შედეგები

მივიღეთ ამოხსნის შედეგი. პროგრამამ განსაზღვრა წარმოების მოცულობა თითოეული სახის პროდუქციისათვის და მიზნის ფუნქციის შესაბამისი მნიშვნელობა, რომელიც მოგებას გამოხატავს. (ცხრ.7.14)

ოპტიმიზების მთელრიცხვა წრფივი ამოცანა. როდესაც წრფივ ამოცანაში რამდენიმე ან უკელა დამოუკიდებელი ცვლადი განისაზღვრება, როგორც მთელი რიცხვი, ამოცანა მთელრიცხვა წრფივი დაპროგრამების ამოცანებს იქცევთვნება. ბიზნესის მრავალი ამოცანა მოითხოვს მთელრიცხვა გადაწყვეტას.

თუ მივუბრუნდებით ამოცანას საწარმოო პროგრამის განსაზღვრის შესახებ, მთელრიცხვა ამონახსნის მისაღებად უნდა დავამატოთ შეზღუდვა:

$$\$B\$4:\$E\$4 - \text{integer} \quad (\text{ნახ.7.15})$$



ნახ. 7.15

ამ შეზღუდვის შეტანის შემდეგ ამოცანის პასუხი შეიცვლება. ამასთან ერთად პარამეტრების options ფანჯარაში შესაძლო გადახრის მნიშვნელობა სტანდარტულად არის 5%. მთელრიცხვა ამონახსნისას ეს მნიშვნელობა უნდა შემცირდეს 0-მდე.

### ანგარიშების ანალიზი

ხშირად ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება საკმარისი არ არის. სასურველია მიღებული შედეგების გამოკვლევა, რათა პასუხი გაეცეს საკითხის შესწავლისას წარმოქმნილ დამატებით შეკითხვებს. მაგალითად, საინტერესოა თუ რამდენად მგრძნობიარეა მიღებული ოპტიმალური გადაწყვეტილების შედეგი

მოდელის საწყისი პარამეტრების ცვლილების მიმართ. ამას გარკვეულწილად ეხმარება **Solver Results** (გამოთვლის შედეგები) ფანჯარაში წარმოდგენილი ანგარიშები, რომლებიც მიღებული ოპტიმალური გადაწყვეტილების შედეგების საფუძველზეა შედგენილი. ასეთი ანგარიში სამი სახისაა: ანგარიში შედეგების მიხედვით (**Answer**) (ცხრ.7.15), ანგარიში მდგრადობის მიხედვით (**Sensitivity**) (ცხრ.7.16) და ანგარიში შეზღუდვების მიხედვით (**Limits**) (ცხრ.7.17).

1	Microsoft Excel 10.0 Answer Report					
2	Worksheet: [crpivioptomozeba.xls]Sheet1					
3	Report Created: 25.04.2011 19:25:48					
6	<b>Target Cell (Max)</b>					
7	Cell	Name	Original Value			
8	\$G\$5	საურთო მოგება	0			
9			1395			
10						
11	<b>Adjustable Cells</b>					
12	Cell	Name	Original Value			
13	\$B\$4	წარმოების მოცულობა A1	0			
14	\$C\$4	წარმოების მოცულობა A2	0			
15	\$D\$4	წარმოების მოცულობა A3	0			
16	\$E\$4	წარმოების მოცულობა A4	0			
17			1			
18						
19	<b>Constraints</b>					
20	Cell	Name	Cell Value	Formula	Status	Slack
21	\$F\$8	რესურსი 1 საჭიროა	16	\$F\$8<=\$G\$8	Binding	0
22	\$F\$9	რესურსი 2 საჭიროა	100	\$F\$9<=\$G\$9	Binding	0
23	\$F\$10	რესურსი 3 საჭიროა	74,5	\$F\$10<=\$G\$10	Not Binding	35,5
24	\$B\$4	წარმოების მოცულობა A1	1	\$B\$4>=1	Binding	0
25	\$C\$4	წარმოების მოცულობა A2	9,5	\$C\$4>=2	Not Binding	7,5
26	\$D\$4	წარმოების მოცულობა A3	4,5	\$D\$4>=2	Not Binding	2,5
27	\$E\$4	წარმოების მოცულობა A4	1	\$E\$4>=1	Not Binding	0

ცხრ..7.15 ანგარიში შედეგების მიხედვით

**ანგარიში შედეგების მიხედვით.** ცხრ.7.15-ზე მოცემულია სამი ნაწილისაგად შედგენილი ცხრილი, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს ანალიზი შედეგების მიხედვით..

ცხრილის პირველ ნაწილში მოცემულია მიზნის ფუნქციის შემცველი უჯრის საწყისი და საბოლოო, ოპტიმალური მნიშვნელობა.

მეორე ნაწილში მოცემულია დამოუკიდებელი ცვლადების საწყისი და საბოლოო მნიშვნელობები. ეს მნიშვნელობები მოცემულია მათთვის წინასწარ გამოყოფილ ე.წ. ცვალებად უჯრებში.

მესამენაწილი შეზღუდვების შესახებ ინფორმაციას შეიცავს. სვეტში **Cell Value** (უჯრის მნიშვნელობა), მოცემულია საჭირო რესურსების და დამოუკიდებელი ცვლადების ოპტიმალური მნიშვნელობები. სვეტში **Formula** რესურსებზე და დამოუკიდებელ ცვლადებზე შეზღუდვებს შეიცავს. შეზღუდვები ჩაწერილია იმ უჯრების მისამართების მითითებით, რომლებშიც ეს მონაცემებია მოყვანილი. სვეტში **Status** (მდგომარეობა) განსაზღვრავს, არის თუ არა სავალდებულო ესა თუ ის შეზღუდვა. **Binding** (სავალდებულო) არის შეზღუდვა, რომელიც ოპტიმალური გადაწყვეტილების რეალიზებისას მკაცრი ტოლობის სახით არის მოცემული. თუ დავაკვირდებით, რომ რესურსები 1 და 2 ოპტიმალური

გადაწყვეტილებისას სრულად გამოიყენება (ნარჩენის გარეშე), ამიტომ ის განსაზღვრულია, როგორც სავალდებულო, ანუ დეფიციტური.

ბოლო, **Slack** (განსხვავება) სვეტში, მოცემულია სხვაობა პროდუქციის გამოშვების მიმართ შეზღუდვებსა და მის ოპტიმალურ მნიშვნელობებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შედეგების მიხედვით მომხმარებელს არ აძლევს რაიმე დამატებით ინფორმაციას, მისი მისი ასეთი ფორმით წარმოდგენა შესაძლებლობას იძლევა სწრაფად და იოლად გამოიყენოს მიღებული შედეგები, როგორც მენეჯერის მიერ შედგენილი მართვის გადაწყვეტილების ანგარიშის ნაწილი.

**ანგარიში მდგრადობის მიხედვით.** ცხრ.7.16-ზე მოყვანილია წრფივი ამოცანის ანალიზის მდგრადობის მიხედვით.

A	B	C	D	E	F	G	H
1	Microsoft Excel 10.0 Sensitivity Report						
2	Worksheet: [crpivioptomozeba.xls]Sheet1						
3	Report Created: 25.04.2011 21:10:33						
4							
5							
6	Adjustable Cells						
7	Cell	Name	Final Value	Reduced Cost	Objective Coefficient	Allowable Increase	Allowable Decrease
9	\$B\$4 წარმოების მოცულობა	A1	1	-10	60	10	1E+30
10	\$C\$4 წარმოების მოცულობა	A2	9,5	0	70	30	10
11	\$D\$4 წარმოების მოცულობა	A3	4,5	0	120	55	10
12	\$E\$4 წარმოების მოცულობა	A4	1	-15	130	15	1E+30
13							
14	Constraints						
15	Cell	Name	Final Value	Shadow Price	Constraint R.H. Side	Allowable Increase	Allowable Decrease
17	\$F\$8 რესურსი 1 საჭიროა		16	36,666667	16	3,75	4,5
18	\$F\$9 რესურსი 2 საჭიროა		100	8,3333333	100	45	15
19	\$F\$10 რესურსი 3 საჭიროა		74,5	0	110	1E+30	35,5

### ცხრ.7.16 ანგარიში მდგრადობის მიხედვით

ეს ანგარიში შეიცავს ინფორმაციას დამოუკიდებელი ცვლადების და შეზღუდვების შესახებ.

ეს ინფორმაცია დაკავშირებულია წრფივი ამოცანების ოპტიმიზებისას სიმპლექს მეთოდის გამოყენებასთან. ეს მეთოდი წრფივ პროგრამირებას მიეკუთვნება. ის საშუალებას იძლევა შევაფასოთ, თუ რამდენად მგრძნობიარება მიღებული ოპტიმალური გადაწყვეტილება მოდელის პარამეტრების შესაძლო ცვლილებების მიმართ. ამ ანგარიშის ყოველი ცხრილის თითოეული სტრიქონი გვიჩვენება, თუ როგორი ცვლილების ჩატარებაა შესაძლებელი უჯრაში, (სვეტი **Cell**), იმ პირობებში, როდესაც ყველა სხვა დანარჩენი უჯრის მნიშვნელობა ოპრიმალური ამონასსნით განისაზღვრება.

ნაწილი **Constraints** (შეზღუდვები), დაკავშირებულია სავალდებულო შეზღუდვების ანალიზთან, იმის დადგენასთან, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ შეზღუდვების მარჯვენა ნაწილების (დეფიციტური რესურსის მარაგის)

ცვლილება ისე, რომ უცვლელი დარჩეს **ფარული ფასი** ანუ რესურსის ფასეულობა.

**რესურსის ფარული ფასი** გვიჩვენებს, თუ რამდენად გაიზრდება მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა, თუკი დეფიციტური რესურსის მარაგს ერთი ერთეულით გავზრდით.

ფარული ფასი განსაზღვრავს სისტემის რეორგანიზაციის შესაძლებლობებს დეფიციტური რესურსის გაზრდის ხარჯზე. ამასთან ერთად, ფარული ფასი საშუალებას იძლევა წარმოების გაფართოებისას დავალაგოთ რესურსები მათი სარგებლიანობის მიხედვით. უპირატესობა ენიჭება იმ რესურსს, რომლის ფარული ფასიც მეტია.

სვეტებში **Allowable Increase** (დასაშვები გაზრდა) და **Allowable Decrease** (დასაშვები შემცირება) მოცემულია რესურსების იმ შესაძლო ცვლილებების დიაპაზონი, რომელიც არ შეცვლის ფარული ფასის მნიშვნელობას მოცემული ოპტიმალური გადაწყვეტილების პირობებში.

ნებისმიერი არადეფიციტური რესურსისათვის **ფარული ფასი ნულის ტოლია**. ამიტომ ამ სახის რესურსის შემთხვევაში საინტერესო პასუხის გაცემა მხოლოდ ერთ შეკითხვაზე: რამდენით შეიძლება რესურსის მარაგის შემცირება მოცემული ოპტიმალური გადაწყვეტილების დროს.

ანგარიშის პირველი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას ცვლადი უჯრების შესახებ. ამ უჯრებში მოთავსებულია პროდუქციის წარმოების მოცულობის მნიშვნელობები. სვეტში **Final Value** (საბოლოო მნიშვნელობა) მოყვანილია ცვლადების ის მნიშვნელობები, რომლებიც ოპტიმალურ გადაწყვეტას შეესაბამებიან. სვეტში **Reduced Cost** (რედუცირებული დირებულება) მოთავსებულია ამავე დასახელების მაჩვენებლები თითოეული სახის პროდუქციისათვის.

**მაჩვენებელი – პროდუქციის ერთეულის რედუცირებული დირებულება ანუ ნორმირებული დირებულება განისაზღვრება – როგორც სხვაობა მის ღირებულებასა და მისი დამზადების საწარმოო ხარჯს შორის.**

რედუცირებული დირებულება ყოველი პროდუქტისათვის ასე განისაზღვრება:

= ერთეული მოგება – ჯამი თითოეული რესურსის ფარული ფასის ნამრავლისა ნაწარმის ერთეულში რესურსის როგორც სხვაობა მის ღირებულებასა და მისი დამზადების საწარმოო ხარჯს შორის.

მაგალითად პირველი პროდუქციის რედუცირებული დირებულება

$$= 60 - (1 \times 3,666 + 4 \times 8,333 + 6 \times 0)$$

რედუცირებული დირებულების ნულოვანი მნიშვნელობა იმაზე მეტყველებს, რომ სრულად არის რეალიზებული ამ სახის საწარმოო საქმიანობისას მოგების მიღებასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობები. ამაში მდგომარეობს ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტა.

ზოგადად, რედუცირებული დირებულება შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი. ეს იმ დისბალანსზე მიუთითებს, რომელიც პროდუქციის ერთეულის ფასსა და მის დასამზადებლად საჭირო საწარმოო დანახარჯებს შორის არსებობს.

**ანგარიში შეზღუდვების მიხედვით.** შეზღუდვების მიხედვით ანგარიში მოცემულია ცხრ.7.17-ზე. ეს ანგარიში შეიცავს მიზნის ფუნქციის ოპტიმალურ მნიშვნელობას და დამოუკიდებელი ცვლადების შესაბამის მნიშვნელობებს. ანგარიში საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ როგორ შეიცვლება მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა, თუ დამოუკიდებელი ცვლადები თავის ზღვრულ (მაქსიმალურ და მინიმალურ) მნიშვნელობებს მიიღებენ, ხოლო ყველა სხვა პირობა უცვლელი დარჩება.

A	B	C	D	E	F	G	H	I	J
1		Microsoft Excel 10.0 Limits Report							
2		Worksheet: [crpivioptomozeba.xls]Limits Report 1							
3		Report Created: 25.04.2011 23:38:50							
4									
5									
6		Target							
7	Cell	Name	Value						
8	\$G\$5	საერთო მოგება	1395						
9									
10									
11		Adjustable							
12	Cell	Name	Value	Lower	Target	Upper	Target		
13	\$B\$4	წარმოების მოცულობა A1	1	1	1395	1	1395		
14	\$C\$4	წარმოების მოცულობა A2	9,5	2	870	9,5	1395		
15	\$D\$4	წარმოების მოცულობა A3	4,5	2	1095	4,5	1395		
16	\$E\$4	წარმოების მოცულობა A4	1	1	1395	1	1395		
17									

### ცხრ.7.17 ანგარიში შეზღუდვების მიხედვით

ცვლადების ეს მნიშვნელობები და მათი შესაბამისი მიზნის ფუნქციის მნიშვნელობები, შესაბამისად, მოცემულია სვეტებში **Lover limit** (ქვედა ზღვარი), **Upper Limit** (ზედა ზღვარი) და **Target Result** (მიზნის მნიშვნელობა).

#### ინგესტიციების მოსაზიდად თპტიმალური გეგმის შედგენის ამოცანა

ფირმას მიღებული აქვს ნებართვა სამი საცხოვრებელი სახლის აშენების თაობაზე ქალაქის სხვადასხვა უბანში სამი წლის განმავლობაში. საცხოვრებელი სახლების ფართი არის  $8000\text{m}^2$ ,  $10000\text{m}^2$  და  $15000\text{m}^2$ .

ყოველი ობიექტისათვის შექმნილია მშენებლობის ეტაპობრივი გეგმა და შეფასებულია ყოველთვიური საჭირო ხარჯი. ხარჯში შედის საწარმოო დანახახოვნები (ტექნიკა, სამუშაო ძალა, სამშენებლო მასალები) და იმ ადრე აღებული კრედიტების დაფარვის ხარჯი, რომელიც ფირმამ აიღო ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტების შექმნისა და პროექტის დამტკიცების ხარჯებისათვის.

რესურსის შეზღუდვის გამო ყველა სახლის მშენებლობის ერთდროულად დაწყება არ იყო შესაძლებელი. საწარმოო შესაძლებლობების წინასწარი ანალიზის შედეგად გადაწყვდა, რომ პირველად დაწყებულიყო  $15000 \text{ m}^2$  ფართის, სამი თვის შემდეგ  $10000 \text{ m}^2$  ფართის და 6 თვის შემდეგ  $8000 \text{ m}^2$  ფართის სახლის მშენებლობა.

რადგან მშენებარე ფართის გაყიდვა შეიძლება შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებისთანავე, ანუ მშენებლობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ფირმა ვარაუდობს, რომ იგი შეძლებს ინგესტორების მოზიდვასა და მათთვის ფართის შედავათიან ფასში მიყიდვას მშენებლობის დაწყების ადრეულ ხტადიაზე. სახლის მშენებლობასთან ერთად იზრდება კავადრატული მეტრის ფასი. ამის გამო ფირმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეადგინოს გაყიდვების ისეთი გეგმა, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებული

ხარჯის დაფარვას, მეორეს მხრივ საშუალებას მისცემს მიიღოს მაქსიმალური მოგება.

### ამისათვის საჭიროა:

- 1) შეიქმნას ბინების გაყიდვის ოპტიმალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მოგების მაქსიმუმს საცხოვრებელი ფართის სრული რეალიზებისას;
- 2) განისაზღვროს მოგების ოდენობა ოპტიმალური გეგმის განხორციელების შემთხვევაში;

$x_i$  – ით, სადაც  $i = 1, 2, 3, \dots, 33$ , აღვნიშნოთ გაყიდული ფართები.

$c_i$  – ით,  $i = 1, 2, 3, \dots, 33$ , ავღნიშნოთ კვადრატული მეტრის ფასი მოცემულ დროში შესაბამისი სახლისათვის.

მაშინ ჯამური შემოსავალი მოელ პერიოდში შეადგენს:

$$Z = C_1 X_1 + C_2 X_2 + \dots + C_{33} X_{33} \quad 7.1$$

$Z$  არის ოპტიმიზების ამოცანის მიზნის ფუნქცია.

რადგან გაყიდული ფართების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს რეალურად ასაწენებელი ფართების ჯამს, დაცული უნდა იყოს ბალანსის პირობა, რომელიც შემდეგი განტოლებების აღიწერება:

$$\begin{cases} X_1 + X_2 + \dots + X_{11} = 15000 \\ X_{12} + X_{13} + \dots + X_{24} = 10000 \\ X_{25} + X_{26} + \dots + X_{33} = 8000 \end{cases} \quad 7.2$$

დასმული ამოცანის მიხედვით ყოველ თვეში მიღებული მოგება უნდა ფარავდეს წინა თვის ხარჯს, მათემატიკურად ამ პირობას ექნება შემდეგი სახე:

$$\left\{ \begin{array}{l} 1000X_1 \geq 189\,000, \\ 1050X_2 \geq 283\,500, \\ 1050X_3 \geq 378\,000, \\ 1100X_4 + 1100X_{12} \geq 567\,000 + 272\,160, \\ \cdot \\ \cdot \\ \cdot \\ 1300X_{10} + 1450X_{18} + 800X_{25} \geq 1\,134\,000 \\ \cdot \\ \cdot \\ 1150X_{32} \geq 718\,200 \end{array} \right. \quad 7.3$$

რადგან ყველა ცვლადი დადგებითი უნდა იყოს, ამიტომ შემოგვაქვს შემდეგი შეზღუდვები:

$$X_1 \geq 0, X_2 \geq 0, \dots, X_{33} \geq 0. \quad 7.4$$

ამრიგად მივიღეთ წრფივი დაპროგრამების კლასიკური ამოცანა.

ამოცანის მიზანია მოინახოს ფართების  $\{X_1, X_2, \dots, X_{33}\}$  გაყიდვის ისეთი ცქემა, რომელიც უზრუნველყოფს მიზნის ფუნქციას მაქსიმუმს (7.1), ამასთან დააკმაყოფილებს შეზღუდვებს (7.2), (7.3) და არაუკარყოფითობის პირობებს (7.4).

ცხრ. 7.18 – ზე მოყვანილია გეგმიური დანახარჯები და ის ფასები, რა ფასადაც შეიძლება გაიყიდოს ბინები მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე.

თვე	ფართი 15000 ბ <sup>2</sup>		ფართი 10000 ბ <sup>2</sup>		ფართი 8000 ბ <sup>2</sup>	
	გეგმიური ხარჯი	ფასი 1 ბ <sup>2</sup>	გეგმიური ხარჯი	ფასი 1 ბ <sup>2</sup>	გეგმიური ხარჯი	ფასი 1 ბ <sup>2</sup>
1	0	1000				
2	198 000	1050				
3	283 500	1050				
4	378 000	1100		1100		
5	567 000	1150	0	1100		
6	1 512 000	1180	272 160	1250		
7	1 417 500	1200	408 240	1300		
8	1 417 500	1200	544 320	1359		
9	1 417 500	1250	1 496 880	1400		
10	1 134 000	1300	1 496 880	1450		800
11	1 134 000	1500	1 496 880	1500	0	850
12			1 496 880	1550	239 400	900
13			1 496 880	1600	538 650	950
14			1 360 800	1650	957 600	1000
15			1 360 800	1750	957 600	1050
16			1 088 640	1900	897 750	1100
17			1 088 640		897 750	1500
18					778 050	
					718 200	

## ცხრ.7.18

ამოცანის რეალიზებისათვის Excel -ში შეიტანეთ მონაცემები ცხრ. 7.19-ის მიხედვით.

B24	=SUMPRODUCT(C3:C13;D3:D13)+SUMPRODUCT(G6:G18;H6:H18)+SUMPRODUCT(K12:K20;L12:L20)
Copy of optim nino1	
1	A B C D E F G H I J K L M
2	ობიექტი 1 აღმიური დანახარჯები, \$ უასი, \$/კმ <sup>2</sup> Xi აღმიური დანახარჯები, \$ უასი, \$/კმ <sup>2</sup> Xi აღმიური დანახარჯები, \$ უასი, \$/კმ <sup>2</sup> Xi
3	1 0 1000 X1
4	2 189000 1050 X2
5	3 283000 1050 X3
6	4 378000 1100 X4 1100 X12
7	5 567000 1150 X5 272160 1100 X13
8	6 1512000 1180 X6 408240 1250 X14
9	7 1417000 1200 X7 544320 1300 X15
10	8 1417000 1200 X8 1496000 1359 X16
11	9 1417000 1250 X9 1496000 1400 X17
12	10 1134000 1300 X10 1496000 1450 X18 0 800 X25
13	11 1134000 1300 X11 1496000 1500 X19 239400 850 X26
14	12 1496000 1550 X20 538650 900 X27
15	13 1360000 1600 X21 957600 950 X28
16	14 1360000 1650 X22 957600 1000 X29
17	15 1088640 1750 X23 897750 1050 X30
18	16 1088640 1900 X24 897750 1100 X31
19	17 778050 1150 X32
20	18 718200 1200 X33
21	საურთო ფართი 15000
22	საურთო ფართი 10000
	საურთო ფართი 8000

## ცხრ.7.19

**A** სვეტში შევიტანოთ თვეების მნიშვნელობები, **B** სვეტში პირველი ობიექტისავის შესაბამისი გეგმიური ხარჯი; **C** სვეტში კვადრატული მეტრის ფასი თვეების მიხედვით; **D** სვეტი დავტოვოთ თავისუფალი დამოუკიდებელი ცვლადების მნიშვნელობებისათვის; **E** სვეტში თვალსაჩინოებისათვის შევიტანოთ დამოუკიდებელი ცვლადების სახელები; **F** მეორე ობიექტისათვის ანალოგიურად შევავსოთ **F:I** სვეტები ხოლო მესამე ობიექტისათვის **J:M** სვეტები. 22-ე სტრიქონში შეიტანეთ ობიექტების შესაბამისი საერთო ფართის მნიშვნელობები.

მიზნის ფუნქციის გამოსათვლელად გამოიყენება ფუნქცია **SUMPRODUCT**. ეს ფუნქცია **ტყვილ-ტყვილად** გაამრავლებს გასაყიდი ფართის მნიშვნელობას დამოუკიდებელი ცვლადის შესაბამის მნიშვნელობაზე და შეკრებს ამ ნამრავლებს. მიზნის ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

=SUMPRODUCT(C3:C13;D3:D13)+SUMPRODUCT(G6:G18;H6:H18)+  
SUMPRODUCT(L12:L20;M12:M20). (ნახ.7.20)

შევიტანოთ ეს გამოსახულება **B24** უჯრაში.


**F24** უჯრაში შევიტანოთ გეგმიური საერთო ხარჯის გამოსათვლელი ფორმულა  
= SUM(B3:B13;F6:F18;J12;J20);

**J24** უჯრაში შეიტანეთ მოგების გამოსათვლელი ფორმულა, ანუ შემოსავლისა და ხარჯის სხვაობა = **B24-F24**.

ცხრ.7.20

ცხრ.7.20-ის მიხედვით შევიტანოთ შეზღუდვების მნიშვნელობები. პირველი სამი შეზღუდვა ეხება ფართობების ბალანსს (ფორმულა 7.2). შემდეგი შეზღუდვები კი უზრუნველყოფენ 7.3 პირობების შესრულებას.

გამოვიძახოთ პროგრამა **SOLVER**. შვავსოთ ფანჯრები **Solver parameters** და **Solver Options** ნახ. 7.16-ის მიხედვით.



## 6ას.7.16

შეასრულეთ **Solve**.

Copy of optim nino1														
1		ობიექტი 1					ობიექტი 2					ობიექტი 3		
		გეგმიური დანახარჯები, \$	უასი, \$/კმ	Xi			გეგმიური დანახარჯები , \$	უასი, \$/კმ	Xi			გეგმიური დანახარჯები , \$	უასი, \$/კმ	Xi
3	1	0	1000	189	X1									
4	2	189000	1050	270	X2									
5	3	283000	1050	360	X3									
6	4	378000	1100	763	X4	0	1100	0	X12					
7	5	567000	1150	1670	X5	272160	1100	0	X13					
8	6	1512000	1180	1662	X6	408240	1250	0	X14					
9	7	1417000	1200	2428	X7	544320	1300	0	X15					
10	8	1417000	1200	2428	X8	1496000	1359	0	X16					
11	9	1417000	1250	2104	X9	1496000	1400	0	X17					
12	10	1134000	1300	2207	X10	1496000	1450	0	X18	0	800	0	X25	
13	11	1134000	1300	920	X11	1496000	1500	559	X19	239400	850	0	X26	
14	12					1496000	1550	1495	X20	538650	900	0	X27	
15	13					1360000	1600	1449	X21	957600	950	0	X28	
16	14					1360000	1650	1204	X22	957600	1000	0	X29	
17	15					1088640	1750	1135	X23	897750	1050	0	X30	
18	16					1088640	1900	4159	X24	897750	1100	0	X31	
19	17									778050	1150	625	X32	
20	18									718200	1200	7375	X33	
21														
22			საერთო უართო	15000			საერთო ფ	10000			საერთო ფ	8000		
23		მისამართი				გეგმიური დანახარჯები		29 035 000		მოგება		15 973 907		
24			45008907.41											
25														

## ცხრ. 7.21

ამოცანის შესრულების შედეგი მოცემულია ცხრ.7.21-ზე. მონიშნეთ და გამოიტანეთ სამივე ანგარიშის შესაბამისი გვერდები.

## 7.4 ოპტიმიზების მთელრიცხვა ამოცანა ორობითი ცვლადით

მთელრიცხვა ცვლადს, რომელიც მხოლოდ ორ მნიშვნელობას იდებს, 0 ან 1-ს, ორობითი ანუ ბინარული ეწოდება. ეკონომიკური ამოცანების ამოხსნისას ხშირად მოსახერხებელია ბინარული ცვლადების გამოყენება. განვიხილოთ ასეთი ამოცანის ამოხსნის მაგალითი.

კაპიტალდაბანდების დაგეგმვისას ფინანსური მენეჯერი შემოთავაზებული ინვესტიციური პროექტებიდან იმ პროექტებს ირჩევს, რომელთა უზრუნველყოფა მენეჯერის ხელთ არსებული რესურსებით არის შესაძლებელი. ამასთან იგულისხმება, რომ ყოველი პროექტის რეალიზებას სჭირდება გარკვეული რაოდენობის რესურსი (ფინანსური, მატერიალური, ენერგეტიკული, შრომითი და სხვა.) და კომპანიისათვის მოაქვს შემოსავლის რაღაც ნაკადი. შემოსავლის ეს ნაკადი, დისკონტირებული სახით, შეესაბამება სუფთა მიმდინარე დირებულების სიდიდეს – NPV –ს. ეს სიდიდე თვითეული პროექტისათვის მოცემულია.

ამოცანა მდგომარეობს პროექტების სიმრავლიდან ისეთი პროექტების ერთობლიობის შერჩევაში, რომელიც რესურსზე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, კომპანიისათვის ჯამური სუფთა მიმდინარე დირებულების მაქსიმუმს უზრუნველყოფს.

პროექტი	NPV (ათასი დოლარი)	საჭირო რესურსის მოცულობა (ათასი დოლარი)				
		1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი
1	141	75	25	20	15	10
2	187	90	35	0	0	30
3	121	60	15	15	15	15
4	83	30	20	10	5	5
5	265	100	25	20	20	20
6	127	50	20	10	30	40
არსებული ფინანსები (ათას დოლ.)		250	75	50	50	50

### ცხრ.7.22

ვთქვათ, კომპანიას შესთავაზებს 6 დამოუკიდებელი საინვესტიციო პროექტი. თითოეული გათვლილია 5 წელიწადზე და პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას გულისხმობს. ყოველი მათგანი ძალიან მიმზიდველია, მაგრამ კომპანიას არ გააჩნია ყველა პროექტის შესრულებისათვის საკმარისი რესურსი. ცხრ.7.22 – ში მოყვანილია ექსივე საინვესტიციო პროექტის შესაბამისი საწყისი მონაცემები: საჭირო და არსებული ფინანსური რესურსის მოცულობა წლების მიხედვით, ასევე სუფთა მიმდინარე დირებულების მნიშვნელობები,

ამოცანა მდგომარეობს ამ 6 პროექტიდან ისეთი პროექტების შერჩევაში, რომლებიც ჯამური სუფთა მიმდინარე დირებულების (NPV) მაქსიმალურ მნიშვნელობას უზრუნველყოფენ.

ასეთი სიტუაციის შესაბამისი მოდელის ასაგებად შემოვიტანოთ 6 მართვადი ორობითი ცვლადი:

$X_i = 1$ , თუ  $i - \text{ური პროექტი}$  შერჩეულია,

$X_i = 0$ , თუ  $i - \text{ური პროექტი}$  შერჩეული არ არის,  $i = 1, 2, \dots, 6$ ;

მიზნის ფუნქციას სახე აქვს

$$141X_1 + 187X_2 + 121X_3 + 83X_4 + 265X_5 + 127X_6 \Rightarrow \max$$

ამრიგად, მიზნის ფუნქციის მაქსიმალურ მნიშვნელობას ორობითი ცვლადები უზრუნველყოფენ.

მოცემულია შეზღუდვები რესურსებზე:

$$75X_1 + 90X_2 + 60X_3 + 30X_4 + 100X_5 + 50X_6 \leq 250$$

$$25X_1 + 35X_2 + 15X_3 + 20X_4 + 25X_5 + 20X_6 \leq 75$$

$$20X_1 + 0X_2 + 15X_3 + 10X_4 + 20X_5 + 10X_6 \leq 50$$

$$15X_1 + 0X_2 + 15X_3 + 5X_4 + 20X_5 + 30X_6 \leq 50$$

$$10X_1 + 30X_2 + 15X_3 + 5X_4 + 20X_5 + 40X_6 \leq 50$$

და შეზღუდვები მართვად ცვლადებზე:

$$X_i \leq 1, i = 1, 2, \dots, 6;$$

$$X_i \geq 0, i = 1, 2, \dots, 6; X_i - \text{მოცემული რესურსი, } i = 1, 2, \dots, 6;$$

როგორც ვხედავთ, მიზნის ფუნქციაში ასახულია შემოსავლის სუფთა მიმდინარე დირებულების მაქსიმუმის მოთხოვნა ყველა საინვესტიციო პროექტის მიხედვით. ამოცანის პირობები კი წლების მიხედვით არსებულ და საჭირო რესურსებს შორის ბალანსს უზრუნველყოფენ. ასევე უზრუნველყოფენ ცვლადების ორობითობას.

4	ავირჩიოთ?			რესურსის საჭირო მოცემობა			
5	პროექტი (0=არა, 1=კი)	NPV	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი
6	1	141	75	25	20	15	10
7	2	187	90	35	0	0	30
8	3	121	60	15	15	15	15
9	4	83	30	20	10	5	5
10	5	265	100	25	20	20	20
11	6	127	50	20	10	30	40
12							
13	საჭირო სახსრები		0	0	0	0	0
14	არსებული რესურსი		250	75	50	50	50
15							
16	ჯამური სუფთა მიმდინარე დირებულება		0				

ცხრ.7.23

ამოცანის რეალიზება **Excel** –ში შემდეგნაირად ხდება (ცხრ.7.23):

ყოველი პროექტის შესაბამისი მონაცემები ცალკეულ სტრიქონშია მოყვანილი.


**B6:B11** უჯრები განკუთვნილია 6 ბინარული მართვადი ცვლადისათვის. **D13** –ში

მოცემულია პირველ წელს რესურსზე შეზღუდვების გამოსათვლელი ფორმულა **=SUMPRODUCT(D6:D11;\$B\$6:\$B\$11)**. შემდეგი წლებისთვის ეს ფორმულა გავრცელებულია **E13:H13** –ში.

ამ შეზღუდვების მარჯვენა ნაწილი მოცემულია **D14:H14** უჯრებში.

**D16** უჯრაში შეტანილია მიზნის ფუნქცია: **=SUMPRODUCT(C6:C11;B6:B11)**


ელექტრონულ ცხრილში ამოცანის ამოხსნა ხდება პროგრამით **SOLVER**. ამ პროგრამაში **add** დილაკით შეგვაჭვს მიზნის ფუნქციის და მართვადი ცვლადების მისამართები, ასევე შეზღუდვები მართვად უჯრებზე და რესურსებზე. (ნახ.7.17)



08

## ნახ.7.17

რადგან ამ მოდელში 6 მართვადი ორობითი ცვლადია, არსებობს მისი  $2^6=64$  ამონასნი. ამიტომ უნდა მოვითხოვოთ ყველაზე მაღალი სიზუსტე და **Solver-options** ფანჯარის **Tolerance** ველში დავაყენოთ 0%. (ნახ.7.18)



## ნახ.7.18

მოდელის ამოხსნის საბოლოო სახე 7.24 ცხრილშია მოცემული.  
ორობითი ცვლადები მოდელში სხვადასხვა ლოგიკური პირობების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, თუ განსახილველი პროექტებიდან, რამდენიმე (მაგ. 1, 3 და 6) ალტერნატიული პროექტებია, მაშინ მოდელის პირობებს შეიძლება დავამატოთ:

$$X_1 + X_3 + X_6 = 1.$$

ეს პირობა იმაზე მიგვითოვებს, რომ  $X_1$ ,  $X_3$  და  $X_6$  ცვლადებიდან მხოლოდ ერთს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა 1.

თუ მე-4 პროექტი ეყრდნობა მე-5 პროექტის შედეგებს და ვერ შესრულდება, თუ არ შესრულდა მე-4 პროექტი, მაშინ ემატება პირობა:

$$X_4 - X_5 \leq 0$$

როგორც ჩანს, ეს პირობა არ შესრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არჩეულია მე-4 პროექტი და არ არის არჩეული მე-5 პროექტი.

D16 =SUMPRODUCT(C6:C11;B6:B11)								
A	B	C	D	E	F	G	H	
2								
3								
4	ავირჩიოთ?		რესურსის საჭირო მოცულობა					
5	პროექტი (0=არა, 1=კი)	NPV	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი	
6	1	141	75	25	20	15	10	
7	2	187	90	35	0	0	30	
8	3	121	60	15	15	15	15	
9	4	83	30	20	10	5	5	
10	5	265	100	25	20	20	20	
11	6	127	50	20	10	30	40	
12								
13	საჭირო სახსრები		205	70	50	40	35	
14	არსებული რესურსი		250	75	50	50	50	
15								
16	ჯამური სუფთა მიმდინარე ღირებულება			489				

ცხრ. 7.24

### ბინარული ამოცანის გართულებული მოდელი

ზემოთ განხილულ ამოცანაში მიზნის ფუნქციის მოთხოვნა არის მოგების მაქსიმიზება, ანდანახარჯის მინიმიზება. ეს დამოკიდებულია შემოთავაზებული პროექტების შერჩევაზე. ხშირად, გარკვეული სახის პროდუქციის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული ხარჯის გარდა, საჭიროა წარმოების მოცულობისაგან დამოუკიდებელი ხარჯის გათვალისწინება. ამ ხარჯის გაწევა საჭიროა:

- რაიმე დანადგარის ან სატრანსპორტო საშუალების ყიდვის ან არენდისათვის;
- შერჩეული პროდუქციის გამოშვებისათვის, არსებული დანადგარების გადასაკეთებალად;
- რაიმე საწარმოო მოწყობილობის, ინსტრუმენტის ან დანადგარის დამუშავებისა და შექმნისათვის;
- დამატებითი პერსონალის შესანახად.

ყველა ეს ხარჯი წარმოიქმნება, როდესაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნული პროდუქციის გამოშვების თაობაზე.

დავუშვათ კომპანია სამი სახის პროდუქციას აწარმოებს. ყოველი მათგანის საწარმოებლად იყენებს სამი სახის ტექნოლოგიურ თპერაციას: სახარატოს, სახეებს და სამწყობოს.

ოპერაციები	ოპერაციის ჩატარების დრო			საწარმოო სიმძლავრე. საათი.
	პროდუქცია 1, საათი.	პროდუქცია 2, საათი.	პროდუქცია 3, საათი.	
სახარატო	2	3	6	600
სახეხი	6	3	4	300
სამწყობო	5	6	2	400

#### ცხრ.7.25 დროის ნორმები პროდუქციების სახეების მიხედვით

7.25 ცხრილში მოყვანილია თითეული სახის პროდუქციისათვის ამ ოპერაციების ჩატარების დროის ნორმები და მონაცემები ფირმაში არსებული საწარმოო სიმძლავრეების შესახებ.

ცნობილია, რომ პირველი სახის პროდუქციის ერთეულის წარმოებას და რეალიზებას საერთო მოგებაში  $48\$$  შეაქვს. მეორე და მესამე სახის პროდუქციას კი შესაბამისად  $55\$$  და  $50\$$ .

ყოველი სახის პროდუქციის წარმოება საწარმოო ხაზის მნიშვნელოვნად გადაკეთებას მოითხოვს. ეს გადაკეთება პირველი სახის პროდუქციისათვის ჯდება  $1000\$$ , მეორე სახის პროდუქციისათვის –  $800\$$ , მესამე სახისათვის –  $900\$$ .

მარკეტინგის სამსახურის აზრით პროდუქცია სრულად გაიყიდება. კომპანიის ხელმძღვანელობას კი აინტერესებს, თუ როგორია გამოშვებული პროდუქციის ის ნაკრები, რომელიც მას მაქსიმალურ მოგებას მოუტანს.

ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სამი სახის პროდუქცია გვაქვს, ამოცანის მოდელირებისათვის 6 ცვლადი დაგვჭირდება. ეს ცვლადები შემდეგნაირად განისაზღვრება:

1.  $X_1$  – არის 1 -ური ტიპის პროდუქციის რაოდენობა, რომელიც უნდა გამოუშვას კომპანიამ,  $i = 1, 2, 3$ .

2.  $Y_1 = 1$ , თუ  $X_1 > 0$ ,  $i = 1, 2, 3$ .

$$Y_1 = 0, \text{ თუ } X_1 = 0, i = 1, 2, 3.$$

ამგვარად, გვაქვს სამი მთელრიცხვა  $X_1, X_2$  და  $X_3$  მართვადი ცვლადი, რომლებიც სხვადასხვა სახის პროდუქციის მოცულობას გამოსახავენ. ამასთან ერთად, ყოველ  $X_i$ -ს შესაბამება ორობითი ცვლადი  $Y_i$ , რომელიც 1-ის ტოლია, როდესაც შესაბამისი  $X_i$  დადებითია და 0-ს ტოლი, როდესაც  $X_i$  გაუტოლდება 0-ს.

ზემოთ მოყვანილი ცვლადების საფუძველზე შევადგინოთ ამოცანის მიზნის ფუნქცია:

$$48X_1 + 55X_2 + 50X_3 - 1000 Y_1 - 800 Y_2 - 900 Y_3 \rightarrow \max.$$

როგორც ვხედავთ, მიზნის ფუნქციაში პირველი სამი შესაკრები გამოითვლის საერთო მოგების სიდიდეს სამივე სახის პროდუქციის წარმოებისას. შემდეგი სამი კომპონენტი ამცირებს საერთო მოგებას იმ დანახარჯის თდენობის შესაბამისად, რომელიც საჭიროა საწარმოო ხაზის გადაკეთებისათვის თითოეული პროდუქციის საწარმოებლად.

ეს ამოცანა მოითხოვს მოდელის ცვლადებისათვის რამდენიმე სახის შეზღუდვის შემოტანას. პირველი დაკავშირებულია საწარმოს შეზღუდულ სიმძლავრესთან. საწარმოო სიმძლავრე სამუშაოს სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის შემთხვევაში დამოკიდებული იქნება ქარხანაში შესაბამისი დანადგარების რაოდენობაზე, მათი სამუშაო დროის ეფექტურობაზე და კადრებით უზრუნველყოფაზე. შეზღუდვები საწარმოო სიმძლავრეებზე ასე გამოიყერება:

$$2X_1 + 3X_2 + 6X_3 \leq 600 \rightarrow \text{შეზღუდვები სახარატო ოპერაციებზე},$$

$$6X_1 + 3X_2 + 4X_3 \leq 300 \rightarrow \text{შეზღუდვები სახეხი ოპერაციებზე},$$

$$5X_1 + 6X_2 + 2X_3 \leq 400 \rightarrow \text{შეზღუდვები სამწყობო ოპერაციებზე}.$$

ამ შეზღუდვებს უნდა დაემატოს მოთხოვნა, რომ წარმოების მოცულობა იყოს არაუარყოფითი:

$$X_i \geq 0; i = 1, 2, 3.$$

შეზღუდვებს, რომელიც უნდა  $Y_i$  ორობითმა ცვლადებმა უნდა დააკმაყოფილონ, ასეთი სახე ექნებათ:

$$Y_i \leq 1; \quad i = 1, 2, 3.$$

$$Y_i \geq 0; \quad i = 1, 2, 3.$$

$$Y_i \text{ მთელრიცხვაა, } i = 1, 2, 3.$$

მესამე სახის შეზღუდვა ამყარებს კავშირს  $X_i$  და  $Y_i$  ცვლადებს შორის.

$$X_i \leq M_i Y_i; i = 1, 2, 3.$$

სადაც –  $M_i$  არის  $i$  – ური სახის პროდუქციის წარმოების ზედა ზღვარი.

$M_i$  პარამეტრები შეიძლება შემდეგი მოსაზრების საფუძველზე განისაზღვრონ. ვნახოთ, მაქსიმუმ რა რაოდენობის პირველი სახის პროდუქციის გამოშვება შეუძლია სახარატო საამქროს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახის პროდუქციას არ გამოუშვებს. ამისათვის სახარატო ოპერაციებისათვის დაგუშვათ, რომ  $X_2 = X_3 = 0$  და განვსაზღვროთ  $X_1$  ვნახავთ, რომ  $X_1 = 600/2=300$ .

ანალოგიურად განვსაზღვროთ პირველი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალური შესაძლებლობა სახეს და საამწყობი საამქროებში. შესაბამისად ეს იქნება  $300/6=50$  და  $400/5=80$ . საბოლოოდ გამოშვების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება ყველაზე შრომატევადი სამუშაოს მიხედვით და იქნება  $50-ის$  ტოლი. ამის მიხედვით შესაძლებელია  $M_i$  პარამეტრებისათვის გამოსათვლელად გამოვიყენოთ შემდეგი გამოსახულებები:

$$M_1 = \text{MIN}(600/2, 300/6, 400/5) = 50$$

$$M_2 = \text{MIN}(600/3, 300/3, 400/6) = 66.67$$

$$M_3 = \text{MIN}(600/6, 300/4, 400/2) = 75$$

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოო სიმძლავრეებზე ყველა შეზღუდვა და ყველა კოეფიციენტი არაუარყოფითი სიდიდეებია. საბოლოო შეზღუდვებს, რომლებიც ამყარებენ კავშირს  $X_i$  და  $Y_i$  ცვლადებს შორის, ექნებათ შემდეგი სახე:

$$X_1 - 50Y_1 \leq 0$$

$$X_2 - 66.67Y_2 \leq 0$$

$$X_3 - 75Y_3 \leq 0$$

მოდელის საწყისი მონაცემები გადავიტანოთ ელექტრონულ ცხრილში(7.20).

**B4:D4** უჯრები გამოვყოთ საძებნი  $X_1$ ,  $X_2$ ,  $X_3$  ცვლადებისათვის, რომლებიც თითოეული გამოსაშვები პროდუქციის მოცულობას განსაზღვრავენ. ბინარული  $Y_1$ ,  $Y_2$  და  $Y_3$  ცვლადებისათვის გამოვყოთ **B4:B14** უჯრები. მიზნის ფუნქციის კოეფიციენტები შევიტანოთ **B6:D7** უჯრებში. მიზნის ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

#### = SUMPRODUCT(B6:D6; B4:D4)- SUMPRODUCT(B7:D7;B14:D14)

ეს ფორმულა შევიტანოთ **F7** უჯრაში.

**B10:D10** შეიცავენ შრომატევადობის (დროის) ნორმებს შესრულებული ოპერაციების მიხედვით. ეს ნორმები გამოეცნებული ტექნოლოგიების შესაბამისად განისაზღვრება. სამუშაოს სახეობის მიხედვით საჭირო დროის რაოდენობის განმსაზღვრელი ფორმულა:

### = SUMPRODUCT(B10:D10; \$B\$4:\$D\$4)

შევიტანოთ **E10** უჯრაში და გავაკრცელოთ **E11,E12** უჯრებზე.  
**F10:F12** უჯრებში შევიტანოთ საწარმოს განკარგულებაში არსებული საათების  
 მოცულობა თითოეული ტექნოლოგიური ოპერაციის მიხედვით.

ბოლოს, წარმოების მოცულობასა და ბინარულ ცვლადებს შორის კაგშირებზე  
 შეზღუდვების გამოსათვლელ ფორმულებს აქვთ შემდეგი სახე:


$$\begin{aligned}
 &=B4-\text{MIN}(F10/B10;F11/B11;F12/B12)*B14 \\
 &=C4-\text{MIN}(F10/C10;F11/C11;F12/C12)*C14 \\
 &=D4-\text{MIN}(F10/D10;F11/D11;F12/D12)*D14
 \end{aligned}$$

	A	B	C	D	E	F
საწარმოო პროგრამის განსაზღვრა(გართულებული)						
1						
2						
3		პროდუქცია 1	პროდუქცია 2	პროდუქცია 3		
4	წარმოების მოცულობა					
5						
6	ერთეული მოგება	48	55	50	მოგება	
7	გადაკეთების ხარჯი	1000	800	900		0
8						
9	რესურსები	საათების რაოდენობა 1 ნაკეთობაზე			საჭიროა გვაქვს	
10	სახარატო ოპერაცია	2	3	6	0	600
11	საგლინავი ოპერაცია	6	3	4	0	300
12	საამწყობო ოპერაცია	5	6	2	0	400
13						
14	თრობითი ცვლადები					
15	შეზღუდვები კაგშირებზე	0	0	0		
16						

ცხრ.7.26 საწარმოო პროგრამის განსაზღვრის გართულებული მოდელი.

ცხრ.7.26-ში ნაჩვენებია ამოცანის შესაბამისი საწყისი მონაცემებისა და  
 შეზღუდვების ცხრილი.


გადავიდეთ ამოცანის ამოხსნაზე. **Solver** პროგრამაში შევვლის შემდეგ  
 გაიხსნება ფანჯარა **Solver Parameters** (ნახ.7.19).



ნახ.7.19 მონაცემების შესატანი დიალოგური ფანჯარა

ამ ფანჯარაში მივუთითოთ მიზნის ფუნქციისა და ცვლადი (მართვადი) უჯრების მისამართები. ასევე შევიტანოთ ამოცანის შეზღუდვები: **Add** ღილაკის მეშვეობით გამოვა ფანჯარა, რომელშიც შევიტანოთ შეზღუდვების პირობებს.

ღილაკით **Options** გაიხსნება პარამეტრების ფანჯარა, რომელშიც უნდა შევარჩიოთ ამოხსნის პარამეტრები. (ნახ.7.20)



ნახ.7.20 ამოცანის პარამეტრების დაყენება

ამის შემდეგ **OK** ღილაკით დავუბრუნდეთ **Solver Parameters** ფანჯარას და **Solve** ღილაკით შევასრულოთ ამოცანა. შედეგიად. მივიღებთ ოპტიმალურ გადაწყვეტილების შესაბამის შედეგი ( ცხრ.7.27).

5

F7	=SUMPRODUCT(B6:D6,B4:D4)-SUMPRODUCT(B7:D7,B14:D14)	A	B	C	D	E	F
საწარმოო პროგრამის განსაზღვრა(გართულებული)							
1							
2							
3		პროდუქტია 1	პროდუქტია 2	პროდუქტია 3			
4	წარმოების მოცულობა		0	55,56	33,33		
5							
6	ერთეული მოგება		48	55	50		მოგება
7	გადაკეთების სარჯი		1000	800	900		3022,22
8							
9	რესურსები	საათების რაოდენობა 1	ნაკეთობაზე	საჭიროა	გგაქს		
10	სახარატო ოპერაცია	2	3	6	366,67	600	
11	საგლინავი ოპერაცია	6	3	4	300	300	
12	საამწყობო ოპერაცია	5	6	2	400	400	
13							
14	ორობითი ცვლადები	0	1	1			
15	შეზღუდვები კაგშირებზე	0	-11,11	-41,67			

ცხრ. 7.27 საწარმოო პროგრამის განსაზღვრის რთული მოდელის ოპტიმალური გადაწყვეტა

რადგან ამოცანის ამოხსნისას არ მოგვითხოვია, რომ ამონახსნი მთელრიცხვა ყოფილიყო, ამან განაპირობა მიღებული პასუხები. თუ მოგითხოვოთ, რომ ამონახსნი იყოს მთელრიცხვა და დავუმატებო შესაბამის შეზღუდვებს X<sub>i</sub>-სათვის, ამოცანის განმეორებითი ამოხსნის შემთხვევაში მივიღებთ მთელრიცხვა ამონახსნს. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი მოგების მნიშვნელობა ოდნავ შემცირდება.

### 7.5 ოპტიმიზების არაწრფივი ამოცანა

როდესაც მიზნის ფუნქცია და შეზღუდვები არ არიან მართვადი ცვლადების წრფივი ფუნქციები, ასეთ ამოცანას არაწრფივი ეწოდება და მისი ამოხსნა პრინციპულად განსხვავებულ მეთოდებს მოითხოვს. ამ მეთოდებს არაწრფივი დაპროგრამების მეთოდები ეწოდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ არაწრფივი დაპროგრამების ამოცანების ამოხსნის მეთოდები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან წრფივი დაპროგრამების მეთოდებისაგან, წრფივი და არაწრფივი ამოცანების გადაწყვეტის ტექნიკულოგიებს ელექტრონულ ცხრილში ბევრი საერთო აქვთ.

განვიხილოთ ელექტრონული ცხრილის საშუალებით არაწრფივი ამოცანის ამოხსნის თავისებურებები ჩვენთვის უკვე ცნობილი კომპანიის ოპტიმალური საწარმოო პროგრამის განსაზღვრის ამოცანის მაგალითზე. ამისათვის ამოცანაში უნდა შევიტანოთ შემდეგი დამატებები.

როდესაც ამოცანის წრფივ მოდელს ვიხილავდით, ვთვლიდით, რომ მოგება საწარმოო პროდუქციის მიხედვით ცნობილია და საჭირო იყო წარმოების ოპტიმალური მოცულობების განსაზღვრა. ხშირად მენეჯერს ესაჭიროება არა მხოლოდ წარმოების მოცულობის განსაზღვრა, არამედ ასევე იმ ფასის დადგენა, რომლითაც ამ პროდუქციის რეალიზება იქნება შესაძლებელი. ასეთ დროს ერთეული მოგება, ისე როგორც წარმოების მოცულობა, მართვადი ცვლადი ხდება.

ადგენს რა ფასს პროდუქციის მოგების ცვლილების მიხედვით, მენეჯერი თვლის, რომ ზედმეტად მაღალმა ფასმა შეიძლება მოთხოვნის კლება გამოიწვიოს. ამიტომ გამოცდილი მენეჯერი წინასწარ დაუკავთავს მარკეტოლოგებს მოთხოვნის ფასის სიდიდეზე დამოკიდებულების გამოკვლევას. დავუშვათ ჩატარებულმა მარკეტინგულმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ წარმოებული პროდუქციის ერთეულის ფასი არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს, ხოლო მოთხოვნის დამოკიდებულება ფასზე ასე გამოისახება:

- მოთხოვნა პირველი სახის პროდუქციაზე  $M_1=300-0,106P_1$ ,
- მოთხოვნა მეორე სახის პროდუქციაზე  $M_2=325-0,150P_2$
- მოთხოვნა მესამე სახის პროდუქციაზე  $M_3=310-0,133P_3$
- მოთხოვნა მეოთხე სახის პროდუქციაზე  $M_4=280-0,123P_4$

სადაც  $P_1, P_2, P_3, P_4$  – არის თითოეული პროდუქციის ერთეულის ფასი;

$M_1, M_2, M_3, M_4$  – არის მოთხოვნა თითოეული სახის პროდუქციაზე.

ყოველი პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითდირებულება C შესაბამისად არის:

$$C_1=1520$$

$$C_2=1400$$

$$C_3=1800$$

$$C_4=1680$$

ამ დროს წარმოების პირობები, რომლებიც რესურსის კოეფიციენტებს ახასიათებენ, არ შეცვლილა, ხოლო რესურსის მარაგი გაიზარდა და შესაბამისად გახდა 160, 1300, 1100.

როგორც ვხედავთ, ცვლადები  $M_1, M_2, M_3, M_4$  არ არიან მართვადი ამოცანის ასეთნაირად დასმისას. მათი მნიშვნელობები არ განისაზღვრება მენეჯერის მიერ. ისინი დამოკიდებულია  $P_1, P_2, P_3, P_4$  დადგენილ ფასებზე.

მიზნის ფუნქციაც ამ შემთხვევაში უნდა გამოხატავდეს მოგების მაქსიმიზების მოთხოვნას. რადგან ეხლა ერთეული მოგება არ არის მოცემული, იგი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა ფასსა და თვითდირებულებას შორის. მიზნის ფუნქციას ასეთ შემთხვევაში აქვს შემდეგი სახე:

$$(P_1-1520)M_1+(P_2-1400)M_2+(P_3-1800)M_3+(P_4-1600)M_4 = \text{MAX}$$

თუ ამ მიზნის ფუნქციაში შევიტანო ცვლადების იმ მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნას, მიზნის ფუნქციას ექნება სახე:

$$-0,106P_1^2+461,12P_1-0,15P_2^2+535P_2-0,133P_3^2+549,4P_3-0,123P_4^2+486,64P_4-1939400$$

მიღებული მიზნის ფუნქცია დამოუკიდებელი ცვლადების მიმართ არ არის წრფივი, რადგან  $P_1, P_2, P_3, P_4$  ცვლადები მეორე ხარისხით არის წარმოდგენილი.

შევქმნათ შეზღუდვების სისტემა. ვინაიდან წრფივ მოდელთან შედარებით წარმოების პირობები არ შეცვლილა, ამიტომ გვაქვს რესურსებზე შეზღუდვების შემდეგი სისტემა:

$$R_1=1M_1+1M_2+1M_3+1M_4 \leq 160$$

$$R_2=2M_1+6M_2+10M_3+13M_4 \leq 1300$$

$$R_3=6M_1+5M_2+4M_3+3M_4 \leq 1100$$

სადაც

$$M_1=300-0,106P_1,$$

$$M_2=325-0,150P_2,$$

$$M_3=310-0,133P_3,$$

$$M_4=280-0,123P_4.$$

(7.7)

და აგრეთვე

$$P_1, P_2, P_3, P_4 \leq 2500$$

უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოთხოვნის მოცულობების მნიშვნელობებს თითოეული პროდუქციის მიხედვით შევიტანო რესურსების შეზღუდვების ფორმულებში, მივიღებთ რესურსებზე შეზღუდვებს, როგორც მართვადი ცვლადების  $P_1, P_2, P_3, P_4$ -ს ფუნქციებს.

ისევე, როგორც წრფივი ამოცანის ამოხსნისას, გადავიტანოთ აგებული მოდელი ელექტრონულ ცხრილში(ცხრ.7.28).

**B3:E3** უჯრები გამოყოფილია პროდუქციის ფასებისათვის. ისინი ოპტიმიზების ცვლადებს წარმოადგენება.

**B4:E4** უჯრებში ჩაწერილია წარმოების ხარჯი პროდუქციის სახეობის მიხედვით.

**B5:E5** უჯრებში შეტანილია ფორმულები, რომლებიც გამოითვლიან ერთეულ მოგებას, როგორც სხვაობას ფასსა და დანახარჯს შორის. მაგალითად **B5** უჯრაში შეტანილია ფორმულა **=B3-B4.**

**B7:E7** უჯრებში შეტანილია ფორმულები მოთხოვნის სიდიდის დასადგენად შესაბამისი პროდუქციის ფასების დონეების მიხედვით. ამ ფორმულების საწყისი სახე შეესაბამება (7.7) ფორმულებს. მაგალითად **B7** უჯრაში შეტანილია ფორმულა **= 300-0,106\*B3** და ა.შ.

**G11:G13** უჯრებში შეტანილია ფორმულები პროდუქციის სახეების მიხედვით რესურსებზე მოთხოვნების გამოსათვლელად. მაგალითად **G11** უჯრაში შეტანილია ფორმულა  $=B7*B11+C7*C11+D7*D11+E7*E11$ .

**H11:H13** უჯრებში მითითებულია ყოველი სახის რესურსის არსებული მოცულობები.

**G9** უჯრაში შეტანილია მიზნის ფუნქცია:

$=B5*B7+C5*C7+D5*D7+E5*E7$

G9 $\downarrow$ f: =SUMPRODUCT(B5:E5;B7:E7)					
A	B	C	D	E	G
პროდუქციაზე ფასის განსაზღვრის ამოცანა					
1	31	32	33	34	
3 ფასები					
4 დანახარჯი	1520	1400	1800	1680	
5 ერთეული მოგება	=B3-B4	=C3-C4	=D3-D4	=E3-E4	
6					
7 მოთხოვნა	=300-0,106*B3	=325-0,15*C3	=310-0,133*D3	=280-0,123*E3	
8					
9					
10 შეზღუდვები რეურსებზე					
11 რესურსი 1	1	1	1	1	საკირო მოგება =SUMPRODUCT(\$B\$7:\$E\$7;B11:E11) 160
12 რესურსი 2	2	6	10	13	საკირო მოგება =SUMPRODUCT(\$B\$7:\$E\$7;B12:E12) 1300
13 რესურსი 3	6	5	4	3	საკირო მოგება =SUMPRODUCT(\$B\$7:\$E\$7;B13:E13) 1100
14					

ცხრ.7.28 არაწრფივი მოდელის აგება


მონიტორზე გამონათდება ფანჯარა შესაბამისი რიცხვითი მონაცემებით (ცხრ.7.29).

G9 $\downarrow$ f: =SUMPRODUCT(B5:E5;B7:E7)					
A	B	C	D	E	G
პროდუქციაზე ფასის განსაზღვრის ამოცანა					
1	31	32	33	34	
3 ფასები					
4 დანახარჯი	1520	1400	1800	1680	
5 ერთეული მოგება	-1520	-1400	-1800	-1680	
6					
7 მოთხოვნა	300,00	325,00	310,00	280,00	
8					
9					საკირო მოგება -1939400
10 შეზღუდვები რეურსებზე					საკირო მოგება 1215 160
11 რესურსი 1	1	1	1	1	
12 რესურსი 2	2	6	10	13	
13 რესურსი 3	6	5	4	3	
14					

ცხრ.7.29


მოდელის ამოსახსნელად ვირჩევთ ბრძანებას **SOLVER**. გამონათებულ ფანჯარაში (ნახ.7.21) მივუთითებთ მიზნის ფუნქციის მისამართს, ოპტიმიზების მიმართულებას (მინიმუმს ან მაქსიმუმს), ცვლად უჯრებს, რომელშიც უნდა მივიღოთ ოპტიმიზების ცვლადების მნიშვნელობები, და ამოცანის შეზღუდვებს. ამ შემთხვევაში გვჭირდება სამი შეზღუდვა:

$$\text{B3:E3} < 2500; \quad \text{B7:E7} \geq 0; \quad \text{G11:G13} \leq \text{H11:H13}.$$



ნახ.7.21

პირველი პირობა გამოხატავს გამოყენებული რესურსის შეზღუდვებს, მეორე გამოხატავს ოპტიმიზების ცვლადის, ანუ გამოსაშვებ პროდუქციაზე მოთხოვნის არაუარყოფითობას. მესამე შეზღუდვა შეიცავს მარკეტინგული კვლევის მიერ დადგენილ გამოსაშვები პროდუქციის კონკურენტუნარიანობას დასაშვები ფასის მიხედვით.



ნახ.7.22 დიალოგური ფანჯარა “Solver Options”

დიალოგურ ფანჯარაში “Solver Options”, (ნახ.7.22), რომელშიც Options დილაკის მეშვეობით შევდივართ, წრფივი მოდელის ნაცვლად უნდა გამოვყოთ არაწრფივი ამოცანის შესაბამისი ოფცია **Use Automatic Scaling**.

მოდელის ამოხსნის შემდეგ შესაძლებლობა გვაქვს შევარჩიოთ ანგარიშების ფორმა და შემდეგ მივიღოთ მოდელის საბოლოო შედეგი (ცხრ.7.30).

	A	B	C	D	E	F	G	H	I
1	<b>პროდუქციაზე ფასის განსაზღვრის ამოცანა</b>								
2		31	32	33	34				
3	ფასები	2251	1859,3	2141,429	2054,2				
4	დანახარჯი	1520	1400	1800	1680				
5	ერთეული მოგება	731	459,35	341,4291	374,23				
6									
7	მოთხოვნა	61,38	46,10	25,19	27,33				
8									
9							<b>საერთო მოგება</b>		
10	<b>შეზღუდვები რეურსებზე</b>						<b>84880,3807</b>		
11	რესურსი 1	1	1	1	1			160	160
12	რესურსი 2	2	6	10	13			1006,54079	1300
13	რესურსი 3	6	5	4	3			781,532282	1100
14									

ცხრ.7.30 არაშრფივი მოდელის ამოხსნის საბოლოო სახე

**თავი 8**  
**ელექტრონული ცხრილის მეშვეობით რეალიზაციი**  
**ვინასური ანალიზი**

**8.1 ინგესტირების ეფექტურობის ანალიზი**

კონკურენციის პირობებში მომუშავე ფირმა ყოველთვიურად გეგმავს წარმოების ისეთი რესურსის შეძენას, როგორიცაა შრომითი რესურსი, ნედლეული და სხვა. ფირმის ხელმძღვანელობა გეგმავს სამომავლო საქმიანობას. ამ საქმიანობაში შედის კაპიტალის (უძრავი ქონების) შეძენა. იგულისხმება, რომ ეს კაპიტალი მომავალში დამატებით შემოსავალს მოიტანს.

კაპიტალდაბანდება, ანუ ინვესტიცია, უმეტესად დაკავშირებულია საწარმოს, დანადგარების ან ისეთი ობიექტების შეძენასთან, რომელსაც ფირმა მომავალში გამოიყენებს.

ინვესტიცია იმ შერმოხვევაში ხორციელდება, როდესაც მოსალოდნელი შემოსავალი გადააჭარებებს ხარჯს. რადგან მოსალოდნელი მოგების დაგეგმვა ხდება დროის რაღაც შუალედისათვის, ამიტომ ინვესტიციის ეკონომიკური ანლიზის დროს საჭიროა დროის ფაქტორის გათვალისწინება.

როდესაც ფირმამ კაპიტალდაბანდების შესახებ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, (ქარხნის ან დანადგარის შეძენა), მან უნდა შეადაროს საინვესტიციო შენაგანის მოცულობა იმ ფულად ნაკადს, (დროში განაწილებულს), რომელიც მოსალოდნელია დაგეგმილი პერიოდის განმავლობაში. ასეთი შედარება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც დადგინდება, თუ მომავალში რა დირექტულება ექნება დადგენილ საინვესტიციო შენაგანს. გარდა ამისა, მოგება წლიდან წლამდე იცვლება და როგორც წესი, არ არის მუდმივი სიდიდე. იგი შესაძლოა იცვლებოდეს გარკვეული წესით ან სხვადასხვა მიზეზით. ამ ფაქტორის გათვალისწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნეს-გეგმის ეკონომიკური ანალიზის დროს.

**მიმდინარე დისკონტირებული დირექტულება**

ცნობილია, რომ მომავალში შემოსული ნაღდი ფული ნაკლებად ფასეულია, ვიდრე მისი მიმდინარე დირებულება. დროის ფაქტორი ეკონომიკური ანალიზისას გამოისახება დისკონტირების ფაქტორით. ამ ფაქტორს იყენებენ საინვესტიციო შენაგანის დასაბუთებისათვის. იგი გამოიყენება აგრეთვე საინვესტიციო პერიოდის და მოგების ფულადი ნაკადის შესაფასებლად.

ზოგადად კაპიტალს განსაზღვრავენ, როგორც ფირმის საკუთრებაში მყოფი საწარმოს, დანადგარების და სხვა უძრავი ქონების დირებულებას, რომელსაც მოგება მოაქვს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ქარხანა აწარმოებს ელექტრონულსაწყოებს. ქარხნის დირებულება შეადგენს 10 მლნ ლარს. ასეთ დროს ამბობენ, რომ ფირმას აქვს კაპიტალის მარაგი (**capital stock**), რომლის დირებულებაა 10 მლნ ლარი. დავუშვათ, ყოველ წელს ფირმის მოგება შეადგენს 2.5 მლნ. ლარს. თუ ქარხნის ექსპლუატაცია გათვლილია 20 წელიწადზე, მაშინ ფირმის მოგება 50 მლნ. ლარს შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ ფირმის მხრიდან მომგებიანი ინვესტიცია განხორციელებულა – ფირმამ დახარჯა 10 მლნ. ლარი და მოიგო 50 მლნ. ლარი. რადგან, როგორც ავღნიშნეთ, მომავალში შემოსული ნაღდი ფული ნაკლებად დირებულია, ვიდრე მისი მიმდინარე დირებულება, უნდა მოხდეს მომავალში მისაღები თანხის გადაყვანა (გადაანგარიშება) დღევანდელ დირებულებაზე. ეს ხდება დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთის (**discounted interest rate**) მეშვეობით.

დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს ვიყენებოთ ე.წ. “რთული პროცენტის” დარიცხვის წესს. ზოგადად, რთული პროცენტი მიიღება, როდესაც რაიმე სიდიდე იცვლება ეტაპობრივად ისე, რომ მისი ნაზრდი წინა ეტაპზე არსებული სიდიდის რაიმე პროცენტს შეადგენს. ვთქვათ, ეს პროცენტი მუდმივია და არის  $R\%$ . თუ საწყისი თანხის მნიშვნელობა არის  $P_0$ , მაშინ პირველი ეტაპის შემდეგ მივიღებთ თანხას:

$$P_1 = P_0 + R/100 \times P_0 = P_0(1+R/100),$$

მეორე ეტაპის შემდეგ:

$$P_2 = P + R/100 \times P_1 = P_1(1+R/100) = P_0(1+R/100)^2$$

n-ური ეტაპის შემდეგ გვექნება:

$$P_n = P_0(1+R/100)^n$$

ეს ფორმულა გვიჩვენებს, რომ რომ თუ  $R < 0$   $P_n$ , ( $n=1,2,\dots,n$ ), იზრდება (ან მცირდება), გეომეტრიული პროგრესიის წესით, რომლის პირველი წევრია  $P_0$ , ხოლო მნიშვნელობის არის  $1+R/100$ .

როდესაც  $P$ -ს ნაზრდი ყოველ ეტაპზე სხვადასხვაა, ანუ პირველ ეტაპზე მნიშვნელობა იცვლება  $R_1\%$ -ით, მეორე ეტაპზე  $R_2\%$ -ით და ა.შ. ფორმულას ექნება სახე:

$$P_n = P_0(1+R/100)(1+R_1/100)\dots(1+R_n/100).$$

ხშირად იყენებენ “საშუალო პროცენტის” მნიშვნელობას. ეს არის ნაზრდის ისეთი პროცენტი  $q$ , რომელიც  $n$  ეტაპის გავლის შემდეგ ისევე შეცვლის  $P_0$ -ის მნიშვნელობას, როგორც ცვალებადი ნაზრდი. ნაზრდის საშუალო პროცენტი გამოითვლება ფორმულით:

$$q/100 = \sqrt{(1+R_1/100)(1+R_2/100)\dots(1+R_n/100)} - 1.$$

შესაბამისად

$$P_n = P_0(1+R/100)(1+R_1/100)\dots(1+R_n/100) = P_0(1+q/100)^n.$$

ამრიგად საშუალო პროცენტი არ არის პროცენტის საშუალო მნიშვნელობა. ის შეიძლება შევადაროთ წრფივი მოძრაობის საშუალო სიჩქარეს.

გამოვთვალოთ, თუ რა დირს დღეს ის მოგება, რომელსაც მომავალში მივიღებთ, მაგალითად ერთი წლის შემდეგ. პასუხი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. თუ საპროცენტო განაკვეთი შეადგენს  $r$  ლარს, ( $r=R/100$ ), მაშინ დღეს ინვესტირებული 1 ლარი მომავალში მოგვიტანს  $(1+r)$  ლარს.

შეიძლება დავსვათ შებრუნებული ამოცანა. გავიგოთ, თუ რა დირს დღეს ერთი წლის შემდეგ მიღებული 1 ლარი ( $P_1=1 \text{ GEL}$ ), ანუ რა არის 1 ლარის დისკონტირებული დღევანდელი დირებულება (present discounted value, PDV).

1 წლის შემდეგ 1 ლარის  $\text{PDV}=1 \text{ GEL}/(1+r)$ ,

2 წლის შემდეგ 1 ლარის  $\text{PDV}=1 \text{ GEL}/(1+r)^2$ ,

$n$  წლის შემდეგ 1 ლარის  $\text{PDV}=1 \text{ GEL}/(1+r)^n$ .

მომავალში მიღებული 1 ლარის მიღინარე დისკონტირებული დირებულების— $\text{PDV}$  გამოსათვლილად შევქმნათ ცხრილი.

A სვეტში შევიტანოთ საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობები (ცხრ.8.1). B2 უჯრაში შევიტანოთ  $\text{PDV}$ -ს გამოსათვლელი ფორმულა პირველი წლის ბოლოსათვის  $=1/(A2+1)$ , და გავავრცელოთ მომდევნო უჯრებზე. C2 უჯრაში შევიტანოთ მეორე წლის შესაბამისი ფორმულა  $=1/(A2+1)^2$  და ასევე გავავრცელოთ მომდევნო უჯრებზე. შესაბამისი ფორმულები შევიტანოთ D2, E2, F2 და G2 უჯრებში იმის გათვალისწინებით, რომ ფუნქციის ხარისხის მაჩვენებელი  $n$  უდრის გასული წლების რაოდენობას.

	A	B	C	D	E	F	G
1	საპროცენტო განაკვეთი						
2	1 წ.	2 წ.	5 წ.	10 წ.	20 წ.	30 წ.	
3	0.01	0.990	0.980	0.951	0.905	0.820	0.742
4	0.02	0.980	0.961	0.906	0.820	0.673	0.552
5	0.03	0.971	0.943	0.863	0.744	0.554	0.412
6	0.04	0.962	0.925	0.822	0.676	0.456	0.308
7	0.05	0.952	0.907	0.784	0.614	0.377	0.231
8	0.06	0.943	0.890	0.747	0.558	0.312	0.174
9	0.07	0.935	0.873	0.713	0.508	0.258	0.131
10	0.08	0.926	0.857	0.681	0.463	0.215	0.099
11	0.09	0.917	0.842	0.650	0.422	0.178	0.075
12	0.1	0.909	0.826	0.621	0.386	0.149	0.057
13	0.15	0.870	0.756	0.497	0.247	0.061	0.015
14	0.2	0.833	0.694	0.402	0.162	0.026	0.004

ცხრ. 8.1

ცხრილში განხილულია ერთი ლარის ღირებულება, რომელიც მიიღება დისკონტირების სხვადასხვა განაკვეთის შემთხვევაში 1, 2, . . . , 30 წლის შემდეგ. ცხრილიდან ჩანს, რომ 6-7% შემთხვევაშიც კი 20-30 წლის შემდეგ მიღებული 1 ლარის ღირებულება დღეს ძალიან ცოტაა. დაბალი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში (3%), 20 წლის შემდეგ მიღებული 1 ლარი დღეს 55 თეთრი დირს.

### ფულადი ნაკადის დისკონტირებული ღირებულება.

ფულადი ნაკადი არის ფულის რაოდენობა, რომელიც რჩება წლის ბოლოს ყველა ხარჯის გადების შემდეგ. ფულად ნაკადს, ანუ ფულის მოძაობას მომავალში გრაფიკულად (დიაგრამით), ან ცხრილის მეშვეობით გამოსახვები. ფულის მოძრაობის დიაგრამებით გამოსახვის დროს გამოიყენება შემდეგი აღნიშვნები:

P (Present) – შეესაბამება მიმდინარე ნაღდი ფულის მოძრაობას იგი შეიძლება იქოს დადებითი ან უარყოფითი.

A (Annual) – შეესაბამება წლიური ნაღდი ფულის მოძრაობას. იწყება წლის ბოლოს და გრძელდება ინვესტირებული ვადის ბოლომდე.

F (Future) – შეესაბამება ნაღდი ფულის მოძრაობას მომავალში და ხორციელდება პროექტის ვადის ბოლოს. იგი აგრეთვე შეიძლება იქოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი.

ინვესტიციის ეფექტურობის დასაბუთებისათვის გამოვიყენოთ ის შემთხვევა, როდესაც ცნობილია P, A, F და ის. გამოსათვლელია საპროცენტო განაკვეთი რ. ამ სიდიდეს აგრეთვე “დისკონტირების კოეფიციენტს”, “რენტაბელობის ნორმას”, ან “ფირმის კაპიტალდაბანდების შიდა ამონაგების კოეფიციენტს” უწოდებენ.


ამის გამოსათვლელდად ელექტრონულ ცხრილ EXCEL-ში არსებობს სპეციალური ფუნქცია IRR (Income Return of Rate). ამ ფუნქციის გამოსაყენებლად საჭიროა ვიცოდეთ ინვესტირების საწყისი თანხა P (უარყოფითი რიცხვი) და ფულადი ნაკადი A (დადებითი რიცხვები), რომლებიც საინვესტიციო პერიოდში ყოველწლიურ მოსალოდნელ მოგებას ასახავენ.

ამისათვის A სვეტში შევიტანოთ წლების რიგითი ნომრები, B2 უჯრაში ინვესტირებული თანხა (უარყოფითი რიცხვი), C სვეტში ფულადი ნაკადის მნიშვნელობები წლების მიხედვით (ცხრ. 8.2).

	A	B	C	D	E
1	წლები	ინვესტირებული თანხა	ფულადი ნაკადი	IRR	
2	3	1	-10	2.5	21%
3	4	2		2.5	
4	5	3		2.5	
5	6	4		2.5	
6	7	5		2.5	
7	8	6		2.5	
8	9	7		2.5	
9	10	8		2.5	
10		9		2.5	
11		10		2.5	
12					
13					

ცხრ. 8.2

D2 უჯრაში შევიტანოთ IRR –ის გამოსათვალელი ფუნქცია. ამისათვის Function — Financial ჩამონათვალში მოვნახოთ IRR ფუნქცია. გამონათებულ ფანჯარაში Values ველში (ნახ. 8.1) შევიტანოთ B2:C11 უჯრების მონაცემები, ხოლო Guess ველში ის მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც მიახლოებით ვარაუდობთ. მაგალითად 0.1 ანუ 10%.



### ნახ.8.1

მივიღებთ პასუხს, რომელიც ფირმისათვის მისაღები იქნება, ან უკეთეს შედეგის მისაღწევად ფირმა სხვა შემთხვევებსაც განიხილავს.

### დაყვანილი სუფთა დირებულების კრიტერიუმი

საინვესტიციო გადაწყვეტილების ეფექტურობის შესაფასებლად საჭიროა გამოვთვალოთ მომავალი ფულადი ნაკადის მიმდინარე ჯამური დირებულება PDV და შევადაროთ იგი P –კაპიტალდაბანდებას. ამ მეთოდს სუფთა დაყვანილი

ღირებულების NPV (Net Present Value) კრიტერიუმს უწოდებენ. NPV კრიტერიუმი გამოითვლება ფორმულით:

$$NPV = -P + A_1/(1+r) + A_2/(1+r)^2 + \dots + A_n/(1+r)^n$$


და გვიჩვენებს, რომ ინვესტიცია გამართლებულია მაშინ, როდესაც  $PDV > P$ , ანუ  $NPV > 0$ . თუ სუფთა დაყვანილი ღირებულება უარყოფითია, ინვესტიცია არ არის გამართლებული. ეს მეთოდი არ ითვალისწინებს რისკის (Risk free) ფაქტორს.

NPV –ს გამოსათვლელად შევქმნათ ცხრილი (ცხრ. 8.3)

A	B	C	D
წლები	P და $A_i$ მლნ. ლარი	დისკონტ. ნორმა% / 100	NPV მლნ. ლარი
1			
2			
3	-10		
4	1	2.5	0.01
5	2	2.5	0.04
6	3	2.5	0.07
7	4	2.5	0.1
8	5	2.5	0.13
9	6	2.5	0.16
10	7	2.5	0.19
11	8	2.5	0.22
12	9	2.5	0.25
13	10	2.5	0.28
14	11	2.5	0.31
15	12	2.5	0.34
16	13	2.5	0.37
17	14	2.5	0.4
18	15	2.5	0.43
19	16	2.5	0.46
20	17	2.5	0.49
21			

ცხრ.8.3


A –სვეტში, A3 –დან დაწყებული, შევიტანოთ წლების მნიშვნელობები. B2 უჯრაში შევიტანოთ კაპიტალდაბანდების მნიშვნელობა  $P = -10$ . B3 უჯრიდან დაწყებული შევიტანოთ ფულადი ნაბადის –  $A_i$  –ის მნიშვნელობები წლების მიხედვით. ყოველი წლისათვის ეს მნიშვნელობაა 2,5 მლნ. ლარი.



ნახ.8.2

C –სვეტში, C3 –დან დაწყებული, შევიტანოთ დისკონტირების კოეფიციენტის სხვადასხვა მნიშვნელობები. D3 უჯრაში შევიტანოთ NPV–ს გამოსათვლელი

ფორმულა დისკონტირების ნორმის პირველი მნიშვნელობისათვის. ამისათვის გამოვიძახოთ ფუნქცია **NPV** და შევიტანოთ შესაბამისი მნიშვნელობები (ნახ. 8.2). **D3** უჯრაში შეტანილი ფორმულა გავავრცელოთ მომდევნო უჯრებზე. მივიღებთ **NPV**-ს მნიშვნელობებს დისკონტირების სხვადასხვა კოეფიციენტისათვის ერთი და იგივე ფულადი ნაკადის შემთხვევაში. ავაგოთ **NPV**-ს დისკონტირების ნორმაზე დამოკიდებულების გრაფიკი **Chart Wizard**-ის გამოყენებით (ნახ. 8.3)




ნახ. 8.3

გრაფიკი გვიჩვენებს, რომ დისკონტირების ნორმის მაღალი პროცენტი (ჩვენს შემთხვევაში  $IRR=0,25$ ) იძლევა სუფთა დაყვანილ დირებულებას უარყოფითი ნიშნით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ შემთხვევაში ინვესტიცია გაუმართდება.

## 8.2 საინვესტიციო პერიოდის შეფასება. არასტაბილური ფულადი ნაკადის გაგლენა **NPV –ზე**

საინვესტიციო პერიოდის შესაფასებლად გამოვიყენით  $IRR$  -ის მიმდინარე დროზე (წლებზე) დამოკიდებულება და ავაგოთ შესაბამისი ცხრილი (ცხრ. 8.4) და გრაფიკი (ნახ. 8.5)




ნახ.8.4

ცხრილის შესაქმნელად A სვეტში, A2 უჯრიდან დაწყებული, შევიტანოთ წლების შესაბამისი რიგითი ნომრები. B2 უჯრაში კაპიტალდაბანდების მნიშვნელობა  $-10$ . B3:B22 უჯრებში ფულადი ნაკადის მნიშვნელობა ყოველი წლისათვის  $-2.5$ . C5 უჯრაში გამოვთვალოთ IRR-ის მნიშვნელობა. ამისათვის გამოვიძახოთ ფუნქცია IRR (ნახ.8.4) და შევიტანოთ შესაბამისი მნიშვნელობები. ფუნქცია გავავრცელოთ C22 უჯრამდე.

	A	B	C	D
1	წელი	P და A <sub>i</sub>	IRR	
2		-10		
3	1	2.5		
4	2	2.5		
5	3	2.5	-13%	
6	4	2.5	0%	
7	5	2.5	8%	
8	6	2.5	13%	
9	7	2.5	16%	
10	8	2.5	19%	
11	9	2.5	20%	
12	10	2.5	21%	
13	11	2.5	22%	
14	12	2.5	23%	
15	13	2.5	23%	
16	14	2.5	24%	
17	15	2.5	24%	
18	16	2.5	24%	
19	17	2.5	24%	
20	18	2.5	25%	
21	19	2.5	25%	
22	20	2.5	25%	

გან.8.4

მიღებული მონაცემების მიხედვით ავაგოთ გრაფიკი (ნახ. 8.5).



ნახ.8.5

გრაფიკიდან ჩანს, რომ სამ წელზე ნაკლები პერიოდის დაგეგმვა გაუმართლებელია. გარდა ამისა 20 წლის შემდეგ IRR უცვლელი რჩება და მისი გამოთვლა მიახლოებით შეიძლება ფორმულით  $IRR=A/P=2.5/100=0.25$ . ანუ ფუნქცია ასიმპტოტურად უახლოვდება ამ მნიშვნელობას. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში 18 წლიანი პროექტი იძლევა ყველაზე მაღალი დონის კოეფიციენტს, ანუ გრაფიკი საშუალებას იძლევა შეირჩეს NPV –ს სასურველი გარიანტი.


წლების მანძილზე ფულადი ნაკადი შესაძლოა ცვალებადი იყოს. მაგალითად, სხვადასხვა წელს სხვადასხვა დამატებითი ინვესტიცია იგეგმებოდეს, ან მოგება იცვლებოდეს კონკურენციის გამო.

გამოვთვალოთ ფულადი ნაკადის მერყევი, კლებადი და ზრდადი მნიშვნელობებისათვის  $NPV$ -ს დამოკიდებულება დისკონტირების ნორმაზე (ცხრ.8.5).

	A	B	C	D	E	F	G	H
წელი	P და A <sub>i</sub> მლნ. ლარი	დისკონტ- ნორმა%	NPV	P და A <sub>i</sub> მლნ. ლარი	NPV	P და A <sub>i</sub> მლნ. ლარი	NPV	
1								
2		-10			-10		-10	
3	1	2.5	0.01	25.43	2.5	16.69	2.5	116.68
4	2	1	0.02	21.94	2.3	14.59	3	101.16
5	3	2.5	0.03	18.92	2.2	12.74	3.5	87.95
6	4	2.5	0.04	16.31	2.1	11.11	4	76.69
7	5	1	0.05	14.05	2	9.67	4.5	67.05
8	6	2.5	0.06	12.07	1.9	8.40	5	58.76
9	7	2.5	0.07	10.35	1.8	7.26	5.5	51.63
10	8	1	0.08	8.84	1.7	6.25	6	45.45
11	9	2.5	0.09	7.51	1.6	5.34	6.5	40.10
12	10	2.5	0.1	6.34	1.5	4.53	7	35.44
13	11	1	0.11	5.30	1.4	3.80	7.5	31.38
14	12	2.5	0.12	4.38	1.3	3.14	8	27.82
15	13	2.5	0.13	3.57	1.2	2.55	8.5	24.69
16	14	1	0.14	2.84	1.1	2.01	9	21.94
17	15	2.5	0.15	2.18	1	1.52	9.5	19.51
18	16	2.5	0.16	1.60	0.9	1.08	10	17.36
19	17	1	0.17	1.08	0.8	0.68	10.5	15.45
20	18	2.5	0.18	0.61	0.7	0.31	11	13.75
21	19	2.5	0.19	0.18	0.6	-0.03	11.5	12.23
22	20	1	0.2	-0.20	0.5	-0.34	12	10.87

ცხრ.8.5

B,E,G – სვეტებში მოყვანილია ფულადი ნაკადის ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობები. D,F,H სვეტებში კი  $NPV$  -ს დამოკიდებულება დისკონტირების ნორმის სხვადასხვა მნიშვნელობაზე. შედეგი ასახულია გრაფიკზე (ნახ 8.6)



ნახ.8.6

## ԸՆԹԱՑՄԱՆ

1. Кораблин М.А. Информатика поиска управлеченческих решений.– М.:СОЛООН–Пресс, 2009.
2. Урубков А.Р., Федотов И.В. Методы и модели оптимизации управлеченческих решений. М.:Издательство «Дело», 2009.
3. Матвеев Л.А. Компьютерная поддержка решений: Учебник–СПб: «Специальная Литература», 1998.
4. Разработка бизнес–приложений в экономике на базе MS Excel. Под редакцией А.И. Афоничкина.–М.: Диалог–МИФИБ 2003.
5. Конрад Карлберг Бизнес–анализ с помощью Microsoft Excel.: Пер.с англ.–М.: Издательский дом «Вильямс», 2004.

რედაქტორი: გ.ზაკუტაშვილი

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გამომცემლობა ”ტექნიკური უნივერსიტეტი”  
თბილისი, კოსტავას 77